ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თამთა ნათენაძე

პოსტსაბჭოთა ქართული ნაციონალიზმის წანამძღვრები: ეროვნული მოძრაობა დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია
ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ირაკლი ჩხაიძე,
კულტურის მეცნიერებათა დოქტორი,
ასისტენტ პროფესორი

თბილისი
2017

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Social and Political Sciences

Tamta Natenadze

The Preconditions of Postsoviet Georgian Nationalism: National movement on the Path to Independence

In fulfillment of the requirement for the degree of

Master of Nationalism and Ethnicity Studies

Advisor: Irakli Ckhaidze

PhD, Cultural Studies,

Assistant Professor

Tbilisi

2017

ანოტაცია

თემა შეეხება ნაციონალიზმის განვითარებას იმპერიულ სივრცეში და მასზე გავლენის მომხდენი ფაქტორების ანალიზს. მიუხედავად იმისა, რომ სსრკ ახშობდა მოკავშირე რესპუბლიკებში პოლიტიკურ ნაციონალიზმს და ცდილობდა ზეეროვნული საბჭოთა იდენტობის ფორმირებას, საქართველოს სსრ-ში ქვეყნის დამოუკიდებლობისკენ მიმავალი პროცესები არ შეწყვეტილა, საბჭოთა ეთნიკური პოლიტიკა წარუმატებელი აღმოჩნდა. სწორედ საქართველოში სსრ-ში გადაიდგა პირველი ნაბიჯები ტოტალიტარული სისტემის დემონტაჟისკენ, მოხდა არაკომუნისტური ხელისუფლების ფორმირება, დაიწყო დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისთვის იურიდიული საფუძვლების შექმნა. ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ნაციონალური ცნობიერების გამოღვიძებაში. აღნიშნულ გარემოებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ასევე, საბჭოთა სისტემის გამიჯვნისაკენ მიმავალი პროცესების განვითარებისთვის.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ლიბერალიზაციის პირობებში პოლიტიკურ პროცესებს საფუძვლებს უქმნიდა 1970-იანი წლების საქართველოში განვითარებული კულტურული ნაციონალიზმი, რომლის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა ინტელიგენციამ და დისიდენტებმა. მათ „პერესტროიკის“ პერიოდში სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები შექნეს, რომელმაც ეროვნული მოძრაობის სახე მიიღო. აღსანიშნავია ისიც, რომ სსრკ საბჭოთა ნაციონალიზმის პარალელურად გარკვულწილად ხელს უწყობდა კულტურულ ნაციონალიზმს. 1970-იან წლებში ქართული ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბებას, ასევე საფუძვლებს უქმნიდა ჰელსინკის პროცესები.

ნაშრომი მიზნად ისახავს შეისწავლოს ქართული ნაციონალიზმი 1970-იანი წლიდან დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, როდესად ადგილი ჰქონდა პოლიტიკურ პროცესებს, და მასზე გავლენის მომხდენი ფაქტორები. შევისწავლით ქართული ეროვნული მოძრაობის სტრუქტურას (რადიკალური და ლიბერალური ფრთა), მის აქტივისტებს - დისიდენტური მოძრაობა, ინტელიგენცია, სხვადასხვა პატრიოტული ჯგუფები,

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები - და მათ დამოკიდებულებას სსრკ-ის პოლიტიკაზე და მიღებულ ზომებს.

კვლევის ძირითადი მეთოდია თვისობრივი მეთოდი. გამოყენებული იქნება კვლევითი ნაშრომები, სამეცნიერო სტატიები, ოფიციალური დოკუმენტები, საარქივო და ვიდეო-მასალები.

ნაშრომში შევეცდებით დავასაბუთოთ მოსაზრება, რომ ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ, რომელთა საფუძვლების შექმნას 1970-იან წლებში ხელი შეუწყო საბჭოთა პერიოდში არსებულმა პროცესებმა, მოგვიანებით რეჟიმის ლიბერალიზაციის პირობებში დიდი როლი ითამაშა ნაციონალიზმის განვითარებაში. აღნიშნული ჰიპოთეზის დასაბუთებას შევეცდებით ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიით - პ. ბრასის - „ინსტრუმენტალიზმი.“ მ. ჰროშის „ნაციონალიზმის ფაზების“ და ჯ. ჰატჩინსონის „კულტურული ნაციონალიზმის“ თეორიებზე დაყრდნობით შევისწავლით 1970-1980-იან წლებში ქართული ნაციონალიზმის განვითარების დინამიკას. მოვახდენთ ეროვნული მოძრაობის სოციალურ ანალიზს, შევისწავლით მის სტრუქტურას, ქართულმა ეროვნული მოძრაობის ეტაპებს 1970-1980-იან წლებში და მის აქტივისტთა როლს დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე. ნაშრომში ვაჩვენებთ, რომ ქართული ეროვნული მოძრაობის როლის და საბჭოთა პოლიტიკს ფაქტორის გამო ნაციონალიზმის განვითარება აღნისნულ პერიოდში გარდაუვალი იყო. აღნიშნული თეორიების საფუძველზე 1970-1980-იანი წლებში ქართული ნაციონალიზმის განხილვა მნიშვნელოვანია არა მარტო მისი დინამიკის, არამედ საბჭოთა რეჟიმის პირობებში ეროვნული მოძრაობის როლის გაანალიზებისათვის.

Abstract

The research paper concerns the development of nationalism in the imperial space. In spite of that, USSR was interfering to develop the political nationalism in the Soviet Republics and his aim was to create soviet identity, in the Georgian SSR the independence processes was not interrupted, the soviet ethnic policy was unsuccessful. There were beginning the dismantling of totalitarianism from soviet period. There were created national authority, also the legal basis for the independence state of Georgian in this period. The Georgian national movement had played a great role in awakening the national consciousness.

Under the liberalization processes in USSR there were created Georgian social-political organizations and these took the form of national movement that had played a great role in developing the political nationalism. The paper will show that these processes followed to cultural nationalism taken place in 1970s and great contributions for it had been made by Georgian intellectuals and dissidents. Mention should be made that USSR in parallels of Soviet nationalism supported the cultural processes in Georgia. Also the Helsinki Act assisted in the establishing of Georgian national movement in 1970s.

The paper aimed to study Georgian nationalism from 1970 to the collapse of USSR and the factors influenced on them. We'll analyze the structure of Georgian national movements (radicals and liberals), its activists – dissidents, intellectuals, social-political organisations and their policy toward USSR.

So my hypothesis is the following: The Georgian national movement, which was creating in 1970s because of the processes existing in Soviet time, later in the "Perestroika" period they had played a great role in developing the nationalism.

The paper uses analytical method, discourse and content analysis. It is implied the qualitative research and uses the method of case-studying. The work is based on research papers, academic articles, archival documents, documentary films.

The study will use the political transformation of modernist theories - P. Brass – "The Instrumentalism", that well explain the causes of developing the Georgian Nationalism in 1970-1980s. We' will study the dynamics of Georgian Nationalism under the theoretical framework - M. Hroch's "The Phases of Nationalism, J. Hutchinson's "The Cultural Nationalism". Under these modernist theories of nationalism we will analyze the social profile of Georgian national movement, we'll study its structures, the stages of national movement and the its role on the way to independence. The nationalism theories presented in this paper explain that because of the role of Georgian national movement and the Soviet policy the developing nationalism in Georgia under the "Perestroika" period, the processes moving to the independence was inevitable.

შინაარსი

შესავალი 8

თავი 1. ერი, ნაციონალიზმი და ქართული ნაციონალიზმი 13

თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია 17

თავი 3. ლიტერატურის მიმოხილვა 24

თავი 4. თეორიული მიმოხილვა 31

თავი 5. ქართული ეროვნული მოძრაობის საფუძვლები 1970-იან წლებში 37

5. 1. საბჭოთა ტოტალიტარული სისტემა.....38

5.2. ჰელსინკის პროცესები 45

5.3. ქართული ნაციონალიზმის გამოვლინებები.....46

თავი 6. ქართული ნაციონალიზმის განვითარება 1987-1989წწ.....…....51

6.1. ქართული ეროვნული მოძრაობის აღმავლობა საბჭოთა რეჟიმის ლიბერალიზაციის პირობებში 52

თავი 7. ქართული ეროვნული მოძრაობა 1990-1991წწ 62

7.1. ეროვნული მოძრაობა და დამოუკიდებლობისკენ მიმავალი პროცესები 63

7.2. ტოტალიტარიზმის დემონტაჟისკენ გადადგმული ნაბიჯები და საქართველოს სახელმწიფოებრივი საფუძვლების განმტკიცება.....71

თავი 8. ქართული ნაციონალიზმის თეორიული ანალიზი 74

დასკვნა 82

ბიბლიოგრაფია 86

შესავალი

თანამედროვე სამეცნიერო სფეროში ნაციონალიზმის კლვევებს დიდი ადგილი უკავია. დამოუკიდებლობის მოპოვების თუ ერისა და სახელმწიფოს ფორმირების და მშენებლობის პროცესებში მნიშვნელოვანია ნაციონალიზმის ფაქტორი. ამიტომ დიდია ინტერესი, როგორც თანამედროვე პირობებში, ასევე იმპერიულ სივრცეში ნაციონალიზის კვლევებისადმი.

ნაშრომის მიზანია შეისწავლოს ქართული ნაციონალიზმის განვითარება იმპერიულ სივრცეში და მისი განამაპირობელი ფაქტორები. სსრკ-ში ტოტალიტარული რეჟიმის განმტკიცების მიზნით ინტერნაციონალიზმის სახელით ხდებოდა რა ერთიანი პოლიტიკური, სამხედრო თუ საგანმანათლებლო სივრცის შექმნა და ადგილი ჰქონდა საბჭოთა იდენტობის ფორმირების მცდელობებს. საქართველოში გასაბჭოებამ კი ვერ შეაფერხა დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი პროცესები, ეთნიკური პოლიტიკა წარუმატებელი აღმოჩნდა. 1980-იან წლებში პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისების ფონზე საბჭოთა ხელისუფლებას ექმნებოდა საფრთხე იმპერიის მთლიანობის შენარჩუნების თვალსაზრისით. თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოში, დამოუკიდებლობის მოთხოვნების წამოყენება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურება მოხდა (Beissinger, 2004, p. 182). სწორედ საბჭოთა საქართველოში დაიწყო პროცესები ტოტალიტარიზმის დემონტაჟისკენ, მოხდა არაკომუნისტური ხელისუფლების ფორმირება, დაიწყო დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისთვის იურიდიული საფუძვლების შექმნა, შეიცვალა სივრცე. ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში „საბჭოთა სამშობლო“ აისახა „აქ“ და „იქ“, „ჩვენი“ და „მათი“, იგი დავიწროვდა „საბჭოთა სამშობლოს მასშტაბიდან“ ახალ ერ-სახელმწიფომდე - საქართველომდე (მაისაშვილი, 2010, გვ. 6).

მას შემდეგ, რაც მოხდა საქართველოს გასაბჭოება, ქართველი ერი არ შერიგებია დამოუკიდებლობის დაკარგვას. სსრკ მარქსისტული იდეოლოგიის სახელით ავითარებდა საბჭოთა ნაციონალიზმს ტოტალიტარული რეჟიმის განმტკიცების

მიზნით. მისი ინტერესებიდან გამომდინარე გარკვეულწილად ხელს უწყობდა მოკავშირე პოლიტიკურ ერთეულებში კულტურულ პროცესებს. საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო მიზანი იყო საბჭოთა იდენტობის შექმნა. აღსანიშნავია ისიც, რომ იმპერიის შენარჩუნების მიზნებიდან გამომდინარე, სსრკ-ის პოლიტიკა განიცდიდა ტრანსფორმაციას. პოსტსტალინისტურ ეპოქაში ადგილი ჰქონდა დეცენტრალიზაციის პროცესებს. მოსკოვი ამ პერიოდიდან უკვე არაპირდაპირი გზით ერეოდა საქართველოს სსრ-ის შიდა პოლიტიკაში. თავად ადგილობრივ ინსტიტუტებს, პოლიტიკურ ელიტას უფრო მეტი საშუალება მიეცა ხელი შეეწყო კულტურული ნაციონალიზმის განვითარებისთვის (Suny, 1994, pp. 308, 314-325). აღნიშნული პროცესების შედეგად კი 1970-იანი წლების საქართველოში იქმნებოდა ეროვნული მოძრაობის საფუძვლები. საქართველოში გამოიკვეთა ლიბერალური (ინტელიგენცია) და რადიკალური (დისიდენტები) ფრთა. ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბებას, ასევე, ხელს უწყობდა ჰელსინკის პროცესები. „პერესტროიკის“ და „გლასნოსტის“ პოლიტიკამ შესაძლებელი გახადა რა რჟეიმის ლიბერალიზაცია, აზრის თავისუფლად გამოხატვა, მათ შექმნეს სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები. პატრიოტულმა განწყობამ ეროვნული მოძრაობის სახე მიიშო. საწყის ეტაპზე ადგილი ჰქონდა ნაციონალიზმს კულტურულ პროცესებს. ინტელიგენცია სტალინის ტერორის პირობებშიც კი ზრუნავდა ენის, კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების განვითარებაზე, ცდილობდნენ რუსიფიკაციის საფრთხის თავიდან აცილებას. რადიკალები დისიდენტური მოძრაობის სახით, საბჭოთა ტოტალიტარული კონტროლის პირობებში თავდაპირველად არალეგალური გზით ავრცელებდა ლიტერატურას, დოკუმენტებს. ინტელიგენციისგან განსხვავებით, ისინი ღიად ამხელდა საბჭოთა რეჟიმს, ცდილობდა კომუნისტური ხელისუფლებისგან მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილებას. ხოლო საბჭოთა რეჟიმის ლიბერალიზაციის პირობებში ინტელიგენციას მიეცა შესაძლებლობები უფრო აქტიურად ჩართულიყო ეროვნულ პროცესებში. პრესის თავისუფლებამ ეროვნულ მოძრაობის აქტივისტებს მისცა საშუალება ნაციონალური იდენტობის გამამყარებელი ნარატივი შეექმნათ. ეროვნული მოძრაობის აქტივისტები ნაციონალური ცნობიერების გამოღვიძებას საზოგადოებაში და ნაციონალისტური იდეების პროპაგანდას, ასევე, ცდილობდა საპროტესტო აქციების გამართვით, სადაც თავდაპირველად კულტურული

მოთხოვნების წამოყენება ხდებოდა. 9 აპრილის მოვლენების შემდეგ კომუნისტურმა ხელისუფლებამ განიცადა რა დისკრედიტაცია (ს. ჯონსი 2012, 39) და გარკვეულწილად ეროვნული მოძრაობის სამსახურში აღმოჩნდა, ქართული ნაციონალიზმი რადიკალური გახდა. ეროვნული მოძრაობის აქტივისტები საბჭოთა სისტემისგან გამიჯვნას, დამოუკიდებლობის აღდგენას კომუნისტური ხელისუფლების ჩამოშორებით, არჩევნების გზით ცდილობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სსრკ-ის ბოლო წლებში ეროვნული პროცესებს აბრკოლებდა შიდა უთანხმოებები. თუმცა ეროვნულ მოძრაობას საერთო მიზანი ჰქონდათ, საერთო დამოკიდებულება ჰქონდათ საბჭოთა რეჟიმის მიმართ. ისინი ცალ-ცალკე ცდილობდნენ კომუნისტური ხელისფუფლების დამარცხებას. საბოლოდ დისიდენტების ნაწილი სსრკ-ის არსებობის ბოლო წლებში ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდა. ამ პერიოდში გადაიდგა ნაბიჯები ტოტალიტარიზმის დემონტაჟისკენ, იქმნებოდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის იურიდიული საფუძვლები.

ნაშრომში შევისწავლით ქართულ ნაციონალიზმს 1970-იანი წლებიდან, როდესაც იქმნებოდა ეროვნული მოძრაობის საფუძვლები, 1980-იანი წლების ბოლომდე, როდესაც ადგილი ჰქონდა პოლიტიკურ პროცესებს (საპროტესტო გამოსვლები, პოლიტიკური ალიანსების შექმნა, არჩევნები, დადგენილებების მიღება) და მასზე გავლენის მომხდენ ფაქტორებს. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ლიბერალიზაციის პერიოდში პოლიტიკურ ნაციონალიზმს საფუძვლებს უქმნიდა სწორედ 1970-იანი წლების საქართველოში განვითარებული პროცესები, რომელთაც ხელმძღვანელობდა ლიბერალური (ინტელიგენცია) და რადიკალური (დისიდენტები) ფრთა და რომელთა როლი ასევე დიდი იყო მოგვიანებით „პერესტროიკის“ პერიოდში. ამიტომ მნიშვნელოვანი და საინტერესოა აღნიშნულ პერიოდში ნაციონალიზმის შესწავლა და მისი განვითარების დინამიკის ანალიზი საბჭოთა რეჟიმის პირობებში.

რა ფაქტორებმა განაპირობა ქართული ნაციონალიზმის განვითარება 1970-1980-იან წლებში?

არსებულ სამეცნიერო კვლევებში, რომლებიც საბჭოთა პერიოდში ქართულ ნაციონალიზმს შეეხება, განხილულია პოლიტიკური და კულტურული ფაქტორები. 1970-1980-იან წლებში არსებული პროცესები და ქართული ნაციონალიზმის განვითარების დინამიკა - საბჭოთა სახელმმწიფოს დასუსტების პირობებში კულტურულიდან პოლიტიკურ ნაციონალიზმად ტრანსფორმაცია - შესწავლილია ჯ. ჰატჩინსონის „კულტურული ნაციონალიზმის" თეორიის ფარგლებში (ჩხაიძე 2016, გვ. 6, 41). ჩვენს ნაშრომში, ასევე, განვიხილავთ სოციალურ ფაქტორს. შევისწავლით ეროვნული მოძრაობის როლს, (რადიკალური - დისიდენტები, მემარჯვენე პარტიები და ლიბერალური ფრთა - ინტელიგენცია, ცენტრისტული პარტიები, ზომიერი პოლიტიკური ორგანიზაციები), მის აქტივისტთა დამოკიდებულებას საბჭოთა პოლიტიკაზე და გადადგმულ ნაბიჯებს. ქართული ნაციონალიზმისადმი მიღვნილ კვლევებში შესწავლილია ასევე, საბჭოთა პოლიტიკის - ეთნიკურობის ინსტიტუციონალიზაციის როლი ნაციონალიზმის განვითარებაში (Brubaker, 1996, p. 18). თუმცა ჩვენი აზრით, მხოლოდ გარე ფაქტორი არ იყო საკმარისი ქართული ნაციონალიზმის ასახსნელად. ნაშრომში ვაჩვენებთ, რომ სსრკ-ის პოლიტიკის, თავად მოძრაობის როლის და ელტათა დაპირისპირების გამო 1970-1980-იან წლებში ნაციონალიზმის განვითარება გარდაუვალი გახდა.

შევეცდებით დავასაბუთოთ მოსაზრება, რომ ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ, რომელთა საფუძვლების შექმნას 1970-იან წლებში ხელი შეუწყო საბჭოთა პერიოდში არსებულმა პროცესებმა, მოგვიანებით რეჟიმის ლიბერალიზაციის პირობებში დიდი როლი ითამაშა ნაციონალიზმის განვითარებაში. 1970-1980-იან წლებში ქართული ნაციონალიზმის დინამიკის ანალიზი მოხდება ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიების - მ. ჰროშის „ნაციონალიზმის ფაზების" და ჯ. ჰატჩინსონის „კულტურული ნაციონალიზმის" თეორიის ფარგლებში. ეროვნული მოძრაობის აქტივისტებს, მის სტრუქტურას განვიხილავთ პ. ბრასის „ინსტრუმენტალიზმის" თეორიით. აღნიშნულ თეორიებზე დაყრდნობით, მოვახდენთ ნაციონალიზმის ტიპოლოგიზაციას. იმპერიულ სივრცეში კონკრეტული ჯგუფის ქმედებების, მიზნების და მოთხოვნების გაანალიზებით განვსაზღვრავთ ვინ წარმოადგენდა ეროვნული მოძრაობის

აქტივისტებს, როგორი იყო მისი სტრუქტურა, რა როლი ითამაშა ეთნიკურობის ინსტიტუციონალიზაციამ ნაციონალიზმის განვითარებაში, რა გამოწვევების წინაშე იყო ეროვნული მოძრაობა კომუნისტური ხელისუფლების მხრიდან და რა როლი ითამაშა და რა ეტაპები განვლო მან ხალხის მობილიზაციის და პოლიტიკური ნაციონალიზმის განვითარებაში. ამდენად, მოდერნიზმის სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური ტრანსფორმაციის თეორიულ ჩარჩოში იმპერიულ სივრცეში ქართული ნაციონალიზმის განხილვა მნიშვნელოვანია არა მარტო 1970-1980-იან წლების საქართველოში განვითარებული პროცესების, არამედ ეროვნული მოძრაობის როლის ანალიზისათვის.

რაც შეეხება კვლევის მეთოდებს. კვლევის ძირითადი მეთოდია თვისობრივი მეთოდი. დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე ნაციონალიზმის კუთხით შევისწავლით საბჭოთა რეჟიმის პირობებში საქართველოში განვითარებულ ისტორიულ, პოლიტიკურ, კულტურულ პროცესებს. ოფიციალური დოკუმენტების, საარქივო და ვიდეო მასალების შესწავლა მოხდება კონტენტ-ანალიზით, რაც მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბების საფუძვლები, მის აქტივისტთა მიზნები. დისკურს-ანალიზის საფუძველზე მოხდება ეროვნული მოძრაობის სტრუქტურის და მის აქტივისტთა შორის, ასევე, ცენტრსა და პერიფერიას შორის ურთიერთმიმართების შესწავლა. ნაშრომში გამოყენებულ იქნება, ასევე, კვლევითი ნაშრომები, სამეცნიერო, საგაზეთო სტატიები.

თავდაპირველად შევეხებით ქართული ნაციონალიზმის მოკლე ისტორიას, მის თავისებურებებს. კვლევის მეთოდოლოგიის, ლიტერატურის მიმოხილვის და კვლევის თეორიული ჩარჩოს განხილვის შემდეგ მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე თავებში შევისწავლით ეროვნული მოძრაობის განვითარების ეტაპებს. განხილულ იქნება, ასევე გარე ფაქტორები - სსრკ-ის პოლიტიკა, ჰელსინკის პროცესებიც, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია და ხელი შეუწყო ქართული ნაციონალიმზის განვითარებას. მე-8 თავი დაეთმობა 1970-1980-იანი წლების საქართველოში განვითარებული პროცესების და მისი განმაპირობებელი ფაქტორების თეორიულ ანალიზს.

თავი 1. ერი, ნაციონალიზმი და ქართული ნაციონალიზმი

მოკლედ შევეხებით ქართული ნაციონალიზმის ისტორიას, რათა შეიქმნას ზოგადი სურათი თუ რა პროცესები უძღოდა წინ საბჭოთა იმპერიულ სივრცეში განვითარებულ ნაციონალიზმს და რა თავისებურებებით ხასიათდებოდა იგი.

არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ტერმინ „ნაციონალიზმის", „ერის" დეფინიციის შესახებ. ნაციონალიზმის ძირითადი თეორიები - პრიმორდიალიზმი, პერენიალიზმი, მოდერნიზმი და ეთნოსიმბოლიზმი - განსხვავებულად განიხილავს ნაციონალიზმის და ერების ჩამოყალიბების პროცესს.

მკვლევართა ნაწილი პრიმორდიალისტურ შეხედულებებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ ქართველი ერი უძველესი პერიოდიდან არსებობდა. თუმცა თანამდეროვე პერიოდამდე ქართული ეთნიკური ჯგუფი კონსოლიდირებულნი იყვნენ არა საერთო ეროვნული ინტერესების გარშემო, არამედ მეფის ერთგულების გამო. საყურადღებოა ქართული ნაციონალიზმის კვლევა მოდერნისტული თეორიით. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მისი ისტორია იწყება მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან და თერგდალეულების სახელს უკავშირდება.[1] ქართული ნაციონალიზმის ისტორიაში გამოიყოფა რამოდენიმე ეტაპი. თანამედროვე ქართველი ერისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის იმპერიულ სივრცეში იწყება. მეორე ეტაპი საბჭოთა პერიოდში ვითარდება. ხოლო ქართული ნაციონალიზმის მესამე ეტაპი პოსტსაბჭოთა პერიოდიდან იწყება. ვინაიდან მისი ფორმირება ხდებოდა იმპერიულ სივრცეში, ამიტომ იგი განმათავისუფლებელი ნაციონალიზმი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მე-19 საუკუნეში საქართველოს სამეფო-სამთავროები გაერთიანებული იყო, ინტელექტუალური ელიტის მხრიდან დიდი ძალისხმევა იყო საჭირო რუსეთის იმპერიულ სივრცეში ნაციონალიზმის ფორმირებისთვის და იგი გამაერთიანებელ ნაციონალიზმს წარმოადგენდა (დავითაშვილი, 2003, გვ. 388, 389; ჩხაიძე, 2009, გვ. 63).

[1] იხ. დავითაშვილი, ზ (2003). *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია.* თბილისი: ღია საზოგადოება - საქართველო; ჩხაიძე, ი (2009*). ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და ქართული ნაციონალური პროექტი.* თბილისი: ახალი აზრი; Sabanadze, N. (2010). *Globalization and Nationalism: The Cases of Georgia and Basque Country*. Budapest: CEU Press. Suny, R. G. (1994). *The Making of Georgian nation.* Bloomington: Indiana University Press.

ზოგადად, დასავლური და აღმოსავლური ნაციონალიზმი განსხვავებულია. განსხვავებით დასავლეთ ევროპისაგან, სადაც თანამედროვე ერი-სახელმწიფოს ფორმირებისას ერთდროულად მიმდინარეობდა როგორც ერის, ისე სახელმწიფოს ჩამოყალიბება, საქართველოს შემთხვევაში აღმოსავლეთ-ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მსგავსად, ჯერ ხდება ერის კონსტრუირება, შემდგომში ეთნო-კულტურული იდენტობის საშუალებით ეროვნული საზღვრების დადგენა და იწყება თანამედროვე სახელმწიფოს ფორმირება (Ozkirimli, 2010, p. 35). თერგდალეულთა ძალისხმევა თავდაპირველად მიმართული იყო სწორედ ქართული ნაციონალიზმის კულტურული საფუძვლების შექმნისკენ, რასაც უნდა მოჰყოლოდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.[2]

ი. ჭავჭავაძის ტრიადა - „მამული, ენა და სარწმუნოება“ ქართული იდენტობის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენდა. „მამულში“ იგულისხმებოდა ტერიტორიული ერის იდეა. თერგდალეულებმა მიზნად ჰქონდათ დასახული ქართული ენის, როგორც საერო სალიტერატურო ენის განვითარება და რუსიფიკაციისგან დაცვა. საზოგადოების კონსოლიდაციის მიზნით ი. ჭავჭავაძის მეთაურობით მოხდა ერთიანი სალიტერატურო ენის ფორმირება. თერგდალეულები ზრუნავდნენ განათლების ფართოდ გავრცელებაზე, ხდებოდა სკოლების დაარსება-დაფინანსება. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან აქტიურად მიმდინარეობდა რა სასწავლო პროცესში რუსული ენის გამოყენება და ქართულის ენის როლის შემცირება, მნიშვნელოვანი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების როლი ეროვნულ-საგანმანათლებლო დაწესებულების დაარსების, მშობლიურ ენაზე განათლების ხელშეწყობის თვალსაზრისით. რაც შეეხება რელიგიას, სარწმუნოებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართველი ეთნიკური ჯგუფის ჩამოყალიბებაში. ენის, როგორც მთავარი ნიშნის მნიშვნელობაც ქრისტიანობაზე იყო მიბმული. მაგრამ მე-19 საუკუნეში

[2] ამერიკელი მკვლევარი რ. სუნი იყენებს მ. ჰროშის მოდელს ქართული ნაციონალიზმის პერიოდიზაციისთვის. ავტორის თანახმად, საქართველოში ნაციონალიზმი, რომელიც იწყება მე-18-მე-19 საუკუნის მიჯნაზე, მიმართულია კულტურული პროცესების გამვითარებისკენ - ინტელექტუალები ზრუნავენ ისტორიის შესწავლასა და გამოკვლევაზე, ენის, კულტურის განვითარებაზე. B ფაზაზე ტრანზიცია მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც სახეზეა პოლიტიკური ნაციონალიზმი (Suny, 1994: pp: 123, 141, 207).

ეროვნულ იდენტობაში რელიგიის წინ წამოწევა არ ხდებობა. მას შემდეგ, რაც ოსმალთა იმპერიასთან ომის შემდგომ რუსეთმა აჭარის ანექსია მოახდინა, თერგდალეულებმა მიზნად დაისახეს ამ ტერიტორიული და კულტურული ერთეულის თანამედროვე ერის მშენებლობის პროცესში ჩართვა. მუსლიმი ეთნიკური ჯგუფის კონსოლიდაცია ხდებოდა საერთო ისტორიის საფუძველზე. მას შემდეგ, რაც გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ღვთისმსახურება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ქართული ნაციონალიზმის მთავარი მიზანი იყო ავტოკეფალიის აღდგენა აღნიშნულ პერიოდში ხდებოდა ერთიანი კულტურის, საერთო ბედის „წარმოსახვა“, რის საფუძველზეც იქმნება წარმოდგენა “ჩვენი ერთობის” შესახებ. ამგვარად, ქართველი ერი თანამედროვე გაგებით მე-19 საუკუნეში ყალიბდება. თუმცა ეს არ ნიშნავს ერის ან ეროვნული იდეის პრემოდერნული იდეის დაკნინებას. თანამედროვე ქართველი ერი ჩაისახა, როგორც ისტორიული ერი, რომელიც დაეფუძნა სახელმწიფოებრიობის და სამწერლობო ენის ხანგრძლივ ტრადიციას და ეკლესიას აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული ნაციონალიზმი პროგრესული იდეალებისკენ მიისწრაფვოდა, რასაც ადასტურებს ბეჭდური სიტყვის განვითარება, კერძო მეწარმეობის და საბანკო სისტემის წახალისება (ნოდია 2009, გვ. 119-126; ჩხაიძე, 2009, გვ. 50, 62-83, 86).

ქართველ ერს, მისი დეფინიციას ეთნოსიმბოლისტური თეორიის ფარგლებში განვიხილავთ. ე. სმითის თანახმად, ერი არის თვითდასახელების მქონე ადამიანთა ერთობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია საერთო ისტორიული მეხსიერება, სხვებისაგან განსხვავებული კულტურა, საერთო ისტორიული ტერიტორია - სამშობლო, საერთო უფლება-მოვალეობანი, ერთიანი ეკონომიკა (სმითი, 2004, გვ. 36).

მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსული სოციალ-დემოკრატიული პარტია თავდაპირველად წინამორბედთაგან განსხვავებული გზებით ცდილობდნენ ეროვნული მიზნის მიღწევას. XX ს დასაწყისში შიდა ზეწოლამ და საერთაშორისო ასპარეზზე არსებულმა სიტუაციამ შექმნა საფუძველი გამოცხადებულიყო დამოუკიდებლობა და უგულებელყოფილიყო ინტერნაციონალისტური იდეოლოგია (Sabanadze, 2011, pp. 77, 78). 1918 წლის 26 მაისს

დამოუკდებლობის გამოცხადებით ქვეყანა წარმოადგენდა სუვერენული სახელმწიფოს, სადაც „ხელმწიფება ეკუთვნის მთელ ერს.“ [3]

მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და ანექსია, დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესები გაგრძელდა საბჭოთა პერიოდის განმავლობაში. მ. ჰროში აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის მაგალითზე საბჭოთა პერიოდში ნაციონალიზმის ასახსნელად და სრულყოფილი ერის ჩამოყალიბებისთვის გვთავაზობს ე.წ. „ახალი ნაციონალიზმის“ თეორიას, რომელიც წარმოადგენს მე-19 საუკუნეში არსებული ნაციონალიზმის “რეკაპიტულაციას” - მე-20 საუკუნეში განვითარებული მოვლენების წინა ეპოქის იდეურ გაგრძელებას. „ახალი ნაციონალისტული მოძრაობების დროს ენობრივი, ასევე კულტურული უფლებებისთვის ბრძოლა წარმოადგენდა არა მარტო მემკვიდრეობის შენარჩუნების მიზანს, არამედ იგი პოლიტიკურ შეფერილობას იძენდა. ეროვნული მოძრაობის მიზნის მეორე - სოციალურ ფაქტორთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ახალი ნაციონალისტური მოძრაობის ლიდერები ცდილობენ ერის სოციალური სტრუქტურის სრულყოფას და ქმნიან კაპიტალისტურ კლასს. რაც შეეხება პოლიტიკურ ფაქტორს, მე-20 საუკუნეში ეროვნული მოძრაობის მოთხოვნა იყო დემოკრატიის დამკვიდრება და დამოუკიდებლობის მოპოვება, ხოლო ძველი ნაციონალისტური მოძრაობები ძირითადად იბრძოდნენ სამოქალაქო უფლებებისთვის და ავტონომის მოსაპოვებლად. ავტორი აღნიშნავს, ასევე, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას ჰქონდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცდილება და კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდგომ მოხდა დამოუკიდებლობის აღდგენა, რაც ესადაგება საქართველოს შემთხვევასაც. აღსანიშნავია ისიც, რომ მას შემდეგ, რაც საბჭოთა პერიოდში შეიქმნა ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქები, ახალი ნაციონალისტური მოძრაობის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენდა სწორედ უმცირესობების აღნიშნული ავტონომიური ერთეულების საკითხი. ახალი ნაციონალისტური მოძრაობის პარალელურად ზოგიერთ კომუნისტურ ქვეყანაში აღმოცენდა უმცირესობების ნაციონალიზმი (Hroch, 1996, p. 96). თუმცა აღნიშნული ნაშრომი მიზნად არ ისახავს

[3] საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია. თავი 4, მუხლი 52.

გამოიკვლიოს მე-19 და მე-20 საუკუნეში განვითარებული ქართული ნაციონალიზმის ურთიერთმიმართება. ჰროშის თეორიაზე დაყრდნობით განვიხილავთ ეროვნული მოძრაობის განვითარების ეტაპებს, დამოუკიდებლობისკენ მიმავალ პროცესებს.

თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია

რა ფაქტორებმა განაპირობა ქართული ნაციონალიზმის განვითარება 1970-1980-იან წლებში? ნაშრომი მიზნად ისახავს შეისწავლოს ქართული ნაციონალიზმი საბჭოთა იმპერიულ სივრცეში და მისი განამაპირობებლი ფაქტორები.

შევეცდებით დავასაბუთოთ მოსაზრება, რომ ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ, რომელთა საფუძვლების შექმნას 1970-იან წლებში ხელი შეუწყო საბჭოთა პერიოდში არსებულმა პროცესებმა, მოგვიანებით რეჟიმის ლიბერალიზაციის პირობებში დიდი როლი ითამაშა ნაციონალიზმის განვითარებაში. აღნიშნული ჰიპოთეზის დასაბუთებას შევეცდებით მ. ჰროშის „ნაციონალიზმის ფაზების და ჯ. ჰატჩინსონის „კულტურული ნაციონალიზმის“, პ. ბრასის „ინსტრუმენტალიზმის“ თეორიების ფარგლებში.

ნაშრომში შევისწავლით ქართულ ნაციონალიზმს 1970-80-იან წლებში და მოვახდენთ ეროვნული მოძრაობის ტიპოლოგიას:

1. 1970-1987 წწ. როდესაც იქმნებოდა ქართული ეროვნული მოძრაობის საფუძვლები.

2. 1987-1989წწ. როდესაც ეროვნული ძალები ახდენდნენ ნაციონალისტური იდეების პროპაგანდას პრესის, საპროტესტო მიტინგების გამართვის გზით.

3. 1989 წლიდან სსრკ-ის იურიდიულ დაშლამდე, როდესაც სახეზე იყო პოლიტიკური ნაციონალიზმი (პოლიტიკური პარტიების/ალიანსების ფორმირება, არჩევნების, რეფერენდუმის ჩატარება, ინსტიტუციონალურ დონზე ტოტალიტარიზმის დემონტაჟისკენ გადადგმული ნაბიჯები, დამოუკიდებლობისთვის იურიდიული საფუძვლების შექმნა).

განვიხილავთ ეროვნული მოძრაობის სტრუქტურას და აქტივისტებს - რადიკალური (დისიდენტები, მემარჯვენე პარტიები) და ლიბერალური ფრთა (ინტელიგენცია, ცენტრისტურლი პარტიები, ზომიერი პოლიტიკური ორგანიზაციები), მათ დამოკიდებულებას საბჭოთა პოლიტიკაზე.

ცვლადების ოპერაციონალიზაცია.

ნაციონალიზმის აღმოცენებას სჭირდება რა გარკვეული წინაპირობები, მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის ფაქტორები, რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია და ხელი შეუწყო 1970-იან წლების საქართველოში შექმნილიყო ეროვნული მოძრაობის საფუძვლები.

საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დამყარებამ და სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ საფუძველი ჩაუყარა საპროტესტო მოძრაობებს.

საბჭოთა პერიოდში ადგილი ჰქონდა ოფიციალური ნაციონალიზმის განვითარებას, რაშიც იგულისხმება რეჟიმის ფორმირებისა და განმტკიცებისკენ გატარებული პოლიტიკა. მსგავსად სხვა ნაციონალისტური იდეოლოგიისა, ოფიციალური ნაციონალიზმი ამკვიდრებდა პრინციპებს იდენტობის ფორმირების, ტერიტორიული საზღვრების დადგენის, შესაბამისი პოლიტიკური, სოციო-ეკონომიკური და კულტურული მოწყობის მიზნით, რომელიც ეროვნებების წინააღმდეგ იყო მიმართული (ანდერსონი, 2003, გვ. 151-153). მიუხედავად იმისა, საქართველოს სსრ-ის მინიჭებული ჰქონდა იმპერიისგან გამოყოფის უფლება, ამის რეალიზება ტოტალიტარული სისტემის პირობებში შეუძლებელი იყო.

ჰ. არენდტის თანხმად, ტოტალიტარული რეჟიმი არის ცენტრალიზებული ერთპარტიული სისტემა, რომელიც ესწრაფვის შეუზღუდავ ბატონობას ქვეყნის შიგნით და მის გარეთ. მისი დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

1. ძალაუფლების კონსოლიდაცია. ტოტალიტარული რეჟიმებისთვის დამახასიათებელია ერთადერთი პარტია, რომელიც ითავსებს სახელმწიფოს ფუნქციებს და მას ხელმძღვანელობს ქარიზმატული ლიდერი. იგი ახდენს პოლიტიკური ცხოვრების მონოპოლიზებას. ძველი წესრიგის დანგრევის შემდეგ, ხელისუფლების ამოცანაა გაანადგუროს მისი მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტია, ჩაახშოს აზრის თავისუფლად გამოხატვა. დომინირების მისაღწევად პარტია ქმნის რეჟიმისადმი ლოიალურად განწყობილ ელიტებს. ძალაუფლების შენარჩუნების და განმტკიცების მიზნით ლიდერი იყენებს მასობრივ იდეოლოგიას და პროპაგანდას, ასევე ძალადობის მეთოდებს. ტოტალიტარულ სახელმწიფოში არსებობს საიდუმლო პოლიცია, რომელიც ახდენს ინფორმაციის მონოპოლიზირებას, აწესებს კონტროლს და ახდენს ზეწოლას საზოგადოებაზე, „სახელმწიფო მტრების“ წინააღმდეგ აწარმოებს ტერორის კამპანიას. ტოტალიტარული რეჟიმი ახორციელებს ეკონომიკის ცენტრალიზებულ კონტროლს.

2. სახელმწიფო იდეოლოგიის არსებობა დ ტერორი. იდეოლოგიის საშუალებით პარტია ხელში იღებს მართვის სადავეებს. იგი ადგენს საზოგადოების განვითრების კანონებს. ცენტრალიზებული ხელისუფლება მასობრივი იდეოლოგიის საშუალებით ახდენს ხალხის მობილიზებას პოლიტიკური მიზნების მიღწევისთვის. ტერორი ხელისუფლების განმტკიცების, იდეოლოგიის რეალიზაციის საშუალებაა. „საკონცენტრაციო ბანაკები“ ტოტალიტარული მმართველობის მნიშვნელოვანი ინსტიტუტია.

3. ტოტალიტარული მოძრაობები. იგი აერთიანებს ადამინათა ერთობას, რომელთა წევრებს მოეთხოვებათ ბელადებისადმი სრული ერთგულება. ტოტალიტარული მოძრაობები ახდენს მათ იზოლირებას გარე სამყაროსაგან და მათი ჩართვა საკუთარ ორბიტაში. ხდება საზოგადოების იდეოლოგიზირება. იდეოლოგია მყარი ორგანიზაციების გარეშე ვერ განხორციელდება. კონკრეტული პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია იდეებისა და ინფორმაციის მასობრივი გავრცელება, მისი პროპაგანდა.

4. უკლასო საზოგადოება. ტოტალიტარული რეჟიმი ახდენს არა კლასობრივი სისტემის შექმნას, მისი უფლებების აღიარებას, არამედ „მასების“ ფორმირებას. იგი ცდილობს საზოგადოების სრულ გარდაქმნას, მის იზოლაციას. ხელისუფლება ზღუდავს პოლიტიკურ ცხოვრებაში მათ მონაწილეობას, ქმნის პოლიტიკურად გულგრილ ადამიანთა ერთობას, რომელთა უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება უმცირესობების მიერ დამკვიდრებული, პარტიის საკუთარი წესების შესაბამისად (Arendt, 1976, pp. 308-465).

სსრკ-ის პოლიტიკა განიცდიდა რა ტრანსფორმაციას იმპერიის შენარჩუნების მიზნებიდან გამომდინარე, ეს ხელს უწყობდა ქართული ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბებას. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია დეცენტრალიზაციის პროცესები პოსტსტალინისტურ ეპოქაში.

საბჭოთა ნაციონალიზმს მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესების საზიანოდ ჰქონდა რუსული ელფერი. საბჭოთა ხელმძღვანელობა რუსიფიკაციის პოლიტიკით ცდილობდა იმპერიისადმი ლოიალურობის და სტაბილურობის უზრუნველყოფას. მართალია „კორენიზაციის“ და „ნატივიზაციის“ პოლიტიკით ადგილი ჰქონდა ინტეგრაციულ პროცესებს, საბჭოთა ხელისუფლება პარალელურად ერის და ეროვნებების განვითარებაზე ზრუნავდა, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობდა ქართული ნაციონალიზმის განვითარებას (Suny, 1994, p. 314).

ეთნიკურობის ინსტიტუციონალიზაცია იყო მნიშვნელოვანი ფაქტორი ქართული ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბებისთვის, რამეთუ ადგილობრივ ელიტას ჰქონდა რესურსები, რომლის საშუალებითაც ახდენდა ხალხის მობილიზებას.

საბჭოთა პერიოდში ქართული ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბებაზე გავლენა იქონია ინდუსტრიალიზაციის პროცესები, საგანმანათლებლო სისტემის განვითარება (Gellner 1983, p. 39).

ქართული ეროვნული მოძრაობის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა ჰელსინკის პროცესებმა.

„პერესტროიკის“ პერიოდში საბჭოთა რეჟიმის ლიბერალიზაცია იყო ხელშემწყობი ფაქტორები ქართული ნაციონალიზმის განვითარებისა.

- დამოკიდებული ცვლადი: ქართული ნაციონალიზმი 1970-1980-იან წლებში.

1980-იანი წლების შუა პერიოდამდე ადგილი ჰქონდა კულტურულ პროცესებს „კულტურული ნაციონალიზმის“ თეორიის თანახმად, ნაციონალიზმის პოლიტიკურ პროცესებს წინ უძღვის სწორედ კულტურული ნაციონალიზმი, რომლის უმთავრესი მიზანია ეროვნული საზოგადოების ფორმირება. კულტურული ნაციონალიზმისთვის დამახასიათებელია ენის, ლიტერატურის, ხელოვნების განვითარება, სხვა საგანმანათლებლო აქტივობები და იგი საფუძველს უყრის პოლიტიკურ ნაციონალიზმს (Hutchinson, 2013, p. 75).

საბჭოთა რეჟიმის ლიბერალიზაციის პირობებში, როდესაც უზრუნველყოფილი იყო პრესის თავისუფლება, აზრის გამოხატვის უფლება, ადგილი ჰქონდა ნაციონალიზმის პოლიტიკურ პროცესებს. ეს იყო „პოლიტიკის მაძიებელი ნაციონალიზმი“ - დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისკენ მიმართული ეროვნული მოძრაობა (ჯონსი, 2012, გვ. 71).

- დამოუკიდებელი ცვლადი: საბჭოთა რეჟიმის პირობებში ქართული ეროვნული მოძრაობის როლი ნაციონალიზმის განვითარებაში.

ქართული ეროვნული მოძრაობის განვითარება 1970-80წწ			
ეროვნული მოძრაობის ტიპები	1970-1983	1987-1989	1989-1991
ლიბერალური	ინტელიგენცია	„ილია ჭავჭავაძის საზოგადოება,“ ზომიერი პატიები, „შოთა რუსთაველის საზოგადოება“ (ინტელიგენცია).	ცენტრისტული პოლიტიკური ორგანიზაციები (ზომიერი პარტიები, ინტელიგენცია).
რადიკალური	დისიდენტები	„ილია ჭავჭავაძის საზოგადოება - მეოთხე დასი“, „ეროვნული ხსნის კომიტეტი“ (დისიდენტები, მემარჯვენე პარტიები).	მემარჯვენე ორგანიზაციები, ეროვნული კონგრესი, „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო (დისიდენტები).“

ცხრილი 1.

(წყარო: ავტორის შედგენილი)

ნაციონალიზმის ერთ-ერთ ფორმას, მის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს ეროვნული მოძრაობა (Hroch, 1996, p. 81). ნაციონალიზმის წარმოშობაში დიდია მის აქტივისტთა - ელიტების როლი. იგი ეთნიკური ჯგუფის კულტურის ასპექტებს ანიჭებს ახალ მნიშვნელობას და ფასეულებებს, იყენებს მას ჯგუფის მობილიზაციისათვის, რათა დაიცვას მისი ინტერესები. საბოლოო მიზანი ჯგუფის ცალკე ერად აღიარება და პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებაა (Brass, 1991, 63). ქართული ნაციონალიზმის შემთხვევაში ეროვნული მოძრაობის აქტივისტებს ძირითადად მოსახლეობის ზედა

ფენა წარმოადგენდა. 1970-იანი წლების საქართველოში საბჭოთა პერიოდში ზემო აღნიშნული პროცესების შედეგად სსრკ-ის პოლიტიკასთან მიმართებაში ქართული ეროვნული მოძრაობის აქტივისტთა ლიბერალური (ინტელიგენცია) და რადიკალური (დისიდენტები) ფრთა გამოიკვეთა. მათი ძალისხმევა თავდაპირველად მიმართული იყო კულტურული ნაციონალიზმის განვითარებისკენ, რასაც გარკვეულ ფარგლებში ხელს უწყობდა თავად საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკა. ეროვნული მოძრაობის აქტივისტები ენის, კულტურის, განვითარებას და კომუნისტური რეჟიმის საფრთხისგან ისტორიის, კულტურული თუ ლინგვისტური უფლებების დაცვას ცდლობდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ დისიდენტური მოძრაობის ძირითადი ბირთვი იყო უფლებადაცვითი საქმიანობა, რომელიც ყველა სხვ მიმდიონარეობის - პოლიტიკური, კულტურულ-სოციალური, ნაციონალური, რელიგიური და სხვ. გადაკვეთის ველი იყო (ბერძენიშვილი, 2011, გვ. 146).

აღსანიშნავია, რომ იმპერიის შენარჩუნების მიზნებიდან გამომდინარე საბჭოთა რეჟიმი განიცდიდა ტრანსფორმაციას, ადგილი ჰქონდა დეცენტრალიზაციის, ლიბერალიზაციის პროცესებს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა ეროვნულ მოძრაობას ძალა მოეკრიბა. საბჭოთა სისტემის ლიბერალიზაციამ ხელი შეუწყო ეროვნულ მოძრაობას შეექმნა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ აღნიშნულ პერიოდში დიდი როლი ითამაშა ნაციონალური ცნობიერების გამოღვიძებაში. ეროვნული იდეის აღორძინებისთვის მნიშვნელოვანია ერის ობიექტური კომპონენტების სუბიექტური ასახვა კოლექტურ ცნობიერებაში (Hroch, 1985, p. 11; 1996, p. 79). ეროვნული მოძრაობა საპროტესტო მიტინგების გამართვით, პრესის საშუალებით ცდილობდა ნაციონალისტური იდეების გავრცელებას ხალხში. თავდაპირველად მოთხოვნები შეეხებოდა კულტურულ საკითხებს, რაც ასევე გამოწვევების წინაშე აყენებდა კომპარტიის ოფიციალურ ნაციონალიზმს და პოლიტიკური შედეგის მომტანი იყო.

1989 წლს 9 აპრილიდან საქართველოს კომპარტიის გავლენა სუსტდებოდა და ჰქონდა ლიბერალური დამოკიდებულება ეროვნული მოძრაობის მიმართ. ქართულმა

ნაციონალიზმმა პოლიტიკური სახე მიიღო. ეს იყო ეროვნული მოძრაობის „პოლიტიკის მაძიებელი ნაციონალიზმი“ (ს. ჯონსი 2012: 71). ეროვნული მოძრაობა არჩევნების გზით ცდილობდა კომუნისტური ხელისუფლების დამხობას. რადიკალები, რომელშიც დისიდენტები შედიოდნენ, ეროვნული ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის ბოლო წლებში. დიდი იყო მათი როლი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისთვის იურიდიული საფუძვლების შექმნაში. მათ გადადგეს პირველი ნაბიჯები ტოტალიტარიზმის დემონტაჟისკენ, შეიქმნა მრავალპარტიული სისტემა, დაიწყო საბჭოთა რეჟიმის ინსტიტუტების ეროვნული ინსტიტუტებით ჩანაცვლება. მიღებულ იქნა დადგენილებები, რითაც გარკვეულწილად განამტკიცებდა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

რაც შეეხება მეთოდოლოგიას. კვლევის ძირითადი მეთოდია თვისებრივი მეთოდი - დოკუმენტების ანალიზი. მოხდება საბჭოთა პერიოდში საქართველოში განვითარებული პროცესების ანალიზი ნაციონალიზმის კუთხით. დისკურს-ანალიზის საფუძველზე მოხდება ცენტრსა და პერიფერიას შორის, ასევე ეროვნული მოძრაობის აქტივისტთა - რადიკალებსა და ლიბერალებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესწავლა. ნაშრომში გამოვიყენებთ კონტენტ-ანალიზის მეთოდს, რაც საშუალებას მოგვცემს გავაანალიზოთ ოფიციალური დოკუმენტები, საარქივო და ვიდეო მასალა. ნაშრომში გამოყენებულ იქნება კვლევითი ნაშრომები, სამეცნიერო სტატიები.

თავი 3. ლიტერატურის მიმოხილვა.

განვიხილავთ ნაშრომებს, რომლებიც საბჭოთა პერიოდში ქართულ ნაციონალიზმს, საქართველოში მიმდინარე კულტურულ, პოლიტიკურ პროცესებს შეეხება.

საბჭოთა საქართველოში განვითარებულ პროცესებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი წყაროა შსს არქივის გამოცემა - „საარქივო მოამბე“. იგი შედგენილია არქივში დაცულ ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში გასაიდუმლოებული იყო. ჩვენთვის საინტერესოა ჟურნალის მე-8, მე-9, მე-15 და მე-16 ნომრები რომლებიც შეეხება საქართველოს გასაბჭოებას, სსრკ-ის პოლიტიკას ქართული

მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ, რეპრესიებს. მნიშვნელოვანია საარქივო მოამბის მე-12 ნომერი, სადაც დაცულია გამსახურდიას, კოსტავას და სხვ დისიდენტების საქმეზე საქართველოს სსრ-ის ხელმძღვანელთა მიერ წარმოებული გამოძიების მასალები, დისიდენტთა არალეგალური გამოცემები „საქართველოს მოამბე“ და „ოქროს საწმისი“, რის შედეგადაც შესაძლებელია დისიდენტთა საქმინაობის, ძირითადი მიზნების შესახებ ინფორმაციის მოძიება, დისიდენტური მოძრაობის ისტორია, იმდროინდელი ხელისუფლების დამოკიდებულება დისიდენტებისადმი.

აღსანიშნავია იგორ კვესელავას წიგნი „ზვიად გამსახურდია: საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა: 1970-1990წწ,“ სადაც განხილულია ქართული დისიდენტური მოძრაობის ისტორია, ეროვნული ხელისუფლების მიზნები და დაპირისპირება ეროვნულ მოძრაობაში (კვესელავა, 2004). ავტორის მეორე წიგნი - „ზვიად გამსახურდია: დისიდენტი, პრეზიდენტი, მოწამე“ შეეხება 1980-90-იანი წლების საქართველოში განვითარებულ პროცესებს: ეროვნული მოძრაობის გააქტიურება და კომუნისტური ხელისუფლების დასასრული, დაპირისპირება ეროვნულ ხელისუფლებასთან. ავტორი განიხილავს როგორც გამსახურდიას როლს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაში, ასევე მის დამოკიდებულებას ოპოზიციასთან, შეცდომებს, რომლებმაც ხელი შეუწყო ხელისუფლების დამხობას (კვესელავა, 2007, გვ. 10-12).

მნიშვნელოვანია დიმიტრი შველიძის ნაშრომი - „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992)“, სადაც გაანალიზებულია პოლიტიკური პროცესები 1980-1990-იანი წლების საქართველოში. ავტორი ცდილობს ობიექტურად შეაფასოს წინააღმდეგობები ეროვნულ მოძრაობაში, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირებები (შველიძე, 2008, 2).

აღსანიშნავია ხათუნა მაისაშვილი სადისერტაციო ნაშრომი „ეროვნული იდენტობის რეპრეზზენტაცია 1990-1991 წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში“. ავტორი აანალიზებს

პრესაში საბჭოთა ხელისუფლების ბოლო წლებში საქართველოს უზენაესი საბჭოს/პრეზიდენტის, სახელისუფლებო ელიტის, არასახელისუფლებო ელიტის ჟურნალისტების, მოქალაქეების ეროვნული-იდენტობით დისკურსს (მაისაშვილი, 2010).

საბჭოთა პერიოდის საქართველოში განვითარებულ პროცესებთან დაკავშირებით საინტერესოა ყოფილი რუსი დისიდენტის ლუდმილა ალექსეევას წიგნი - „Soviet Dissent". ავტორი მიმოიხილავს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში აღმოცენებულ ეროვნულ მოძრაობების ისტორიას. ალექსიევა ქართული ეროვნული მოძრაობის წარმოშობას პოსტსტალინისტურ პერიოდში უკავშირებს საჭოთა რეჟიმის პოლიტიკას. საქართველოს ისტორიის გაყალბება, კულტურის ძეგლების სავალალო მდგომარეობა, რუსიფიკაცია, ადამიანის უფლებების დარღვევა და სხვ. წარმოადგენდა რა ანტიქართულ პოლიტიკას, ამის წინააღმდეგ ღიად თუ ფარულად გამოდიოდა ქართული ინტელიგენცია, სტუდენტური მოძრაობა, დისიდენტები (Alexeyeva, 1987: pp. 106-117).

საბჭოთა კავშირის მართვის მეთოდებთან, მის ეთნიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია იური სლეზკინის სტატია - „The USSR as a Communal Apartment, or How a Socialist State Promoted Ethnic Particularism", სადაც იგი აღწერს საბჭოთა ეთნოფედერალიზმის პრინციპს. ავტორის თანახმად, სსრკ აერთიანებდა საბჭოთა ხელისუფლებებს მოკავშირე რესპუბლიკებში, მათ „დამოუკიდებელი ოთახები ჰქონდათ გამოყოფილი ერთ კომუნალურ ბინაში". მათთვის მინიჭებულმა უფლებებმა, ეთნიკურობის ინსტიტუციონალიზაციამ ხელი შეუწყო არა პოლიტიკურ ერთეულებს შორის განსხვავებების წაშლას, არამედ ნაციონალისტური მოძრაობების ჩამოყალიბებას (Slezkine, 1994, pp. 415, 436, 462).

საბჭოთა პერიოდში ქართული ნაციონალიზმის განმსაზღვრელი გარე ფაქტორების ანალიზისას აღსანიშნავია, ასევე, რ. ბრუბაკერის ნაშრომი „Nationalism Reframed: Nationhood and the National Question in the New Europe". გამოჰყოფს სსრკ-ის პოლიტიკას

- მოკავშირე რესპუბლიკებში სახელმწიფოებრიობის ინსტიტუციონალიზაციამ დიდი როლი ითამაშა თავად იმპერიის ნგრევაში. რეჟიმის ლიბერალიზაციის დროს არსებული კვაზი-სახელმწიფოებრივი ერთეულების საშუალებით ადგილობრივ ელიტებს მიეცა შესაძლებლობა მოეხდინათ სახელმწიფოებრიობის ნაციონალიზება, ეთნოკულტურული ერთობის დაცვა. 1980-იანი წლების ბოლოს ადგილი ჰქონდა ცენტრსა და პერიფერიას შორის დაპირისპირებას სუვერენიტეტისთვის (Brubaker, 1996, pp. 23, 41-47). თუმცა ჩვენი აზრით, საბჭოთა პოლიტიკა არ იყო ერთადერთი ახსნელი ცვლადი ქართული ნაციონალიზმის ანალიზისას. გარე ფაქტორი იყო ხელშემწყობი და ქართული ეროვნული მოძრაობის აღზევებისთვის მნიშვნელოვანი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე.

პოსტსტალინისტურ ეპოქაში ქართული ნაციონალიზმის გაანალიზებისას რობერტ გრიგორი სუნი წიგნში - „The Making of Georgian Nation" გამოჰყოფს პოლიტიკურ და კულტურულ ფაქტორებს:

1. სტალინის ტერორის არარსებობის პირობებში შეიქმნა ნიადაგი მიძინებული ნაციონალისტური გრძნობების გამოღვიძებისა.

2. ხრუშჩოვმა უარყო რა სტალინის ცენტრალიზებული სისტემა, მოსკოვი ამ პერიოდიდან უკვე არაპირდაპირი გზით ერეოდა საქართველოს სსრ-ის შიდა პოლიტიკაში. თავად ადგილობრივ ინსტიტუტებს, პოლიტიკურ ელიტას მიეცა საშუალება ხელს შეეწყო ნაციონალიზმის კულტურული პროცესებისთვის. რ. სუნი, ასევე, აღნიშნავს ხრუშჩოვის პოლიტიკური რეფორმების მარცხს და ბრეჟნევის მიერ არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნებას, რომელმაც უკმაყოფილება გამოიწვია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში.

3. ნაციონალისტურ გრძნობებს აძლიერებდა დიდი ერის მიერ ასიმილაციის საფრთხე, რუსიფიკაციის, კულტურული მემკვიდრეობის, ცხოვრების წესის, ტრადიციების დაკარგვის საშიშროება.

4. სსრკ-ის ბოლო წლებში მიზნად იქნა დასახული რა არსებული რეალობის შესაბამისად სისტემის რეფორმირება და ინტერნაციონალიზმის უგულებელყოფა, მარქსისტული იდეოლოგიის ეროზიამ გზა გაუხსნა ქართულ ნაციონალიზმს და პატრიოტიზმს.

ავტორი პერესტროიკის პერიოდში აღნიშნავს ძლიერი ოპოზიციის შექმნის ტენდენციას, გამოჰყოფს 9 აპრილის მოვლენებს, როგორც ფაქტორს კომუნისტური პარტიის დისკრედიტაციისა (Suny, 1994, pp. 308, 314-325).

მნიშვნელოვანია სტივენ ჯონსის წიგნი - „საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის შემდეგ." ავტორის აღნიშვნით, პერსტროიკის პერიოდამდე საქართველოს ეროვნული მოძრაობა კულტურის საკითხებზე იყო ორიენტირებული. გორბაჩოვის რეფორმებმა ბიძგი მისცა რა საპროტესტო მოძრაობას კომუნიზმის წინააღმდეგ და 9 აპრილის მოვლენებმა ბოლო მოუღო რა კომუნისტური პარტიისადმი ნდობას, ოპოზიციამ დაიწყო ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის (ჯონსი, 2012, გვ. 35-49).

ასევე, აღსანიშნავია ს. ჯონსის სტატია - „Georgia: Nationalism from under the Rubble." ავტორის თანახმად, ეროვნული მოძრაობის სათავეში ზ. გამსახურდიას მოსვლა, მისი წარმატება საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში განაპირობა მისმა პოპულისტურმა ნაციონალიზმმა. ჯონსი ასევე, აღნიშნავს, რომ გამსახურდიას რადიკალურმა ნაციონალისტურმა პოლიტიკამ ნეგატიური შედეგებიც გამოიწვია. ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა სუვერენიტეტის დამცველ ნაციონალიზმს მიმართულს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისკენ. თუმცა გრდა გამსახურდიას პოლიტიკისა, ავტორი, ასევე, განიხილავს საბჭოთა მემკვიდრეობის, ქვეყნის შიგნით დეზინტეგრაციული პროცესების ეკონომიკური კოლაფსის და რუსეთის ფაქტორებსაც (Jones, 2006, pp. 256-263). დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე ქვეყანაში ადგილი ჰქონდა სეპარატისტულ ტენდენციებს, ქვეყანამ თავიდან ვერ აიცილა უმცირესობების

ნაციონალიზმი, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები (Hroch, 1996, p. 96). თუმცა ეს სხვა კვლევის საგანია.

ნატალია საბანაძე ნაშრომში - "Globalization and Nationalism: the Cases of Georgia and the Basque Country" - შეისწავლის ქართულ ნაციონალიზმის ისტორიას და გამოჰყოფს კულტურულ და პოლიტიკურ ფაქტორებს. ავტორის თანახმად, საბჭოთა პერიოდში ნაციონალიზმის წარმოშობას ხელი შეუწყო ნაციონალური კულტურის, ეთნიკური კავშირების შენარჩუნებამ და საბჭოთა რეჟიმის რეპრესიულმა და ავტორიტარულმა პოლიტიკურმა კულტურამ. ხოლო საბჭოთა რეჟიმის ლიბერალიზაციის პირობებში ეთნიკურმა იდენტობამ დიდი როლი ითამაშა ეროვნული მოძრაობის აღმავლობაში. ნაციონალიზმს როგორც ანტიკომუნისტურ იდეოლოგიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1980-იანი წლებიდან ნაციონალიზმის განვითარებაში (Sabanadze, 2010, pp. 80-90).

საბჭოთა პერიოდში ქართული ნაციონალიზმის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ირაკლი ჩხაიძის სადისერტაციო ნაშრომი - „ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ: ნაციონალური პროექტის დინამიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში". ნაშრომში 1970-1980-იან წლებში განვითარებული პროცესები ჯ. ჰატჩინსონის „კულტურული ნაციონალიზმის" თეორიულ ჩარჩოში არის განხილული. ავტორის თანახმად, *„საბჭოთა სახელმწიფოს დასუსტების და გარდაქმნის („პერესტროიკის") პროცესის დაწყების შემდეგ, კულტურული ნაციონალიზმის გაღვივებას დამოუკიდებლობის მოთხოვნების გაჩენა მოჰყვა და ქართულმა ნაციონალიზმმა მკაფიო პოლიტიკური ფორმა მიიღო."* აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორის თანახმად, 1980-იან წლებში ჩამოყალიბებულ რადიკალურ ეთნიკურ ნაციონალიზმს ჰქონდა დიდი მნიშვნელობა დამოუკიდებლობის მოპოვების თვალსაზრისით, თუმცა 1990-იანი წლების დასაწყისიდან ელიტის რადიკალური რიტორიკა გახდა დამაბრკოლებელი ფაქტორი ერის მშენებლობის პროცესში [ჩხაიძე, 2016, გვ. 6, 41].

ქართული ეროვნული მოძრაობის განვითარებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია დ. ჯოჯუას სტატია - „საქართველოს ეროვნული მოძრაობის პერიოდიზაციის საკითხისთვის“, სადაც მოკლედ არის განხილული XX საუკუნის II ნახევრიდან 1990-იანი წლების დასაწყისამდე ქართული ეროვნული მოძრაობის განვითარების დინამიკა. გამოჰყოფს შემდეგ ეტაპებს:

1. დისიდენტურ-ლატენტური ფაზა (1950-იანი წწ - 1986წ), როლისთვისაც დამახასიათებელია კომუნისტური დიქტატურის პირობებში დისიდენტების მიერ ეროვნული ცნობიერების აღდგენისკენ სწრაფვა, კულტურის, რელიგიის დაცვა.

2. ინსტიტუციონალიზაციის ფაზა (1987-1989წწ), როდესაც ეროვნული მოძრაობის ინსტიტუციური საფუძვლები ყალიბდება.

3. ლეგალიზაციის ფაზა (1989 წლის 9 აპრილიდან - 1990 წლის 28 ოქტომბრამდე), როდესაც დაიწყო საქართველოს კომუნისტური პარტიის კრიზისი, ადგილი ჰქონდა განხეთილებას ეროვნული მოძრაობაში.

4. ლეგიტიმიზაციის ფაზა (1990 წლის ოქტომბრიდან 1992 წლის 6 იანვრამდე) (დ. ჯოჯუა 2003: 135-153), როდესაც ხდება ეროვნული ძალების ხელისუფლებაში მოსვლა. თუმცა, ავტორის თანახმად, პუტჩისტების მიერ ეროვნული ხელისუფლების დამხობამ, რომელიც ინიცირებული და მართული იყო რუსეთიდან, იყო ქართული ნაციონალიზმის მარცხი (ჯოჯუა 2003, გვ. 135-153).

ჩვენს ნაშრომში განხილულ იქნება როგორც კულტურული, პოლიტიკური, ასევე სოციალური ფაქტორიც. შევისწავლით ეროვნული მოძრაობის განვითარების ეტაპებს მ. ჰროშის „ეროვნული მოძრაობის ფაზების,“ ასევე ჯ. ჰატჩინსონის „კულტურული ნაციონალიზმის“ თეორიების საფუძველზე. უმთავრეს ყურადღებას გავამახვილებთ პოლიტიკურ ფაქტორებზე, როგორც განმაპირობებელს 1970-1980-იანი წლების საქართველოში ნაციონლიზმის განვითარებისა. არსებული პოლიტიკური კონტექსტის,

ქართული ნაციონალიზმის განვითარებისთვის ხელშემწყობი თუ საფრთხისშემცველი გარემოებების გაანალიზებით შევისწავლით არა მხოლოდ საბჭოთა პოლიტიკის ფაქტორს, არამედ ეროვნული მოძრაობის როლს პ. ბრასის „ინსტრუმენტალიზმის“ თეორიის ფარგლებში.

4. თეორიული მიმოხილვა

საბჭოთა პერიოდში ქართული ნაციონალიზმის განვითარებას, ეროვნული მოძრაობის როლს დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე განვიხილავ მოდერნიზმის თეორიის ფარგლებში. ნაციონალიზმის თეორიულ მიმდინარეობებს შორის იგი ფართოდ გავრცელებული და დომინანტური თეორიაა. მოდერნიზმის არსი მდგომარეობს შემდეგში: ერები და ნაციონალიზმი ახალი ფენომენია და მათი ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ იწყება. იგი კლასიკური სახით ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნის 60-იან წლებში, რაც გარკვეულწილად დაკავშირებული იყო დეკოლონიზაციის პროცესებთან. უ. ოზკირიმლის თანახმად, მოდერნიზმი, თავის მხრივ, სამი ნიშნის მიხედვით იყოფა. ესენია: ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული (Ozkirimli, 2010, p. 72). ნაშრომში ყურადღება გამახვილდება სოციალურ-კულტურულ ფაქტორებზე (მ. ჰროშის - „ეროვნული მოძრაობის ფაზები“, ჯ. ჰატჩინსონი), რომელზე დაყრდნობითაც მოვახდენთ ქართული ნაციონალიზის ტიპოლოგიზაციას 1970-1980-იან წლებში. ხოლო ამხსნელ ცვლადს ნაციონალიზმის განვითარებისა განვიხილავთ პოლიტიკური ტრანსფორმაციის თეორიის ფარგლებში - პ. ბრასის „ინსტრუმენტალიზმი“.

საბჭოთა პერიოდში ეროვნული მოძრაობის განვითარების ეტაპებს განვიხილავთ მ. ჰროშის „ნაციონალიზმის ფაზების“ და ჯ. ჰატჩინსონის „კულტურული ნაციონალიზმის“ თეორიებზე დაყრდნობით. ჰროში საბჭოთა პერიოდში ნაციონალიზმის ასახსნელად გვთავაზობს ე. წ. „ახალი ნაციონალიზმის თეორიას“. ავტორის მიხედვით, ახალი ეროვნული მოძრაობები აღმოცენდა მას შემდეგ, რაც კომუნისტური რეჟიმის მხრიდან ზეწოლა შერბილდა.

ცნება „ნაციონალიზმი“ მრავალ მნიშვნელობას მოიცავს. მის ერთ-ერთ ფორმას, მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს ეროვნული მოძრაობა. მისი მიზნებია:

1. კულტურული და ლინგვისტური მიზნები, რაშიც იგულისხმება ეროვნული კულტურის განვითარება ადგილობრივ ენაზე და მისი დამკვიდრება განათლების, ადმინისტრაციის და ეკონომიკის სფეროში.

2. პოლიტიკური მიზნები - დემოკრატიის დამკვიდრება და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა.

3. სოციალური მიზნები - სრული სოციალური სტრუქტურის ფორმირება. ზოგადად ეროვნული მოძრაობისთვის მნიშვნელოვანია ელიტის, ბიუროკრატიის, მწარმოებელთა კლასის ჩამოყალიბება.

ჰროში განიხილავს ნაციონალიზმს აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის მაგალითზე და გამოჰყოფს ეროვნული მოძრაობის განვითარების 3 ფაზას: ნაციონალიზმის საწყისს ეტაპზე - A ფაზაზე, ეროვნული მოძრაობის აქტივისტები ყურადღებას ამახვილებენ ენის, კულტურის განვითარებაზე, ცდილობენ იმპერიისგან მომდინარე საფრთხეებისგან დაიცვან ეროვნული ისტორია, კულტურული თუ ლინგვისტური უფლებები. B ფაზაზე იწყება ეროვნული მოძრაობის მიერ ნაციონალური ცნობიერების ჩამოყალიბებისკენ მიმართული აქტივობები. ეროვნული ძალები ცდილობენ მოსახლეობის ფართო ფენებში ნაციონალისტური იდეების გავრცელებას და პროპაგანდას. ეროვნული მოძრაობის განვითარების ბოლო - C ფაზაზე, ყალიბდება ეროვნული თვითშეგნება და იქმნება სრული სოციალური სტრუქტურა. აღნიშნულ ეტაპზე საფუძველი ეყრება საერთო ეროვნულ მოძრაობას (Hroch, 1985, pp. 22-23; 1996, pp. 80-81, 89-93, 96; 1998, p. 91).

ამგვარად, ჯ. ჰატჩინსონის „კულტურული ნაციონალიზმის“ თეორიის მსგავსად, ,ეროვნული მოძრაობის განვითარების საწყის ეტაპზე ადგილი აქვს კულტურულ პროცესებს. ნაციონალიზმის პოლიტიკურ გამოვლინებას წინ უძღვის კულტურული

ნაციონალიზმი, რომლის უმთავრესი მიზანია ეროვნული საზოგადოების ფორმირება. კულტურული ნაციონალიზმისთვის დამახასიათებელია ენის, ლიტერატურის, ხელოვნების განვითარება, სხვა საგანმანათლებლო აქტივობები და იგი საფუძველს უყრის პოლიტიკურ ნაციონალიზმს (Hutchinson, 2013, p. 75).

ჰროშის თანახმად, ფაზებს შორის ტრანსფორმაციისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი:

1. ძველი წესრიგის კრიზისი. იქნება ეს აბსოლუტიზმი თუ კომუნიზმი, მისი ლეგიტიმურობის საკითხი დაკავშირებულია სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ და მორალურ დაძაბულობებთან. მე-19 საუკუნის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ნაციონალისტური მოძრაობის მსგავსად, ახალი ეროვნული მოძრაობის ტრანზიცია B ფაზაზე მოხდა ძველი წესრიგის კრიზისის დროს.

2. ვერტიკალური სოციალური მობილობის მაღალი დონე. დიდია ინტელექტუალების და ელიტის როლი ნაციონალური პროექტის შექმნაში, ნაციონალისტური იდეების გავრცელებაში.

3. სოციალური კომუნიკაციების როლი.

4. მხოლოდ ვერტიკალური სოციალური მობილობის და კომუნიკაციების მაღალი დონე არ არის საკმარისი პირობა B ფაზის განვითარებაში და შემდგომ C ფაზაზე ტრანზიციისთვის. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ნაციონალისტური შეფერილობის ინტერესთა კონფლიქტის არსებობა, რომელიც განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმპერიის ზეწოლის პირობებში. ეროვნული მოძრაობის აქტივისტები წამოჭრიან ენის, კულტურის, რელიგიის თუ სხვ საკითხებს, რომლებსაც საფრთხე ექმნება დომინანტი ჯგუფისგან და რომლებიც დაპირისპირების საბაბს ქმნის (Hroch, 1996, pp. 85-88, 96).

ა. ობერშალის „სოციალური მოძრაობის ე.წ. მობილიზაციის“ თეორიის თანახმადაც, კოლექტიური აქტივობის დასაწყებად უნდა არსებობდეს საფრთხე, რომელიც საზოგადოების და ეთნიკური ჯგუფის ინტერესებს უქმნის. აქტივისტებმა, ელიტებმა უნდა უზრუნველყოს ხალხის მობილიზაცია იდენტობის მარკერების საშუალებით (Oberschall, 2010, pp. 187-189).

ჰროში უმთავრეს ყურადღებას ამახვილებს სოციალურ-კულტურულ ფაქტორებზე ნაციონალიზმის ანალიზისას. აღნიშნულით აიხსნება ეროვნული მოძრაობის განვითარების დინამიკა. ჩვენ განვიხილავთ პოლიტიკურ ფაქტორს, როგორც 1970-1989-იან წლებში ქართული ნაციონალიზმის განვითარების განამაპირობებელი. განვიხილავთ ეროვნული მოძრაობის სტრუქტურას და მის აქტივისტებს, რომელთაც შექმნეს კომუნიზმის ალტერნატიული იდეოლოგია. უმთავრეს ყურადღებას გავამახვილებთ ქართული ეროვნული მოძრაობის აქტივისტთა რეაქციაზე საბჭოთა პოლიტიკაზე და მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე.

პ. ბრასის ინსტრუმენტალიზმის თეორიით შევისწავლით იმპერიულ სივრცეში ქართული ეროვნული მოძრაობის აქტივისტებს და მათ როლს ნაციონალიზმის განვითარებაში.

დიდია ეროვნული მოძრაობის აქტივისტთა - ინტელიგენციის როლი ნაციონალიზმის განვითარებაში. ბრასის თანახმად, კულტურული რესურსები, ნაციონალური იდენტობა არის ინსტრუმენტი დაპირისპირებული ელიტებისთვის მასების მხარდაჭერის მოსაპოვებლად ძალაუფლებისათვის ბრძოლაში. ელიტები ახდენენ ეთნიკურ ჯგუფში სოლიდარობის უზრუნველყოფას, რათა მიაღწიონ პოლიტიკურ მიზნებს. დაპირისპირებამ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მრავალეთნიკურ სახელმწიფოში განსხვავებულ ჯგუფებს შორის, ან თავად ეთნიკურ ჯგუფში, ან იმპერიულ სახელმწიფოს და პერიფერიას შორის.

განვიხილოთ ეთნიკური ჯგუფის მოთხოვნები, მიზნები, მობილიზაციის განამაპირობებელი ფაქტორები:

1. უთანასწორობა, რესურსების არათანაბარი განაწილება. ეთნიკური ჯგუფის პოლიტიზაციაზე გავლენას ახდენს ობიექტური ფაქტორები, ასევე სუბიექტური აღქმა უთანასწრორობისა. ცენტრსა და პერიფერიას შორის კონფლიქტები შეიძლება წარმოიშვას ამ უკანასკნელთა უფლებების დაცვის საფუძველზე და ამის მიზეზი შეიძლება იყოს ეკონომიკური (რესურსების არათანაბარი განაწილება), კულტურული (ლინგვისტური უფლებების შეზღუდვა, ცენტრის მიერ დამკვიდრებული ნორმებით დაბრკოლებები ეთნიკურ ჯგუფის განვითარებაში, ასიმილაცია) ან პოლიტიკური (ცენტრალიზაციის მაღალი დონე, კოლონიური მმართველობა, უმცირესობებზე ზეწოლა, მათი პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა) ფაქტორები. უმცირესობების მოთხოვნებს შეიძლება წარმოადგენდეს კულტურული ავტონომია, განსაკუთრებული სტატუსის მოპოვება, დემოკრატიული უფლებების დამკვიდრება, ძალაუფლების დეცენტრალიზაცია ან დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა.

2. ნაციონალური თვითშეგნების ჩამოყალიბება და პოლიტიკური მოძრაობის შექმნა. ნაციონალური მოძრაობის წარმატება დამოკიდებულია პოლიტიკურ ფაქტორებზე. ბრასის თანახმად, ნაციონალიზმი როგორც პოლიტიკა მოითხოვს პოლიტიკური ორგანიზაციის, რესურსების არსებობას და პოლიტიკური ხელმძღვანელობის უნარს მოახდინოს ხალხის მობილიზაცია. ელიტა ნაციონალური კულტურის, ფასეულობების, სიმბოლოების საფუძველზე აყალიბებს ეროვნულ იდენტობას. ნაციონალისტური ორგანიზაცია, რომელიც უნდა წარმოადგენდეს კონკრეტულ ეთნიკურ, ლინგვისტურ ან რელიგიურ ჯგუფს და დაიცავას მისი ინტერესები, მისი წარმატებისთვის მნიშვნელოვანია ძლიერი ლიდერის არსებობა, ორგანიზაციის შესაძლებლობები დაუპირისპირდეს ალტერნატიულ ჯგუფს და ცენტრის ზეწოლას ეფექტურად უპასუხოს.

3. სახელმწიფო პოლიტიკა. ხელისუფლების რეაქცია ეთნიკური ჯგუფების მითხოვნაზე და მის მიერ შემუშავებული მექანიზმი მნიშვნელოვანი ფაქტორია ნაციონალიზმის ანალიზისას. ეთნიკური ჯგუფის მობილიზაციის, მისი მხრიდან ზეგავლენის თავიდან აცილების მიზნით ხელისუფლება მიმართვს როგორც ექსტრემალურ ფორმას - რეპრესიებს (დეპორტაციიები, ეთნიკური წმენდა), ან ასიმილაციის პოლიტიკას, ინტეგრაციულ პროცესებს ან პოლიტიკურ პროცესებში მათი ჩართულობის გზით თანამშრომლობს მასთან. როცა ხელისუფლება დომინანტური ეთნიკური ჯგუფის კულტურასთან ასიმილაციით ცდილობს უმცირესობების იდენტობის შეცვლას, განცალკავებულობის თავიდან აცილებას, ამან შესაძლოა უბიძგოს უმცირესობას იბრძოლოს ენის, კულტურული ფასეულობების დაცვისთვის. ცენტრალური ხელისუფლება ტერიტორიული მთლიანობის და ერთიანობის შენარჩუნების მიზნით იყენებს ინსტიტუციონალურ მექანიზმს - ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის ფედერალურ ფორმას, სადაც ლინგვისტურად, კულტურულად განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფს ენიჭება პოლიტიკური ავტონომია. თუმცა თავის მხრივ დეცენტრალიზაციის პროცესებს შესაძლოა მოჰყვეს საპირისპირო შედეგი და ადგილი ჰქონდეს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია თავად სახელმწიფო პოლიტიკის ხასიათი და კონტექსტის ანალიზი.

4. პოლიტიკური კონტექსტი. ეთნიკური ჯგუფის მოთხოვნების, ელიტებს შორის დაპირისპირების ანალიზისას უნდა იქნეს განხილული პოლიტიკური კონტექსტი. ნაციონალიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია პოლიტიკური და სოციალური ორგანიზაციების შესაძლებლობები მოახდინოს ეთნიკურობის პოლიტიზაცია. მასზე გავლენას ახდენს თავად დომინანტური ჯგუფის პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ იგი აღიარებს უმცირესობების არსებობას, იგი ამყარებს კონტროლს მობილიზაციის თავიდან აცილების მიზნით, რასაც შესაძლოა მოჰყვეს საპასუხო რეაქცია და მოხდეს ეროვნული მოძრაობის გააქტიურება. ცენტრი ანიჭებს ასევე პოლიტიკურ უფლებებს პერიფერიას, რათა ლოიალურად განეწყოს იგი და შეინარჩუნოს ძალაუფლება. პოლიტიკური ავტონომიამ, თავის მხრივ, შესაძლოა ხელს შეუწყოს ადგილობრივი ნაციონალისტური ორგანიზაციის აღზევებას. მნიშვნელოვანია ცენტრში არსებული

ცვლილებები იქნება ეს სოციალური, თუ ეკონომიკური. მაგრამ უმთავრესია პოლიტიკური კრიზისი, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციების გააქტიურებას. ზოგადად კულტურული განსხვავებებით ვერ აიხსნება კონფლიქტი. ამის მიზეზია პოლიტიკური ფაქტორები - ძალაუფლებისთვის ბრძოლა.

ნაციონალიზტური ორგანიზაციის წარმატებითვის მნიშვნელოვანია მობილიზებული მოსახლეობის არსებობა. კულტურული იდენტურობის პოლიტიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ეთნიკური თვითშეგნების გარკვეულ დონეზე და გარკვეულ პირობებში. მნიშვნელოვანია თავად ნაციონალისტური ორგანიზაციის და ლიდერის უნარი და ეთნიკურ ჯგუფთან კომუნიკაცია, დარწმუნება რომ ის ერის ინტერესებს წარმოადგენს. ასევე მნიშვნელოვანია ცენტრთან დამოკიდებულება და შემუშავებული სტრატეგია.

დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას კი იწვევს შემდეგი ფაქტორები: მრავალეთნიკური საზოგადოების არსებობა, დახურული პოლიტიკური სისტემა, ცენტრსა და პერიფერიას შორის ძალაუფლების ასიმეტრიული განაწილება და მათ შორის იდეოლოგიური დაპირისპირირებები, გარე ძალების ჩარევა პერიფერიის პოლიტიკაში (Brass, 1991, pp. 43- 65, 201).

5. ქართული ეროვნული მოძრაობის საფუძვლები 1970-იან წლებში

1980-იანი წლების ბოლოდან მოხდა ქართული ეროვნული მოძრაობის გააქტიურება, ხელისუფლების სათავეში ნაციონალისტური ძალების მოსვლა, რომელთა საფუძვლების ჩამოყალიბება 1970-იანი წლების პერიოდიდან იწყებოდა. აღნიშნულ თავში განვიხილავთ, თუ რა ფაქტორებმა განაპირობა და მოახდინა გავლენა შექმნილიყო ქართული ეროვნული მოძრაობის საფუძვლები აღნიშნულ პერიოდში.

სსრკ, რომელიც მიზნად ისახავდა ტოტალიტარული რეჟიმის მშენებლობას, პარალელურად გარკვეულწილად ხელს უწყობდა მოკავშირე პოლიტიკურ ერთეულებში კულტურული ნაციონალიზმის განვითარებას. პოსტსტალინისტურ

ეპოქაში ქართული ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბებაზე გავლენა იქონია, ასევე, ჰელსინკის პროცესებმა.

1970-იან წლებში ქართული ნაციონალიზმის ფორმირებაში ხელმძღვანელ როლს ძირითადად ასრულებდა მოსახლეობის ზედა ფენა. აღნიშნულ პერიოდში საქართველოში ეროვნული მოძრაობის აქტივისტები იყვნენ საბჭოთა რეჟიმისადმი რადიკალურად განწყობილი დისიდენტები და ინტელექტუალური ელიტა, რომელთაც ლიბერალური პოზიცია ჰქონდათ და საბჭოთა რეჟიმისადმი ლოიალურად განწყობილი ნომენკლატორული ინტელიგენცია მათ ხელს არ უშლიდა ინტელექტუალურ საქმიანობას. 1970-ინი წლების საქართველოში საბჭოთა რეჟიმის პირობებში ეროვნული მოძრაობა არ გამოდიოდა პოლიტიკური მოთხოვნებით. აღსანიშნავია ისიც, რომ თერგდალეულების ძალისხმევით ჩამოყალიბებული ქართული ნაციონალური პროექტი, კულტურული ნაციონალიზმი უფრო გამყარდა საბჭოთა პერიოდში (Reisner, 2009, 46). მოსახლეობის ჩაბმას საპროტესტო გამოსვლებში ადგილი არ ჰქონია 1978 წლის 14 აპრილის მოვლენების გარდა.

5.1. საბჭოთა ტოტალიტარული სისტემა

საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დამყარებამ და სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ საფუძველი ჩაუყარა საპროტესტო მოძრაობებს საქართველოში. პირველი აჯანყება მოხდა სვანეთში. 1922წ. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეიქმნა პარტიზანული დაჯგუფებები, რომელთაც ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით მოაწყვეს აჯანყება დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით. საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ გაერთიანდა საქართველოს წამყვანი პოლიტიკური პარტიები[4] და დაიწყეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით ბრძოლის ორგანიზება. მათ 1924 წელს შექმნეს ინტერპარტიული ორგანიზაცია - „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, რომელმაც საქართველოს რეგიონებში შექმნა იატაკქვეშა პოლიტიკური ორგანიზაციები და გეგმავდა ანტისაბჭოთა შეარაღებული გამოსვლის მოწყობას 1924 წლის აგვისტოს. 1924

[4] სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, სოციალისტ-რევოლუციონეთა პარტია.

წლის აჯანყებამ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი მოიცვა. თუმცა საბჭოთა ხელისუფლებამ ყველა ამბოხი სისხლში ჩაახშო (საარქივო მოამბე #9, გვ. 37, 63-68).

აჯანყებების ჩახშობის შემდეგ, ქვეყანა რეპრესიებმა მოიცვა. სტალინის ხელისუფლება საბჭოთა იმპერიის გაძლიერებისა და დიქტატურის განმტკიცების მიზნით ღალატსა თუ კრიტიკაში ნებისმიერი ეჭვმიტანილის მოსაშორებლად იყენებდა ძალადობრივ მეთოდებს. 1930-იანი წლების რეპრესიები შეეხო თითქმის ყველა სოციალურ ფენას. საბჭოთა ხელისუფლება პოლიტიკური ელიტის, პარტიული ოპოზიციონრების, ნაციონალური იდეის მატარებლების (მენშევიკები, „ნაციონალ-უკლონისტები“, „ტროცკისტები“ და სხვა.) და სხვ. მიმართ იყენებდა ტერორის მეთოდებს, ახორციელებდა ზეწოლას, აპატიმრებდნენ, კლავდნენ უდანაშაულო ადამიანებს. საბჭოთა ტერორმა პიკს მიაღწია 1937წ. რეპრესირებულ იქნა, მათ შორის, ინტელიგენციის დიდი ნაწილი[5] (საარქივო მოამბე, #10, გვ. 79-133; #16, გვ. 156). აჯანყებების და რეპრესიების შემდეგ სტალინის შეუდგა ტოტალიტარული რეჟიმის მშენებლობას და განმტკიცებას.

საბჭოთა კონსტიტუციის თანახმად, სსრკ შეიქმნა სოციალისტური ფედერალიზმის პრინციპის საფუძველზე, ერების თავისუფალი თვითგამორკვევის და თანასწორუფლებიან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანების შედეგად.[6] მოკავშირე რესპუბლიკებს მინიჭებული ჰქონდათ საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლებაც.[7] თუმცა სსრკ ტოტალიტარული რეჟიმი იყო და ფორმალურად აღიარებდა მათ სუვერენულ უფლებებს. საბჭოთა იმპერია, რომელიც დაპყრობილ ხალხთა კონგლომერატს წარმოადგენდა, სადაც ერთმანეთისგან განსხვავებული 100-ზე მეტი ერი თუ ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობდა, იმპერიის შენარჩუნების მიზნით მისი ტერიტორიული მოწყობა იყო ფედერალიზმი და იგი იერარქიულად იყო ორგანიზებული. საბჭოთა ეთნოფედერალიზმი ცენტრალიზებულ სისტემას წარმოადგენდა. მოკავშირე პოლიტიკურ ერთეულებს ენიჭებოდა

[5] რეპრესიებმა იმსხვერპლა მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი და სხვ. ინტელიგენციის ნაწილი გადასახლებაში გაუშვეს, ნაწილი კი ტერორის გზით დაიმორჩილეს. ხოლო მათი ნაწარმოებები აიკრძალა.
[6] Конституция Союза Советских Социалистических Республик. 1924 г, Статья 2; 1977 г, Статья 72.
[7] Конституция Союза Советских Социалистических Республик. 1936 г, Статья 17.

ავტონომიურ სტატუსს. უმაღლესი საერთო საკავშირო ხელისუფლების გვერდით თანაარსებობდა მოკავშირე რესპუბლიკები და ამ უკანასკნელთა ავტონომიური ოლქები და მხარეები. საქართველოს სსრ-ში აფხაზეთს და აჭარას ჰქონდა მინიჭებული ავტონომიური სსრ-ის სტატუსი, ხოლო სამხრეთ ოსეთი წარმოადგენდა ავტონომიური ოლქს.[8] ავტონომიური ერთეულები კი, თავის მხრივ, „სეპარატიზმისგან" დაცვის მექანიზმი იყო, რამეთუ სსრკ-დან გამოყოფის მცდელობას შესაძლოა გამოეწვია სეპარატიზმი თავად მოკავშირე რესპუბლიკებშიც (Sakwa, 1998, p. 97).[9]

მოკავშირე რესპუბლიკებში ნაციონალიზმის აღკვეთის და გავლენის გავრცელების მიზნით ცენტრალური ხელისუფლება ახდენდა ადგილობრივ დონეზე ეროვნებების და ეთნიკური ჯგუფების პოლიტიკურ ინსტიტუციონალიზებას (Brubaker, 2005, pp. 23-25). ადგილობრივ პოლიტიკურ ერთეულებს ჰქონდათ მართვის ორგანოები და რესურსები. საბჭოთა ეთნოფედერალიზმის შედეგად ჩამოყალიბდა ავტონომიური პოლიტიკური ინსტიტუტები, ეთნიკურად ქართველი პოლიტიკური ელიტა, რომელთაც დაამყარა კონტროლი ქვეყნის ტერიტორიაზე. მაგრამ რეალური ძალაუფლება საკავშირო ხელისუფლების ხელში იყო. ადგილობრივი ელიტები, უპირველ ყოვლისა, სსრკ-ის მიმართ უნდა ყოფილიყვნენ ლოიალურნი, მათ ცენტრალური ხელისუფლების მითითებების საფუძველზე უნდა ემართათ. ეთნიკური თუ ეროვნული კავშირები მეორეხარისხოვანი უნდა ყოფილიყო ადგილობრივი ელიტებისთვის (Sakva, 1989: pp. 300, 302; Cornell, 2002, p. 147). სსრკ, რომელიც ცენტრალიზებულ ბიუროკრატიული სახელმწიფო იყო, მის განკარგულებაში იყო ძალოვანი სტრუქტურები. იგი განსაზღვრავდა საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართულებებს და აკონტროლებდა მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას. კომუნისტური ხელისუფლების უმაღლესი ხელმძღვანელობა - ნომენკლატურა - ამყარებდა კონტროლს

[8] Конституция Союза Советских Социалистических Республик (1936 г), Статья 25.

[9] ს. კორნელი სწორედ ავტონომიურ სტრუქტურებს გამოჰყოფს, როგორც ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს ეთნიკური მობილიზაციისა. საბჭოთა პერიოდში შექმნილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და ხამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შედეგად ჩამოყალიბდა რა პოლიტიკური ინსტიტუტები, ეს ხელს უწყობდა 1980-1990-იან წლებში „სუვერენიტეტის" იდეის გარშემო ხალხის მობილიზებას. ავტონომიური სტრუქტურების შედეგად მათ ჰქონდა კავშირი სსრკ-ის ხელისუფლებასთან, რომელიც უზრუნველყოფდა მხარდაჭერას ბრძოლაში (Cornell, 2001, pp. 65-67).

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, მონოპოლია ჰქონდა პრესაზე, ტელევიზიაზე (Nodia, 2000, გვ. 46, 47).

საბჭოთა ეკონმიკური სისტემა იყო ცენტრალიზებული. მოკავშირე რესპუბლიკებში ტრადიციული დარგების განვითარება იგეგმებოდა ცენტრიდან ადგილობრივი თავისებურებების სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე, რაც დიდ სირთულეებს ქმნიდა. თუმცა მეოცე საუკუნის დასაწყისიდანვე სსრკ-ის მასშტაბით დაწყებული ინდუსტრიალიზაციის შედეგად საქართველო აგრარულიდან ინდუსტრიულ საზოგადოებად გარდაიქმნა (Suny, 1994, p. 296).

სსრკ-ის მრავალეროვული იმპერიისთვის უმთავრეს საკითხს „ეროვნული საკითხი“ წარმოადგენდა. სსრკ-ის „ნაციონალური“ პოლიტიკის განმსაზღვრელად იქცა ი. სტალინის წერილი „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი.“ სტალინი სახელმწიფოებრიობას გამორიცხავდა ერის ნიშნად და აღნიშნავდა, რომ ერი არის ადამიანთა მყარი ერთობა, რომელიც წარმოშობილია საერთო ენის, ტერიტორიის, ეკონომიკის და კულტურაში გამოხატული ფსიქიკური წყობის ერთობის საფუძველზე (სტალინი, 1951, გვ. 319). აღნიშნულ პრინციპს ეფუძნებოდა სწორედ საბჭოთა ეთნოფედერალიზმი. ბოლშევიკები, რომლებიც ეყრდნობოდნენ მარქსიზმის ლენინურ-სტალინისტურ ინტერპრეტაციას, მიიჩნევდნენ, რომ ეროვნული განსხვავებულობის აღმოფხვრას შეძლებდა პროლეტარიატის დიქტატურა. საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა კლასობრივი უთანასწორობის და საბოლოოდ ეროვნული განსხვავებულობის აღმოფხვრის მიზნით შეექმნათ უკლასო კომუნისტური საზოგადოება. ერები და ეროვნებები არ უნდა ყოფილიყვნენ უეროვნებო პროლეტარები, არამედ ფორმაციის უმაღლეს საფეხურზე ასული ერები. „სოციალიზმის მშენებლობას“ უნდა მოჰყოლოდა ახალი ისტორიული ერთობის - „საბჭოთა ხალხის“ ფორმირება,[10] რაც ადგილობრივი ეთნიკური იდენტობისა და ეროვნულობის წინააღმდეგ იყო მიმართული (Suny, 2001, pp. 239-1916).

[10]Конституция Союза Советских Социалистических Республик. 1977 г, Статья 70.

საბჭოთა იდენტობის შექმნა და საბჭოთა რეჟიმისადმი ლოიალურობა უნდა უზრუნველყო „კორენიზაციის“ და „ნატივიზაციის“ პოლიტიკას, რომლის განხორციელებაც სტალინმა 1920-30-იან წლებში დაიწყო. აღნიშნული პოლიტიკით ცენტრალური ხელისუფლება „საბჭოთა ხალხის“ ფორმირებისკენ გადაგმული ნაბიჯების პარალელურად იმპერიის მიზნებიდან გამომდინარე ცდილობდა ერის და ეროვნებების განვითარებას (Suny, 1994, pp. 221, 314), რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა, ასევე, ნაციონალიზმის განვითარებას მოკავშირე პოლიტიკურ ერთეულებში. „კორენიზაციის“ პროექტში, ასევე, იგულისხმებოდა ის, რომ ინტელიგენციას და პოლიტიკურ ელიტებს ხელი უნდა შეეწყო ახალი საბჭოთა იდენტობის ჩამოყალიბებისათვის. მოკავშირე ავტონომიურ ერთეულებში ნაციონალიზმის აღმოფხვრის მიზნით ცენტრალურ ხელისუფლებას უნდა შეექმნა ინტერნაციონალისტური მარქსისტული იდეოლოგიის მხარდამჭერი საბჭოთა ინტელიგენცია და პოლიტიკური ელიტა. ამ მიზნით სსრკ ახდენდა ერების და ეთნიკური ჯგუფების ინსტიტუციონალიზებას (Suny, 2001, 255). სტალინის მითითებით მოკავშირე რესპუბლიკები და ავტონომიური ერთეულები ქმნიდნენ ისტორიებს, დამწერლობებს, ხელს უწყობდა ენების განვითარებას, რაც საკუთარი გამორჩეულობის განმტკიცებას უზრუნველყოფდა (Y. Slezkine 1994: 414-415). ახალი იდენტობის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანი იყო განათლება ხელმისაწვდომი ყოფილიყო მოსახლეობის ფართო ფენებისთვის. ამიტომ საბჭოთა პერიოდში შეიქმნა მრავალი სასწავლო დაწესებულება. საქართველოში განათლების დონე საგრძნობლად გაიზარდა. ქართული ინტელიგენცია აგრძელებდა მეცნიერებაში, ხელოვნებაში თუ განათლების სფეროში მოღვაწეობას (დ. მუსხელიშვილი, 2012, გვ. 483). ამასთანავე, კორენიზაციის პოლიტიკას უნდა დაერწმუნებინა კომუნისტური რეჟიმის, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების უმაღლესი საფეხურის უპირატესობაში და მათ მშობლიურ ენებზე უნდა ეუწყებინათ კომუნიზმის აღსრულება.

საბჭოთა რეჟიმი ამყარებდა მონოპოლიას ინფორმაციის საშუალებებზე (საარქივო მოამბე, #5, გვ. 9). არსებობდა სხვადასხვა პროპაგანდისტული საშუალებები, რომელიც „ძმობის, ერთობის და სოლიდარობის რიტორიკა ინტერნაციონალიზმის ქადაგებას და

საზოგადოების ნაციონალისტური განწყობებისგან გათავისუფლებას ისახავდა მიზნად. (Suny, 2001, p. 240). ბოლშევიკების ძალისხმევის შედეგად კომუნისტური იდეალები თანდათანობით ჩაჯდა აზროვნებაში, ფსიქიკაში. პარალელურად საბჭოთა რეჟიმმა ინტეგრაციული პროცესები განათლების სისტემაში. ამის გამოძახილია ის, რომ 1956 წლიდან სასწავლო პროგრამა კომუნისტური იდეოლოგიის პრინციპების მიხედვით იყო შედგენილი და აღარ ასწავლიდნენ ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის ავტორობით შედგენილ საქართველოს ისტორიას. ასწავლიდნენ სსრკ-ის ისტორიას, სადაც უმთავრესი ყურადღება ეთმობოდა ინტერნაციონალიზმის და ერების დაკნინების იდეების პოპულარიზაციას. ასევე, ცენზურა იყო დაწესებული პოეზიის, პროზის, სტატიების პუბლიკაციაზე (საარქივო მოამბე, #15, გვ. 118-128; #16).

აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი დ მისი პოლიტიკა იცვლებოდა კონკრეტული პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზნების შესაბამისად და არსებული სიტუაციის ფონზე. მსოფლიო ომის მოახლოებასთან ერთად ძირითადი აქცენტი მიზანმიმართულად კეთდებოდა ეროვნულ ფასეულობებზე. გაჩნდა პატრიოტული გრძნობების წახალისების საჭიროება, რაც აისახა კულტურაში, მხატვრულ ლიტერატურაში, კინემატოგრაფიასა თუ დრამატულ თეატრში. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე საბჭოთა პოლიტიკა წარიმართა სტალინური რეპრესიული რეჟიმის განმტკიცებისაკენ (დ. მუსხელიშვილი 2012, 487-499).

რელიგია წარმოადგენს რა ეთნიკური იდენტობის უმნიშვნელოვანეს მარკერს, იგი ხელისშემშლელი იქნებოდა საბჭოთა იდენტობის მშენებლობაში. ათეიზმს უნდა უზრუვნელყო ეროვნული და რელიგიური განსხვავებების მოშლა და სუპრანაციონალური ერთობის ჩამოყალიბება. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა რელიგიის როლის დაკნინებას და ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო საბჭოთა რეჟიმის დამყარებისთანავე. 1920-იანი წლებიდან მასობრივად მიმდინარეობდა ეკლესია-მონასტრების დახურვა. ქვეყანაში მოქმედ ეპარქიათა რიცხვი შემცირდა შვიდჯერ, ხოლო 1000-ზე მეტი მოქმედი ეკლესიიდან დარჩა მხოლოდ 44.

ანტირელიგირური კამპანიის შედეგად ხდებოდა საეკლისიო ქონების გაზიდვა, ხატების და საღვთისმსახურო წიგნების განადგურება, ეკლესიის გადაკეთება ბიბლიოთეკებად, სკოლებად, თეატრებად. საბჭოთა ხელისუფლება მღდვდლებს უკრძალავდა ღვთისმსახურების აღსრულებას. ელესიისაგან მრევლის ჩამოცილების მიზნით საბჭოთა ხელისუფლება ეწეოდა ანტირელიგიურ აგიტაცია-პროპაგანდას[11] („საარქივო მოამბე, #8, გვ. 44-53, 66-90). საქართველოში ეკლესიის უფლებებისთვის იბრძოდა არა მარტო სასულიერო პირები, არამედ რელიგიის საკითხის წინ წამოწევა დისიდენტების საზრუნავსაც წარმოადგენდა.

პოსტსტალინისტურ პერიოდში სიტუაცია შედარებით შერბილდა. თუმცა ტოტალიტარული რეჟიმის აგრესიული ბუნება გამოჩნდა 1956 წლის 9 მარტს, როდესაც მშვიდობიანი დემონსტრანტები ძალის გამოყენებით დაარბიეს (საარქივო მოამბე #2, გვ. 67). აღსანიშნავია, რომ ხრუშჩოვმა უარყო სტალინის ცენტრალიზებული სისტემა. მოსკოვი ამ პერიოდიდან უკვე არაპირდაპირი გზით ერეოდა საქართველოს სსრ-ის შიდა პოლიტიკაში. თავად ადგილობრივ ინსტიტუტებს, პოლიტიკურ ელიტას მიეცა საშუალება ხელი შეეწყო ნაციონალიზმის კულტურული პროცესებისთვის. მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერა ჰელსინკის ხელშეკრულებას, აღიარებულ იქნა დემოკრატიული პრინციპები. *„საბჭოთა ხელისუფლების პრიორიტეტია მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათი უფლებების დაცვისთვის მყარი გარანტიების შექმნა..“* [12] დაიწყო ადგილობრივი კადრებით სახელისუფლებლო ორგანოების დაკომპლექტება. 1970 წლისათვის ნომენკლტურის უმრავლესობას ეთნიკური ქართველები შეადგენდა (76%) (ჩხაიძე, 2016, გვ. 39). თუმცა ადამიანის უფლებების და თავისუფლების აღიარება ფორმალურ ხასითს ატარებდა. ხრუშჩოვის, ბრეჟნევის ხელისუფლება მიზნად ისახავდა არსებული სტატუს-ქვოს შენარჩუნებას. მართალია იყო შედარებით მეტი თავისუფლება ეროვნული კულტურის განვითარებისთვის, მაგრამ ახალი საბჭოთა ხალხის ფორმირება იყო უმთავრესი მათი

[11] 1922 წლიდან დაიწყო გაზეთ „უღმერთოს გამოცემა, 1920-იან წლებში შეიქმნა ანტირელიგიური ორგანიზაცია - „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“, ანტირელიგიურ მუშათა უნივერსიტეტი, ანტირელიგიური მუზეუმი. განსაკუთრებული სიმკაცრე იყო დაწესებული რელიგიური დღესასწაულების დროს.

[12] Конституция Союза Советских Социалистических Республик. 1977 г, Статья 9.

ხელისუფლებისთვისაც. [13] (Suny, 1994, p. 308). ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია 1978 წელს ქართული ენის სტატუსთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილებების მცდელობა.

„პერესტროიკის“ პერიოდში კი საბჭოთა რეჟიმის ლიბერალიზაცია იყო ხელშემწყობი ფაქტორი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისა. თუმცა ეროვნული პროცესებისთვის ხელის შეშლის მიზნით საბჭოთა რეჟიმი იღებდა ზომებს. ძალის მეთოდების გამოყენებას კვლავ ჰქონდა ადგილი, რასაც 9 აპრილის მოვლენები ადასტურებს. გორბაჩოვის ხელისუფლება იმპერიის შენარჩუნების მიზნით ცდილობდა შეეზღუდა საქართველოს სუვერენული უფლებები, რასაც ქვემოთ განვიხილავთ. „პერსტროიკის“ პერიოდში საქართველოში ადგილი ჰქონდა სეპარატისტულ ტენდენციებს. საქართველომ თავიდან ვერ აიცილა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები.

საბოლოოდ სსრკ-ში პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის გამწვავებამ, გორბაჩოვის რეფორმებმა, მოკავშირე რესპუბლიკებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების გააქტიურებამ საბჭოთა იმპერია დაშლამდე მიიყვანა.

5.2. ჰელსინკის პროცესები

ქართული ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ჰელსინკის პროცესებმა. 1975 წელს ჰელსინკში მიმდინარეობდა ევროპული უშიშრობისა და თანამშრომლობის მონაწილე სახელმწიფოების თათბირი, რის შედეგადაც ევროპის ქვეყნების, აშშ-ის, კანადის, სსრკ-ის და სოციალისტური ბანაკის სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ჰელსინკის ხელშეკრულებას. ამ დოკუმენტის დასკვნითი აქტში ჩამოყალიბებული იყო 10 პრინციპი, რომელთაც ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები იხელმძღვანელებდნენ ერთმანეთთან ურთიერთობის დროს. ეს პრინციპები იყო: სუვერენული თანასწორობის და სუვერენიტეტისათვის

[13]Конституция Союза Советских Социалистических Республик. 1977 г, Статья 70.

დამახასიათებელ უფლებათა პატივისცემა; ძალის ან ძალით დამუქრების გამოუყენებლობა; საზღვრის ურღვევობა; სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა; დავის მშვიდობიანი მოგვარება; საშინაო საქმეებში ჩაურევლობა; ადამიანის უფლების და ძირითადი თავისუფლების, მათ შორის აზრის, სინდისის, რელიგიის, რწმენის თავისუფლების პატივისცემა; ხალხთა თანასწორუფლებიანობა და საკუთარი ბედის გამგებლობის უფლება; სახელმწიფოთა თანამშრომლობა და საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ ვალდებულებათა კეთილსინდიდიერი შესრულება (Helsinki Act, 1975, 4-10).

მას შემდეგ, რაც სსრკ-მა ხელი მოაწერა ჰელსინკის აქტს, მოსკოვსა და სხვა ქალაქებში, მოკავშირე რესპუბლიკებში ჩამოყალიბდა დისიდენტური მოძრაობები (Alexeyeva, 1987).

5.3. ქართული ნაციონალიზმის გამოვლინებები

საბჭოთა რეჟიმის პირობებში მკაცრად იყო რა შეზღუდული პოლიტიკური ნაციონალიზმის ყოველგვარი ფორმა, ეროვნული განწყობების გამოვლენა ხდებოდა სწორედ ლიტერატურაში, ხელოვნებაში, სპორტის და სხვ სფეროებში. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საბჭოთა რეჟიმი ცდილობდა საბჭოთა იდენტობის განვითარებას. მიუხედავად იდეოლოგიური ზეწოლისა, მიღწევები ეროვნულ წარმატებად განიხილებოდა (ჩხაიძე, 2016, გვ. 35). საბჭოთა პერიოდში დიდ აღმავლობას განიცდიდა ქართული თეატრი, კინო, ქორეოგრაფია, სამუსიკო ხელოვნება. აღსანიშნავია ისიც, რომ დიდი წარმატებები იქნა მიღწეული სპორტში. 1981 წ. საფეხბურთო კლუბ - თბილისის „დინამოს“ მიერ ევროპული თასის მოპოვება ეროვნული მნიშვნელობის იყო. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ საკავშირო ფედერაციისაგან გამოაცხადა დამოუკიდებლობა, რითაც ხაზი გაესვა ფეხბურთის კავშირს ნაციონალიზმთან (ჩხაიძე, 2016, გვ. 35).

ინტელიგენცია. ქართულ ინტელიგენცია სსრკ-ის ისტორიის მანძილზე, სტალინის ტერორის პირობებშიც კი, ზრუნავდა ერის კულტურულ ღირებულებათა დაცვასა და განვითარებაზე. პოსტსტალინისტურ პერიოდში კომუნისტური ხელისუფლება არ

ახორციელებდა რეპრესიულ პოლიტიკას. პოლიტიკური ლეგიტიმაციის განმტკიცების მიზნით იგი ცდილობდა რეჟიმისადმი ლოიალურად განეწყო ინტელიგენცია და საბჭოთა სახელმწიფოს იმპერიის მშენებლობის პროცესში ჩაერთო იგი. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ე.წ. ნომენკლატორული ინტელიგენცია, რომელიც იყო კომუნისტური ხელისუფლების წარმომადგენელი მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროში (Nodia, 2000, p. 48). ხოლო ვინაიდან საბჭოთა რეჟიმი „საბჭოთა იდენტობის“ ფორმირების პარალელურად ხელს არ უშლიდა მოკავშირე პოლიტიკურ ერთეულებში კულტურულ პროცესებს, რეჟიმისგან გამიჯნული ინტელექტურლური ელიტა, რომელიც დისიდენტებისგან განსხვავებით ანტიკომუნისტური იდეოლოგიის მატარებლები არ იყვნენ, სარგებლობდა შედარებით თავისუფლებით ნომენკლატორული ინტელიგენციის წყალობით და დახმარებით (ზურაბიშვილი, 2002, გვ. 48, 49). 1970-იან წლებში ინტელიგენციის ძალისხმევა მიმართული იყო კულტურული ნაციონალიზმის განვითარებისკენ. ენის განვითარების თვალსაზრისით ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა, როდესაც შეიქმნა ნორმატიული გრამატიკა და ლექსიკონები, ქართული კი უნივერსალური მასობრივი განათლების ენად იქცა (ნოდია, 2009, გვ. 124). ინტელიგენციის შემოქმედებაში, მათ პუბლიცისტურ ლიტერატურაში პირდაპირ, ხან კი შეფარვით ასახული იყო პატრიოტული შინაარსის თემატიკა და მხილებულ იყო საბჭოთა რეჟიმის მანკიერი მხარეები. აღსანიშნავია მ. მაჭავარიანის ლექსების კრებული „1832 წელი,“ მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, რეზო თაბუკაშვილის დოკუმენტური ფილმები. ამავდროულად ქართული ინტელიგენცია ცდილობდა დაეცვა ქართული ენა რუსიფიკაციის პოლიტიკისგან. მას შემდეგ, რაც 1970-იანი წლების ბოლოს სსრკ-მა მიიღო გადაწყვეტილება მოკავშირე რესპუბლიკებში ყველა არარუსულ უმაღლეს და საშუალო სასწავლებლში ერთის საგნის რუსულ ენაზე სწავლასთან დაკავშირებით, რუსიფიკაციის წინააღმდეგ გამოდიოდა საგანამნათლებლო დაწესებულებები, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის წარმომადგენელებიც (გვ. 37). რუსიფიკაციასთან ბრძოლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია 14 აპრილის მოვლენები.

1978 წლის აპრილს ქართველი ერი წინ აღუდგა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის ნებას და არ დაუშვა საქართვლოს სსრ კონსტიტუციაში შეტანილი იმ ცვლილების დამტკიცებას, რომლის მიხედვითაც ქართული ენა სახელმწიფო ენის სტატუსს დაკარგავდა. 12 აპრილიდან თბილისის ქუჩებში დაიწყო დემონსტრაციები, რომელშიც ათიათასობით ადამიანი მონაწილეობდა. დიდ ეროვნულ ხელმძღვანელობას პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტობი წარმოადგენდა. საქართველოს სსრ ცდილობდა დიალოგის გზით საპროტესტო მოძრაობის დაშლას. თუმცა ენის დაცვის ლოზუნგმა ქართული საზოგადოების სხვადასხვა ფენა გააერთიანა. სსრკ-ის ხელისუფლება იძულებული გახდა დათმობაზე წსულიყო და საქართველოს ახალ კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი შენარჩუნებულ იქნა. 14 აპრილის მოვლენებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ნაციონალიზმის ჩამოყალიბებისთვის („სამოცდაათიანელები“).

დისიდენტური მოძრაობა. რ. სუნის თანახმად, 1970-იან წლებში საქართველოში ადგილი ჰქონდა დისიდენტურ ნაციონალიზმს (Suny, 1994, p. 308). ინტელიგენციისაგან განსხვავებით, დისიდენტები აკრიტიკებდნენ საბჭოთა პოლიტიკას. უპირისპირდებოდნენ რა ოფიციალურ ნაციონალიზმს, ადგილი ჰქონდა დისიდენტების შევიწროებას. ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ისინი არალეგალური გზებით ავრცელებდნენ ინფორმაციას და ამ გზით ცდილობდნენ მემკვიდრეობის შენარჩუნებას, ლინგვისტური, რელიგიური, კულტურული უფლებების, ასევე ადამიანის უფლებების დაცვაზე ზრუნვას.

ქართული დისიდენტური მოძრობის ისტორია, შეიძლება ითქვას, რომ 1950-იანი წლებიდან იწყება. 1956 წელს ზ. გამსახურდიამ თავის თანაკლასელ-მეგობრებთან ერთად შექმნა არალეგალური ჯგუფი. მათ 1956 წლის 2 დეკემბერს, ქ. თბილისში გაავრცელეს პატრიოტული შინაარსის პროკლამაციები, რომელშიც გამოხატული იყო პროტესტი სსრკ-ის მიერ ოკუპაციის, საქართველოში საბჭოთა რეპრესიების გამო და იყო მოწოდება ქართველი ხალხისადმი ებრძოლათ სსრკ-ის წინააღმდეგ

დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფოს აღდგენის მიზნით. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ იმავე წელს აღძრა სისხლის სამართლის საქმე მათ მიმართ.

1974 წელს ზ. გამსახურდიასა და მ. კოსტავას, ვ. რცხილაძის და სხვ. თაოსნობით შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი. მისი მიზანი იყო გაერო-ს დეკლარაციაზე დაყრდნობით გამოევლინა ადამიანის უფლებათა დარღვევების ფაქტები ჩვენს ქვეყანაში (საარქივო მოამბე, #12გვ. 5-10, 33).

ჰელსინკის ხელშეკრულებამ და "ჰელსინკის პროცესებმა" გავლენა მოახდინეს დისიდენტური მოძრაობის ჩამოყალიბებაზე. 1976 წელს გამსახურდიამ, კოსტავამ, ვ. რცხილაძემ და სხვ. დისიდენტებმა შექმნეს საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი, რომელსაც შემდგომ ჰელსინკის კავშირი ეწოდა. იგი უფრო ფართო მასშტაბით ახორციელებდა ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის ფუნქციებს. „საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი"თვალ-ყურის ადევნებდა, თუ როგორ სრულდებოდა საქართველოში ჰელსინკის ხელშეკრულება, როგორ ხორციელდებოდა მისი ჰუმანიტარული პუნქტები. იგი, ასევე, აგროვებდა ინფორმაციას ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით. ასევე, მისი მიზანი იყო ქართველი ხალხისთვის მეწოდებინა ინფორმაცია როგორც ქვეყნის ეროვნული, კულტურული და სოციალური პრობლემების, ასევე სსრკ-ში შექმნილი საერთო ვითარების შესახებ.

1976 წლიდან ჰელსინკის ჯგუფი ზ. გამსახურდიას ინიციატივით აქვეყნებდა არალეგალურ ჟურნალებს - „ოქროს საწმისს" და „საქართველოს მოამბეს" (#12, გვ. 16-17). დისიდენტები ავრცელებდნენ ინფორმაციას საქართველოს ციხეებში პატიმრების მდგომარეობასთან დაკავშირებით (#12, გვ. 94-108). ქართველი დისიდენტები არალეგალურ ჟურნალში აშუქებდნენ გადასახლებულ ერთა საკითხსაც და ამ გზით ცდილობდნენ მათი უფლებების დაცვას. ამ მხრივ აღსანიშნავია მ. კოსტავას „თურქი-მესხები თუ ქართველი-მესხები" და ვ. რცხილაძის „მესხთა ტრაგედია", სადაც განხილულია ქართველ მესხთა დეპორტაცია, სსრკ-ის მიერ მესხებთან მიმართებაში ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევა.

დისიდენტების მიზანს წარმოადგენდა ქრთული ენის, როგორც სახელმწიფო ენის შენარჩუნება და იცავდნენ ქართულ ენას საქართველოში გატარებულ რუსიფიკაციის პოლიტიკისაგან. აღსანიშნავია, რომ 1970-იანი წლების ბოლოს სსრკ-ში მიიღეს გადაწყვეტილება მოკავშირე რესპუბლიკებში ყველა არარუსულ უმაღლეს და საშუალო სასწავლებლში ერთის საგნის რუსულ ენაზე სწავლასთან დაკავშირებით. „საქართველოს მოამბეში“ აღწერილი იყო თბილისის უნივერსიტეტის და სამხატვრო აკადემიის რუსიფიკაციის ცდები და საშუალო სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლების გაუქმების შესახებ (#12, გვ. 119-128).

დისიდენტები ყურადღებას ამახვილებდნენ საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესიის სავალალო მდგომარეობაზე და ცდილობდნენ რელიგიური უფლებების დაცვას. 1980 წლის 20 ოქტომბერს შევარდნაძისადმი მიწერილ წერილში გამსხურდია მოუწოდებდა აღეკვეთა რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების და კომუნისტური ხელისუფლების სხვა წარმომადგენლობების მხრიდან მრევლის შევიწროების და დისკრიმინაციის ფაქტები და უზრუნველყო მორწმუნეთა უფლებების დაცვა ეკლესიის გახსნასთან დაკავშირებით (#8, გვ. 151). დისიდენტები პროტესტს გამოთქვამდნენ რელიგიურ დღესასწაულებზე მორწმუნეთა დევნის გამო (#12, გვ. 77).

დისიდენტები აპროტესტებდნენ ხელისუფლების გულგრილ დამოკიდებულებას პოლიგონის მიერ ქართული კულტურული ძეგლებისთვის მიყენებულ ზიანზე. აღნიშნულ თემატიკაზე ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ გამსახურდიამ 1976წ. გამოაქვეყნა წერილები: „ძეგლთა დაცვა თუ ძეგლთა ძარცვა?“, „ძეგლები და პურმარილი“,„ჰეროსტრატეთა თარეში“, „ძეგლები და ახალგაზრდობა“, „არტილერია ანადგურებს ფრესკებს“[14] (#12, გვ. 87-91).

[14] ზ. გამსახურდიას წერილში - „არტილერია ანადგურებს ფრესკებს“ ეხებოდა სწორედ დავით გარეჯის კომპლექსში კულტურის ძეგლთა სავალალო მდგომარეობას. საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების სარევიზიო კომისიის მიერ 1976 წ. წარდგენილ ცნობაში აღნიშნული იყო, რომ მას შემდეგ, რაც 1948წ. გარეჯის კომპლექსში გაიხსნა საარტილერიო პოლიგონი, დაზიანდა ბერთუბნის ეკლესიაში ფრესკები, სამონასტრო კომპლექსის მრავალი ეკლესია საავარიო მდგომარეობაში იყო. მიუხედავად იმისა, რომ იყო მოწოდება პოლიგონის გადატანისა მონასტრებიდან მოშორებით, აღნიშნული მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული არც საკავშირო, არც ადგილობრივი მთავრობის მხრიდან.

მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური ხელისუფლება ახორციელებდა ზეწოლას დისიდენტური მოძრაობის ხელმძღვანელთა მიმართ, მათ რიგებს ავსებდნენ სხვა არალეგალური ჯგუფები. „ანტისაბჭოთა პროპაგანდისათვის“ ზ. გამსახურდია გარიცხეს მწერალთა კავშირიდან 1971წ. ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას პატიმრობის პერიოდში დისიდენტური საქმიანობა არ შეწყვეტილა. 1977-1978 წლებში ჩამოყალიბდა რამდენიმე იატაკქვეშა პოლიტიკური ორგანიზაციები: რესპუბლიკური პარტია, საქართველოს განთავისუფლებისთვის ბრძოლის კავშირი, საქართველოს ეროვნული განთავისუფლების ორგანიზაცია. ისინი ცდილობდნენ საბჭოთა დღესასწაულების დროს პროტესტი გამოეხატათ რეჟიმის წინააღმდეგ. ეს ნათლად გამოჩნდა 1977 წლის 7 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ-ის მიერ გამართულ საზეიმო დემონსტრაციის დროს, როცა თ. ჩხეიძის ჯგუფმა ანტისაბჭოთა პროკლამაციები გაავრცელა. 1983 წ. გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლის იუბილეს აღსანიშნავად გამართულ სახალხო ზეიმის დროს დისიდენტებმა გაავრცელეს გეორგიევსკის ტრაქტატის საწინააღმდეგო პროკლამაციები.[15]

შეუძლებელია განვსაზღვროთ დისიდენტების საქმიანობის შედეგი საბჭოთა რეჟიმის პირობებში, როცა არალეგალური მეთოდებით ხდება ინფორმაციის გავრცელება და როცა ცენზურა არის დაწესებული აზრის თავისუფლად გამოხატვაზე. მაგრამ როგორც შემდგომ პერიოდში დავინახავთ, დისიდენტების საქმიანობამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ეროვნული მოძრაობის განვითარებაზე. დისიდენტების ნაწილი სსრკ-ის ბოლო წლებში ხელისფლების სათავეში მოვიდა.

თავი 6. ქართული ნაციონალიზმის განვითარება 1987-1989წწ

ქართული ეროვნული მოძრაობის მეორე ეტაპი „პერესტროიკის“ პერიოდიდან იწყება. 1987-89 წლებში საქართველში განვითარებულ პროცესებს საფუძველი სწორედ 1970-იან წლებში არსებულმა კულტურულმა ნაციონალიზმმა შეუქმნა.

[15] ინტერვიუ ლევან ბერძენიშვილთან თ. ჩაგელიშვილის ფილმში „სამოცდაათიანელები.“

საბჭოთა რეჟიმის კრიზისის დაძლევის მიზნით დაწყებულმა „პერესტროიკის“ და „საჯაროობის“ პროცესებმა, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ეროვნული მოძრაობის გააქტიურებას. ამ პერიოდში იატაკქვეშა ორგანიზაციებს ლეგალურად მოქმედების საშუალება მიეცა, შეიქმნა სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები. 1988 წლის ბოლოსთვის ეროვნულ მოძრაობაში გამოიკვეთა ცენტრისტული (რომელშიც შედიოდა ზომიერი პარტიები, ნაციონალიზმის შეფერილობის მქონე ძალები - ინტელიგენცია, სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები) და მემარჯვენე ფრთა. ამ უკანასკნელს ძირითადად წარმოადგენდა რადიკალები - დისიდენტური მოძრაობა, რომელიც ცენტრისტებისგან განსხვავებით, ანტიკომუნისტურად იყო განწყობილი და მოგვიანებით ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდა. „პერესტროიკის“ პერიოდიდან ნათლად ჩანს ნაციონალისტური მოძრაობის ჩართვა ეროვნულ პროცესებში. დისიდენტების, ინტელექტუალური ელიტის, პატრიოტული ჯგუფების ინიციატივითა და მხარდაჭერით ადგილი ჰქონდა ნაციონალური ცნობიერების გამოღვიძებისკენ მიმართულ აქტივობებს. ქვეყანა საპროტესტო მოძრაობებმა მოიცვა, სადაც მოსახლეობის ფართო ფენა იყო ჩართული. ნაციონალისტური იდეების გავრცელება ხდებოდა, ასევე, საბჭოთა ცენზურისაგან გათავისუფლების შედეგად პრესის საშუალებით.

6.1. ქართული ეროვნული მოძრაობის აღმავლობა საბჭოთა რეჟიმის ლიბერალიზაციის პირობებში

1980-იანი წლების დამდეგისთვის სსრკ-ის ცენტრალიზებული ეკონომიკის და ბიუროკრატიული მართვის სისტემაში კრიზისი დაიწყო. საქართველოში, ისევე როგორც სსრკ-ის სხვა რესპუბლიკაში შენელდა ეკონომიკური განვითარების ტემპები, ხელისუფლება უუნარო აღმოჩნდა გადაეჭრა ქვეყნის წინაშე არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემები. ეკონომიკურად დასუსტებული სსრკ ვერ უწევდა კონკურენციას დასავლეთის ქვეყნებს სამხედრო სფეროში (ჯონსი, 2013, გვ. 38, 57, 58). კრიზისის შეჩერებისა და სსრკ-ის შენარჩუნების მიზნით 1987წ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, გორბაჩოვმა გამოაცხადა „გარდაქმნისა“ („პერესტროიკა“) და „საჯაროობის“ (გლასტნოსტი“) კურსი. მისი ინიციატივით ქვეყნის ეკონომიკურ

სისტემაში დაიწყო რეფორმები. „საჯაროობის“ პრინციპმა ხელი შეუწყო საზოგადოებრივი აზრის თავისუფლებას, პოლიტიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბებას. „პერესტროიკის“ პროცესების შედეგად შესუსტდა რა კომუნისტური ხელისუფლების ცენზურა პრესაზე (მაისაშვილი, 2010, გვ. 178). თუმცა მ. გორბაჩოვის რეფორმების შედეგად დასუსტდა იმპერია, შეუქცევადი ხასიათი მიიღო სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა, საბჭოთა რეჟიმის ლიბერალიზაციას თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ეროვნული მოძრაობის აღმავლობა მოჰყვა. სიტუაცია ნაციონალისტების სასარგებლოდ იცვლებოდა (Beissinger, 2004, 8). სსრკ-ის ბოლო წლებში შექმნილმა ვითარებამ კი იმპერია საბოლოოდ დაშლამდე მიიყვანა.

„პერესტროიკის“ პერიოდიდან საქართველოში ჩამოყალიბდა არაფორმალური ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები. 1989 წლის მეორე ნახევრისთვის მათი რაოდენობა ორმოცდაათამდე აღწევდა. თითქმის ყველა მათგანი ემხრობოდა საქართველოს დამოუკიდებლობას, საბაზრო ეკონომიკას, ქვეყანაში ქართველების, როგორც დომინანტური ჯგუფის როლს (ჯონსი, 2012, გვ. 53). ამ პერიოდისათვის შეიძლებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების კლასიფიკაცია შემდეგ ჯგუფებად:

1. ცენტრისტები მხარს უჭერდნენ დასავლურ სივრცეში ინტეგრაციას და ასევე, საბჭოთა თუ პოსტსაბჭოურ სივრცესთან თანასწორუფლებიან ურთიერთობასაც. საქართველოში ეროვნული პროცესების ევოლუციური განვითარების მომხრენი იყვნენ და ერიდებოდნენ მოვლენების რადიკალიზაციას. აღნიშნულ ბანაკში თავს იყრიდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგნიზაციები: „შოთა რუსთაველის საზოგადოება“, სახალხო ფრონტი, საქართველოს მთიელთა პოლიტიკური კავშირი, სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემი“, საქართველოს მწვანეთა პარტია, დემოკრატიული პარტია, საქართველოს დემოკრატიული კავშირი, საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი (მასში გაერთიანებულნი იყვნენ ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი) და სხვ.

2. მემარჯვენე ორგანიზაციები ანტიიმპერიალისტურად იყვნენ განწყობილნი. ისინი პროდასავლური პოლიტიკური კურსის მატარებლები იყვნენ. მასში შედიოდა რესპუბლიკური პარტია, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია, საქართველოს თავისუფლების პარტია, მოქალაქეთა ლიგა, საქართველოს თავისუფალ დემოკრატთა კავშირი.

მემარჯვენეთა ბანაკის წარმომადგენელ პარტიებს შორის ცალკე გამოიყოფოდა რადიკალური მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთა ნაწილი სსრკ-ის ბოლო წლებში ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდნენ. რადიკალურ ორგანიზაციებს წარმოადგენდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება - „მეოთხე დასი“, ჰელსინკის კავშირი (რომელთა ხელმძღვანელებმა ზ. გამსახურდიამ და მ. კოსტავამ დააარსეს, ასევე, „სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება“), ეროვნულ-დემოკრატიულ პარტია, საქართველოს დამოუკიდებლობის პარტია, საქართველოს დემოკრატიული პარტია, საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტია, „მერაბ კოსტავას საზოგადოება“, საქართველოს სახალხო პარტია. მოგვიანებით, 1989 წლის ოქტომბერს შეიქმნა რადიკალურ პარტიათა გაერთიანება „ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი (მასში გაერთიანებული იყო საქართველოს ჰელსინკის კავშირი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ეროვნული სამართლიანობის პარტია, მონარქისტული პარტია, საქართველოს დემოკრატიული პარტია, ქრისტიან-დემოკრატიული ასოციაცია, საქართველოს ღირსების კავშირი), ხოლო შემდგომ 1990 წელს „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ (მის შემადგენლობაში შედიოდა ჰელსინკის კავშირი, მონარქისტული პარტია, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, მერაბ კოსტავას საზოგადოება).

1987-91 წწ არსებობდა სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთაგანაც ზოგი ცენტრისტულ, ზოგიერთი მემარჯვენე ან რადიკალურ ბანაკს მიეკუთვნებოდა.

აღსანიშნავია, ასევე, მემარცხენე ორგანიზაციები, რომელშიც შედიოდა პროკომუნისტური ორგანიზაციები (ი. ბ. სტალინის საზოგადოება, საქართველოს მშრომელთა პოლიტიკური ორგანიზაცია). მემარცხენე ბანაკს ასევე მიეკუთვნებოდა სოციალ-რეფორმისტული მიმართულების ორგანიზაციები (სოციალ-დემოკრატიული პარტია, ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორობის პარტია, საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირი, „მამულის აღორძინება“), რომლებიც უარყოფდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიას და ევროპული სოციალ-რეფორმიზმის პოზიციებს ემხრობოდნენ (შველიძე, 2008, გვ. 18-32, 43, 91).

აღსანიშნავია ისიც, რომ კომუნისტურმა ხელისუფლებამ ხელი შეუწყო 1989 წ. შექმნილიყო ეროვნული მოძრაობის საპირწონე ორგანიზაცია - „რუსთაველის საზოგადოება,“ რათა თავიდან აეცილებინა ეროვნული მოძრაობის აღმავლობა და მისი ხელისუფლებასთან დაპირისპირება. აღნიშნულ ორგანიზაციაში გაერთიანებულნი იყვნენ გამოჩენილი მწერლები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი. თუმცა საბჭოთა რეჟიმის პიროებში კომუნისტური ხელისუფლების გეგმებსა და ინტერესებში არ შედიოდა აღნიშნული ორგანიზაციის პოზიცია. „რუსთაველის საზოგადოების“ თავმჯდომარის - აკაკი ბაქრაძის მიერ შედგენილ საპროგრამო მოთხოვნებს შორის იყო ეროვნულ-საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა. იგი მხარს უჭერდა ეროვნული მოძრაობის გაერთიანებას, მმართველობის დემოკრატიული სისტემის შემოღებას, კერძო საკუთრების აღდგენას, დაქირავებული არმიის შექმნას. „რუსთაველის საზოგადოება“ საჭიროდ მიიჩნევდა მომხდარიყო პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული ანექსიისა (დავითაშვილი, 2003, გვ. 391; კვესელავა, 2004, გვ. 168-169). ამგვარად, წამყვანი პოზიციები ეკავათ რა რადიკალებს და „რუსთაველის საზოგადოებაც“ ეროვნული მოძრაობის სამსახურში იყო, კომუნისტებმა მიზანს ვერ მიაღწია (ჩხაიძე, 2016, გვ. 43, 44).

ნაციონალისტური იდეების გავრცელების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო საპროტესტო დემონტრაციების გამართვა. საპროტესტო მოძრაობებში კი ინტელექტუალური ელიტა ნაკლებად მონაწილეობდა (დავითაშვილი, 2011, გვ. 394). ინტელიგენცია ქვეყნის სულიერი, ინტელექტუალური ცხოვრების ლიდერი გახდა (მაისაშვილი, 2016, 93). ეროვნული მოძრაობის რადიკალური ძალების ხელმძღვანელობით საქართველოს მასშტაბით არაერთი მიტინგი გაიმართა, სადაც მოსახლეობის ფართო ფენა იყო ჩართული. 1988 წლის მარტში საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაუშვა შეზღუდული საზოგადოებრივი დემონსტრაციები. 1988წ. გაიმართა 38 საპროტესტო დემოსტრაცია, რომელთაგან მხოლოდ ოთხი იყო ოფიციალურად დაშვებული („კომუნისტი“, 28/XII, 1989). საპროტესტო აქციებისა და დემონსტრაციების მასშტაბურობა და ინტენსიურობა ცხადყოფს ნაციონალური ცნობიერების გამოღვიძებას (Hroch, 1985, 13).

მ. გორბაჩოვის პოლიტიკური კურსის საწყის ეტაპზე ქართული ეროვნული მოძრაობა პოლიტიკური მოთხოვნებით არ გამოდიოდა და კულტურულ-ეკოლოგიური პრობლემებით შემოიფარგლებოდა. 1987წ. გაიმართა პირველი საპროტესტო მიტინგი ისტორიული, კულტურული და ბუნების ძეგლთა დაცვის საზოგადოების, რუსთაველის საზოგადოების ეკოლოგიური ასოციაციის ინიციატივით და მიმართული იყო ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის წინააღმდეგ. რკინიგზას პირდაპირი გზით უნდა დაეკავშირებინა ჩრდილო კავკასია თბილისთან ფშავ-ხევსურეთის გავლით. ოპოზიციის აზრით, აღნიშნული პროექტი გამოიწვევდა ეკოლოგიურ კატასტროფას და მთაში მცხოვრები მოსახლეობის დეპოპულაციას. მათ მიაღწიეს მიზანს და აიძულეს კომუნისტური ხელისუფლება შეეჩერებინა ეს მშენებლობა. მასობრივი მიტინგი მოეწყო 1988 წლის 12 ნოემბერს იპოდრომის ტერიტორიაზე. წამოყენებულ იქნა ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა, დავით გარეჯის სიახლოვეს სამხედრო პოლიგონის გაუქმება, ხუდონ-ჰესის მშენებლობის, არაგვის ხეობაში გაზსადენის შეჩერება და სხვ. გარემოსდაცვითი კამპანიები გარკვეულწილად დაკავშირებული იყო ეკონომიკურ, პოლიტიკურ სუვერენიტეტთან (დავითაშვილი 2003; ჯონსი, 2013, გვ. 41, 42).

ეროვნული მოძრაობის პარტიათა უმრავლესობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ეკლესიას, იბრძოდა რელიგიის უფლებების დაცვისთვის. 1998 წლის 21 ოქტომბერს ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელობით საპროტესტო მიტინგი გაიმართა ბათუმში, სადაც წამოყენებულ იქნა მოთხოვნა, მათ შორის, მართლმადიდებლური ეკლესიის გახსნასთან დაკავშირებით. ბათუმში გამართულ აქციას ეროვნული მოძრაობის ხელმძღვნელთა დაკავება მოჰყვა.

აღსანისნავია, რომ ილია მეორე, რომელიც სამღვდელმთავარო ტახტზე ავიდა 1977 წელს, იდეოლოგიური ზეწოლის პირობებში მყოფი მაინც ცდილობდა გვერდში ამოსდგომოდ თავის მრევლს. ნელა, მაგრამ მიზანმიმართულად საქართველოს ქათალიკოს-პატრიარქი აძლიერებდა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას (მუსხელიშვილი, 2012, გვ. 518-520). განვლილი წლების უმთავრესი მონაპოვარია საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა. 1990 წელს მართლმადიდებლურმა სამყარომ სცნო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია „პერესტროიკის“ დროს ეკლესიას დაუბრუნდა მისი ქონება, აღდგა საქართველოში არსებული ყველა სარწმუნოების რიტუალები და სიმბოლოები. 1988-89წწ. ხელახლა გაიხსნა 313 ქართული ეკლესია, ჩამოყალიბდა სასულიერო აკადემია. გაუქმდა საზედამხედველო ორგანო - რელიგიურ საკითხებში საქართველოს საბჭო. გამრავლდა რელიგიური გამოცემები (საარქივო მოამბე, #8, გვ. 41; ჯონსი, 2013, გვ. 67, 68).

ეროვნულ მოძრაობაში სულ უფროდაუფრო ძლიერდებოდა ეროვნულ-პატრიოტული განწყობები. 1988 წლის დეკემბრიდან 1989 წლის აპრილამდე მიმდინარე გამოსვლებს უკვე თითქმის მთლიანად პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა (დავითაშვილი, 2003, გვ. 303-305). ადგილი ჰქონდა კომუნისტურ იდეოლოგიასთან დაპირისპირებას, ინტერესთა კონფლიქტებს.

მნიშვნელოვანი იყო საქართველოს გასაბჭოებასთან დაკავშირებით გამართული ცერემონიალები, დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა, რითაც საბჭოთა მოქალაქეებს

საქართველოს მოქალაქეებად გარდაქმნიდა (ჯონსი, 2013, გვ. 43). სივრცე „საბჭოთა სამშობლო“ ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში და იდენტობაში აისახა „ჩვენი“ და „მათი. (ხ. მაისაშვილი 2010: 6).

ეროვნული მოძრაობის ლიდერები ეწინააღმდეგებოდნენ იმ პროცესებს, რომელიც ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული. საკავშირო ხელისუფლება გეგმავდა რა საკონსტიტუციო ცვლილებას, რომლის ძალითაც საბჭოთა რესპუბლიკები ფორმალურადაც დაკარგავდნენ სსრკ-ის შემადგენლობიდან გასვლის უფლებას, პროტესტის ნიშნად 1988 წლის 22 ნოემბერს ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა მოაწყვეს მასობრივი მიტინგი, რომელიც გაგრძელდა ერთი კვირის განმავლობაში. საპროტესტო დემონსტრაციამ გამოიღო შედეგი და საკავშირო ხელისუფლება იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო („მერაბ კოსტავა“).

1989 წლის 9 აპრილს განვითარებული მოვლენების დროს ნათლად გამოჩნდა ეროვნული მოძრაობის გააქტიურება და საპროტესტო გამოსვლების მასშტაბურობა. დამოუკიდებლობის ლოზუნგმა განაპირობა თითქმის მთელი მოსახლეობის კონსოლიდაცია ეროვნული მოძრაობის გარშემო. 9 აპრილის ტრაგედიას წინ უძღვოდა „ლიხნის წერილთან“ დაკავშირებით საპროტესტო გამოსვლები აფხაზეთში. 4 აპრილიდან მიტინგები გაგრძელდა თბილისში. თავდაპირველად ეროვნული მოძრაობა გამართულ საპროტესტო აქციებზე ეხებოდა აფხაზეთის საკითხს. შემდგომ ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა წამოაყენეს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნა („კომუნისტი“: 12/IV, 1989). 7 აპრილს ე. ლიგაჩოვის თავმჯდომარეობით მოსკოვში გამართულ პოლიტბიუროს სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თბილისში მშვიდობიანი საპროტესტო აქციების დაშლის მიზნით სამხედრო შენაერთების გაგზავნის შესახებ, რომელსაც ზედამხედველობა უნდა გაეწია გებერალ-პოლკოვნიკ იგორ როდიონოვს. საბოლოოდ პატიაშვილის გაუბედაობამ, მომიტინგეთა ურყევმა პოზიციამ, საბჭოთა არმიის სისასტიკემ გამოიწვია 9 აპრილის ტრაგედია. 9 აპრილის დილას საბჭოთა ჯარებმა დაიწყეს მიტინგის დარბევა, გამოიყენეს მომწამვლელი აირიც, რის შედეგადაც დაიღუპა 21 ადამიანი და მოწამლულ იქნა მომიტინგეთა უმრავლესობა.

დააპატიმრეს მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, გიორგი ჭანტურია, ვანო ხუხუნაიშვილი, ირინა სარიშვილი („ახ. კომუნისტი“: 12/IV, 1989; „კომუნისტი,“ 28/XII, 1989). საქართველოს უმაღლესი საბჭოს საგამოძიებო კომისიის თანახმად, ძალის გამოყენება იყო უკანონო და მასზე პასუხისმგებმლობა თავდაცვის მინისტრს - გენერალ იაზოვს, სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტის უფროსს ვიქტორ ჩებრიკოვს, ეგორ ლიგაჩოვს, ასევე საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელებს. 9 აპრილის ტრაგედიამ მასობრივი ისტერია გამოიწვია ხალხში („9 აპრილიდან“; ჯონსი, 2013, გვ. 46-48).

9 აპრილს მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევით კი კომუნისტურმა პარტიამ დისკრედიტაცია განიცადა (ჯონსი, 2012, 39). 9 აპრილის მოვლენების შემდგომ ქართული ნაციონალიზმი რადიკალური გახდა (Sabanadze, 2011, 87). კომუნისტურ ხელისუფლებას განსაკუთრებით დიდ გამომწვევებს უქმნიდა რადიკალური პარტიები, რომელიც სსრკ-ის ბოლო წლებში ეროვნული ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდა. საქრთველოს კომუნისტური პარტიის ახალ მდივანს გივი გუმბარიძეს ჰქონდა ლოიალური დამოკიდებულება ოპოზიციის მიმართ („9 აპრილიდან“) და არ უშლიდა ხელს ეროვნულ პროცესებს.

აღსანიშნავია, რომ რეჟიმის ლიბერალიზაციის პერიოდში შესუსტდა საბჭოთა ცენზურა. კონო-ფილმებში, ასევე ლიტერატურაში, თეატრში აქტიურად ხდებოდა ანტისაბჭოური თემატიკის, საბჭოთა წყობილებისთვის ძირსგამომთხრელი ხერხების გამოყენება (ჯონსი, 2012, გვ. 38). „პერესტროიკის“ პერიოდში დაარსდა ახალი ჟურნალ-გაზეთები. 1990-იანი წლიდან კომპარტიის ცკ-ს, უმაღლესი საბჭოს ორგანო - „კომუნისტს“ ჩაენაცვლა „საქართველოს რესპუბლიკა“, რომელიც ემთხვევოდა სახელისუფლებო დისკურსს. მნიშვნელოვანი იყო, ასევე, გაზეთი „მამული, რომელიც“ რუსთაველის საზოგადოების“ გამოცემა იყო და რომელთა ავტორები იყო სამეცნიერო-კულტურული ელიტა. იმდროინდელ მედიაში ეროვნული მოძრაობა - როგორც რადიკალები, ასევები ლიბერალები და თავად კომუნისტური ხელისუფლებაც აშუქებდა პოლიტიკურ, კულტურულ საკითხებს. ეს წარმოადგენდა მედიურ რეაქციას განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე. ეროვნული იდენტობა მჭიდრო კავშირში იყო პოლიტიკურ

პროპაგანდასთან. ხ. მაისაშვილის აღნიშნვით, *„ქართულ ბეჭდურ მედიაში ეროვნული-იდენტობითი დისკურსი გამოხატული „ეროვნული ადგილისადმი“ მიჯაჭვულობაში, იყო ის ცენტრალური თემა, რომლის ირგვლივაც რაზმავდნენ იმ პერიოდის ახალი პოლიტიკური და კულტურულ-სამეცნიერო ელიტები ქართულ სზოგადოებას სახელმწიფო დამოუკიდებლობისა და თავისუფლების იდეის ირგვლივ“* [ხ. მაისაშვილი, გვ. 92].

ხ. მაისაშვილის (2010) თანახმად, 1990 წლის დასაწყისში მედია ასახავდა ახალი ელიტის სტრუქტურას, სადაც იყო გამოკვეთილი 2 გავლენიანი წყაროს ტიპი: სახელისუფლებო წყარო (უმაღლესი საბჭო/საქართველოს პრეზიდენტი) და არასახელისუფლებო (რომელიც მოიცავს ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ეროვნული კონგრესის წევრებს). პრეზიდენტი, სახელისუფლებო და არასახელისუფლებო ელიტა მსგავსს სხვაობას ავლენდნენ სამშობლოს და სახელმწიფოს ცნების მიმართ: *„საქართველო არის სახელმწიფო ქართველებისგან შემდგარი“;* [16] *„მხოლოდ ქართულმა ჯიშმმა უნდა იხსნას ქართული მიწა.*[17] „სულიერი მისია“ და ამ მისიის შესასრულებლად თავისუფლების გზისკენ სვლა, წარსული საქართველოს სახიდან მომავალზე პროეცირება ხშირად ჩნდებოდა როგორც პოლიტიკოსების, ასევე, სამენიერო ელიტების წარმომადგენლების ციტატებში: *„თუ საქართველოს სულიერი მისია სულიერი განვითარების, სულიერი აზროვნების აღორძინებაა, ქართველმა ერმა კაცობრიობის სულიერი მოძღვრის პოზიცია უნდა დაიბრუნოს“;* [18] *„თავისუფლების გზიდან გადახვევა სამშობლოს ღალატია და შთამომავლობა ამას არ გვაპატიებს“;* [19] *„მოგეცემათ რუსთაველის საქართველო - ეკონომიკურად ძლიერი, ამაღლებული ქვეყანა“* [20] [გვ. 79- 92]. რაც შეეხება საბჭოთა კავშირისადმი დამოკიდებულებას, ქართულ მედიაში იგი ღია საფრთხისშემცველად იყო წარმოჩენილი და ასახული იყო საქართველოს მისწრაფება მოუპოვებინა დამოუკიდებელობა და დასავლური ღირებულებითი სისტემის ნაწილი გამხდარიყო: *„არ მოგვატყუოს მოსკოვში ცრუ დემოკრატიის გამარჯვებამ. ხომ*

[16] გაზ. „კომუნისტი“, 1990, 8 ნოემბერი.
[17] გახ. „საქართველოს რესპუბლიკა, 1990 16 დეკემბერი.
[18] გაზ. „მამული“, 1991, მარტი.
[19] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 1991, 18 დეკემბერი.
[20] გაზ. „მამული“, 1990, ოქტომბერი.

შეიძლება ქართველებმა დაიჯერონ, რომ დემოკრატიული რუსეთი არ დაჩაგრავს დემოკრატიულ საქართველოს? არაა გამორიცხული“ ; [21] *„ყველანი ერთი ციხის ბინადარნი ვართ. იქიდანაც ყველანი ერთად უნდა გავიქცეთ“;* [22] *„რასაკვირველია, არსებობს საფრთხე მოსკოვის მხრივ, არსებობს დიდი ზეგავლენა სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ დამოუკიდებლობისთვის ვიბრძვით“* ; [23] ჩვენი ერთადერთი იმედი დასავლეთია - მხოლოდ დემოკრატიას ძალუძს ჩვენი დაცვა“ [24] [მაისაშვილი, 2010, გვ. 117-123].

საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში 1988 წლიდან უკვე იჩინა თავი ისტორიის საბჭოთა ვერსიის გადაფასების, ოფიციალური ისტორიის არაოფიციალური, საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ უარყოფილი ისტორიით ურთიერთჩანაცვლების ტენდენციამ. მაგალითად, გაზეთ „კომუნისტში“ 1988 წელს დაიბეჭდა აკაკი სურგულაძის და გურამ ყორანაშვილის სტატია, სადაც ავტორთა აღნიშვნით ისტორიის არსებული ვერსიები საბჭოთა სტერეოტიპების და შეხედულებების ზეგავლენას განიცდის და ხშირ შემთხვევაში პოლიტიზირებულია, რაც მისი „ახლებური გააზრების“ და ჭეშმარიტების დადგენის საჭიროებას წარმოშობს.[25] აღსანიშნავია ასევე, ა. სურგულაძის სტატია - „1921 წლის 25 თებერვალი საქართველოში“, სადაც ავტორის თანახმად, *„ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია უნდა ვაღიაროთ სცოდავდა ამ მოვლენის შეფასებაში. იგი აქცენტს აკეთებდა ე.წ. აჯანყებაზე, რომელიც სინამდვილეში არ ყოფილა და მე-11 არმიის ლაშქრობას განიხილავდა, როგორც მხოლოდ დახმარებას მუშებისა და გლეხებისადმი. ასეთი იყო სავალდებულო სტერეოტიპი“.* [26] აღნიშნული მიუთითებს, ასევე, საზოგადოებისთვის ახალი კონცეფციების გაცნობის მცდელობას [ქარაია, 2015, გვ. 54].

თავი 7. ქართული ეროვნული მოძრაობა 1990-1991წწ.

[21] გაზ. „მამული“,დეკემბერი, 1991.
[22] გაზ. „7 დღე“, იანვარი, 1991.
[23] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა, აპრილი, 1991.
[24] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 16 მარტი, 1991.
[25] გაზ. „კომუნისტი“, 24 აპრილი, 1988.
[26] გაზ. „სახალხო განათლება“, 22 თებერვალი, 1989.

საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში საქართველოში ადგილი ჰქონდა ნაციონალიზმის პოლიტიკურ გამოვლინებასაც. აღნიშნულ თავში განვიხილავთ საბჭოთა რეჟიმის არსებობის ბოლო წლებში საქართველოში დამოუკიდებლობისკენ მიმავალ პროცესებს, ინსტიტუციონალურ დონეზე ტოტალიტარული სისტემის დემონტაჟისკენ გადადგმულ ნაბიჯებს.

1989 წლის 9 აპრილის მოვლენებმა საბოლოოდ მოუღო ბოლო კომუნისტური პარტიისადმი ნდობას. შეიძლება ითქვას, რომ კომუნისტური ხელისუფლების წრეებშიც იჩინა თავი ნაციონალიზმის გამოვლინებამ. საბჭოთა რეჟიმის შესუსტებისა და ეროვნული მოძრაობის აღმავლობის ფონზე საქართველოს პოლიტიკური პროცესების გაკონტროლება და მისი მართვა მართვა ცენტრიდან სუსტდებოდა. მიუხედავად საკავშირო ხელისუფლების მცდელობისა შეეეფერხებინა ეროვნული პროცესები, ქართული ნაციონალისტური მოძრაობის ძალისხმევის შედეგად პოლიტიკური ნაციონალიზმი ვითარდებოდა. ეროვნული ძალა გამოდიოდა იმ პროცესების წინააღმდეგ, რომელიც ანტიეროვნულად იყო შეფასებული (“9 აპრილი“; დავითაშვილი, 2003, გვ. 303-305).

აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოთა ხელისუფლების ბოლო წლებში ცხინვალის რეგიონში ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტების ფონზე, რაშიც უმთავრესი როლი ითამაშა სსრკ-მა, ქართულ ეროვნულ მოძრაობაში, ადგილი ჰქონდა შიდა კონფრონტაციას. მათ საერთო მიზნის მისაღწევად სხვადასხვა პოლიტიკური სტრატეგია ჰქონდათ შემუშავებული, რაც გამორიცხავდა თანამშრომლობას და კონსენსუსს. პოლიტიკური ორგანიზაციები ცალ-ცალკე ცდილობდა კომუნისტურ ხელისუფლებასთან დაპირისპირებას. მიუხედავად ამისა, ნაციონალიზმის განვითარებისკენ, დამოუკიდებლობისკენ მიმავალი პროცესები გრძელდებოდა.

ეროვნული მოძრაობა ცდილობდა იურიდიული საფუძველი შეექმნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის, ინსტიტუციონალურ დონეზე გამიჯვნოდა საბჭოთა სისტემას. ამის გამოხატულებაა არჩევნების ჩატარება,

ანტიკომუნისტური ხელისუფლების ფორმირება, საბჭოთა ინსტიტუტების ეროვნულ ინსტიტუტებით ჩანაცვლება, დამოუკიდებლობის აქტის მიღება. საბჭოთა მემკვიდრეობის დაძლევა და ტოტალიტარული წარსულისგან გათავისუფლება კი დღემდე გრძელდება.

7.1. ეროვნული მოძრაობა და დამოუკიდებლობისკენ მიმავალი პროცესები

9 აპრილის მოვლენების შემდეგ კომუნისტური პარტია თანდათანობით კარგავდა ლეგიტიმურობას. ნათელი იყო ეროვნული მოძრაობის დომინანტური პოზიცია პოლიტიკურ ასპარეზზე. საქართველოს კომუნისტური პარტიის ახალი მდივანი გ. გუმბარიძე ცდილობდა ეროვნული მოძრაობის დაშოშმინებას და არ უშლიდა ხელს ეროვნულ პროცესებს (Nodia, 2000, p. 28). კომუნისტური რეჟიმის დასუსტების, საზოგადოების მხრიდან ნდობის დაკარგვის და ეროვნული მოძრაობის რადიკალიზაციის პირობებში საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება იძულებული გახდა მიეღო დადგენილებები ეროვნული მოძრაობის სასარგებლოდ და ამ გზით შეენარჩუნებინა ლეგიტიმურობა. იგი საკავშირო ხელისუფლების ინტერესების წინააღმდეგაც იღებდა დადგენილებებს (შველიძე, 2008, გვ. 70). თავდაპირველად იგი იშველიებდა პატრიოტულ თემატიკას, რათა შეეჩერებინა ეროვნული მოძრაობის აღზევება. 1989 წლის აგვისტოში მან დაიწყო „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის“ განხორციელება, სახელმწიფო და კულტურული დაწესებულებები გააქართულა. 1989 წლის სექტემბერში საქართველოს სსრ-ის უზენაესმა საბჭომ წარმოადგინა კომპარტიის პროგრამა, სადაც იგი მოუწოდებდა სრული კულტურული ავტონომიისკენ. გუმბარიძე მოითხოვდა ნომენკლატურის თანმდებობაზე დანიშვნის დასრულებას, ძალაუფლების გადანაწილებას („ახ. საქართველო,“ 1990/XII). 1989 წლის ნოემბერში უმაღლესმა საბჭომ კონსტიტუციაში შეიტანა ცვლილებები, რითაც განამტკიცებდა საქართველოს კანონმდებლობის უზენაესობას ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართებაში. მან „გააქართულა“ რესპუბლიკის ქონება, იგი მხარს უჭერდა დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობას, საქართველოს უზენაეს საბჭოს ანიჭებდა მის საზღვრებსა და ადმინისტრაციულ ერთეულებზე სრული კონტროლის უფლებამოსილებას (ჯონსი 2013, გვ. 44, 50-51). 1990 წლის 20 თებერვალს კომუნისტურმა ხელისუფლებამ

გამოაქვეყნა „საქართველოს სსრ-ის ეროვნული განვითარების კონცეფცია“, სადაც აღნიშნული იყო „სრული სუვერენიტეტის“ მოპოვების და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების აუცილებლობა („ახ. საქართველო,“ 1990/XII). დ. შველიძის აზრით, აღნიშნული კონცეფცია ორმაგი სტანდარტის მაჩვენებელი იყო. გუმბარიძის ხელისუფლებას ფიქრადაც არ მოსვლია სსრკ-დან გამოყოფის შესაძლებლობა. „სრული სუვერენიტეტი“ ფედერალიზმიდან სახელმწიფოებრიობის უფრო მაღალი სრულყოფილ ფორმაზე გადასვლით უნდა მიღწეულიყო (შველიძე 2008, გვ. 69-70). აღსანიშნავია 1990 წლის 9 მარტს საქართველოს სსრ-ის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება - „საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“, რითაც ხაზი გაუსვა საბჭოთა რეჟიმის დანაშაულებრივი ბუნებას. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა რა სამხედრო ინტერვენციას, საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო გმობს ქვეყნის ოკუპაციას და ფაქტობრივ ანექსიას. საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ უკანონოდ გამოაცხადა ქვეყნის გაერთიანება სსრკ-ში. დადგენილების თანახმად, მისი მიზანი იყო საბჭოთა რუსეთის მიერ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით აღიარებული საქართველოს უფლებების აღდგენა და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოპოვების მიზნით მოლაპარაკებების დაწყება („საქ. რესპ, 1991/IV/10). 1990 წლის ივნისში უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონები ეკონომიკური სუვერენიტეტის შესახებ, დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიების შექმნის შესახებ. შეიქმნა კომისია „სასამართლო მექანიზმის“ შემუშავების და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით. თუმცა რეფორმების მიუხედავად ვერ მოხდა პარტიის ნაციონალიზაცია. გუმბარიძემ ვერ შეძლო დაემალა კომუნისტური პარტიის კავშირები სსრკ-თან. 1990 წლის ივლისში იგი აირჩიეს საბჭოთა პოლიტბიუროში (ჯონსი, 2012, გვ. 50-51).

რაც შეეხება ეროვნული მოძრაობის აქტივისტთა დამოკიდებულებას კომუნისტური ხელისუფლებისდმი და მათ ნაბიჯებს დამოუკიდებლობის აღსადგენად. ეროვნული მოძრაობის აქტივისტებმა დაიწყო ალიანსების ფორმირება და არჩევნების გზით

შეეცადა მის დამარცხებას. თუმცა ზომიერ და რადიკალურ პარტიებს, ინტელიგენციასა და რადიკალებს შორის შეუძლებელი გახდა ეროვნული მოძრაობის ერთიანობის გამომხატველი პარტიის შექმნა. ყველა პოლიტიკური ძალა ცალსახად ეროვნული მიმართულების გაერთიანებას წარმოადგენდა და მათი საბოლოო მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო, თუმცა აღნიშნულ ძალებს ერთმანეთთისგან განსხვავებული სტრატეგია ჰქონდათ. (ჯონსი, 2013, გვ. 53, 54). ადგილი ჰქონდა პარტიების და ალიანსების შორის კონკურენციას და მეტოქეობას, რაც შეუძლებელს ხდიდა თანმშრომლობას. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე მათ ცალ-ცალკე დაიწყეს კომუნისტურ ხელისუფლებასთან დაპირისპირება.

1987 წლის შემოდგომაზე ყოფილი დისიდენტების თამარ ჩხეიძის, ზურაბ ჭავჭავაძის და სხვ. ხელმძღვანელობით შეიქმნა პირველი არაფრმალური ორგანიზაცია - „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“, რომელიც ეროვნული მოძრაობის ლიბერალურ ფრთას მიეკუთვნებოდა. თუმცა საწყის ეტაპზევე მოხდა კონფრონტაცია დისიდენტებს შორის, რამაც გამორიცხა მათი თანამშრომლობა. საზოგადოების დამფუძნებელთა შორის და არც მათ მიერ ჩატარებულ აქციებში არ მონაწილეობდა ზ. გამსახურდია. როგორც მისი თავმჯდომარე - თ. ჩხეიძე აღნიშნავდა მასსა და გამსახურდიას შორის იყო რიგი საკითხები, რის გამოც გამუდმებით კამათობდნენ და მათი თანამშროლობა გამოირიცხა. საზოგადოების დამფუძნებელთა ქმედება გამსახურდიას იზოლაციისა იყო, ასევე, ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობის წინამძღოლობაზე პრეტენზიაც. „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას“ გამოეყო, ასევე, გ. ჭანტურია და სხვა რადიკალები. მათთვის მიუღებელი იყო ამ საზოგადოების ზომიერი სტრატეგია[27]. რამოდენიმე თვეში დაარსდა რადიკალური ორგანიზაცია ილია ჭავჭავაძის საზოგადოება - „მეოთხე დასი“ ზ. გამასახურდიას, მ. კოსტავას, გ. ჭანტურიას, ი. წერეთლის და სხვ. მიერ. 1989წ. კი შეიქმნა რადიკალური მიმართულების ორგანიზაციათა გაერთიანება - „ეროვნული ხსნის კომიტეტი“ (შველიძე, 2008, გვ. 33-43). თუმცა თავად მასში შემავალი

[27] გ. ჭანტურიას აღნიშვნით, *„ახალი ძალა არ უნდა დაელოდოს მომენტსა და კონკრეტულ სიტუაციას, მან თავად უნდა იბრძოლოს ამ სიტუაციის შესაქმნელად, იბრძოლოს ყოველდღე, მთელი ძალ-ღონით და ენერგიით.“*
აღსანიშნავია, რომ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ აკრიტიკებდა რადიკალებს ბრძოლის ლიტვური გზის უარყოფის გამო.

პოლიტიკური ორგანიზაციები სხვადასხვა სტრატეგიის მატარებლები იყვნენ, რამაც შემდგომში, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მათი ორგანიზაციული გამიჯვნაც გამოიწვია. ამ მხრივ აღსანიშნავია ეროვნული ფორუმი, სადაც მათ შორის, რადიკალურ პარტიათა იდეურ-პოლიტიკურმა დაპირისპირებამ და პიროვნულმა ფაქტორმა შეუძლებელი გახადა ერთიანობის შენარჩუნება.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ბეჭდურ მედიაში ძველი, საბჭოთა ელიტების სტრუქტურის რღვევისა და ახალი ელიტების ჩამოყალიბების პროცესი ხშირად დაპირისპირებულთა სახით იყო ასახული. გვიანდელ საბჭოთა პერიოდში ინტელიგენციას ეკავა რა წამყვანი პოზიცია ინტელექტუალურ ცხოვრებაში, ზ. გამსახურდიას ხელისუფლება მას მეტოქედ და კონკურენტად აღიქვამდა. იგი, ასევე, ებრძოდა ინტელიგენციის იმ სტრატეგიას, რომელიც მიმართული იყო ჯგუფის პოზიციების გამყარებისაკენ. საბოლოოდ კი შეუძლებელი გახდა მათ შორის თანამშრომლობა საერთო მიზნის მისაღწევად (მაისაშვილი, 2010, გვ. 93, 94).

1989 წლის ივნისს მიმდინარეობდა „სახალხო ფრონტის“ დამფუძნებელთა ყრილობა. მისი მიზანი იყო შექმნილიყო ზომიერი მასობრივი ორგანიზაცია, რომელსაც უნდა შემოეკრიბა ინტელიგენცია, ეთანამშრომლა რადიკალურ ძალებთან და საჭიროების შემთხვევაში დიალოგი დაემყარებინა კომუნისტურ ხელისუფლებასთან. მისი უმთავრესი მიზანი დამოუკიდებლობის მოპოვების საპარლამენტო გზა იყო. თუმცა ზომიერ-ლიბერალებს (მასში შედიოდა ცენტრისტული პარტიები, კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების წარმომადგენლები) და რადიკალებს შორის ნაკლებად შეინიშნებოდა კონსენსუსისკენ მიდრეკილება. ამ უკანასკნელთათვის ხელისუფლების მიმართ პრინციპული პოზიციების გაძლიერება, უმთავრესი მიზანი დამოუკიდებლობის აღდგენა იყო, განსხვავებით ზომიერთა ფრთხილი სტრატეგიისა, რომელიც ხელისუფლებასთან მკვეთრ დაპირისპირებას ეროვნული საქმისთვის საზიანოდ მიიჩნევდა და მხარს უჭერდა ბრძოლის ზომიერ, ევოლუციურ ფორმებს. მაგრამ საბოლოოდ მიღწეულ იქნა შეთანხმება და შეიქმნა სახალხო ფრონტი (შველიძე 2008, გვ. 48- 59, 68).

1990წ 13-15 მარტს შეიქმნა რადიკალური ფრთის წარმომადგენლების ინიციატივით ეროვნული ხსნის კომიტეტის საქმიანობის გასაგრძელებლად შეიქმნა ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიათა ერთიანობის გამომხატველი უფრო მასშტაბური ორგანიზაცია - „ეროვნული ფორუმი“. მას უნდა აერჩია საყოველთაო კენჭიყრით ალტერნატიული ოპოზიციური ხელისუფლება - ეროვნული ყრილობა, შექმნილიყო გარდამავალი ოპოზიციური ხელისუფლება ქვეყნის მომავალი დამოუკიდებლობის აღსადგენად. ეროვნული ფორუმის ერთ-ერთი მთავარი მიზანი საბჭოთა სტრუქტურებთან დაპირისპირება გახლდათ. რადიკალებისთვის მიუღებელი იყო საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაგეგმილ არჩევნებში მონაწილეობა და ეროვნულმა ფორუმმა ბოიკოტი გამოუცხადა 25 მარტს დანიშნულ ე.წ. უზენაესი საბჭოს არჩევნებს. მათი აზრით, ეს არჩევნები კვლავ იქნებოდა ერთპარტიული. ხოლო ზომიერ-ლიბერალური ორგანიზაციები საპარლამენტო ბრძოლას დამოუკიდებლობის მოპოვების ერთ-ერთ ქმედით საშუალებად მიიჩნევდა. მათ განაცხადეს თანხმობა მონაწილეობა მიეღო საბჭოთა არჩევნებში, რაც მიანიშნებდა ეროვნული ფორუმის სხვა დანარჩენი წევრი-ორგანიზაციებისაგან განსხვავებულ სტრატეგიას და რამაც გაამწვავა დაპირისპირება ეროვნულ მოძრაობაში. საბოლოოდ აღნიშნული არჩევნები ჩაიშალა (შველიძე, 2008, გვ. 70- 76, 80, 86).

თუმცა თავად ეროვნულმა ფორუმშიც მოხდა განხეთქილება და დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იდეურ-პოლიტიკური განსხვავებები, პოლიტიკური ბრძოლის არჩევის საკითხი იყო. ამავე წელს ფორუმი დატოვა რადიკალური ბანაკის ზოგიერთმა პარტიამ, რომელთა შორის არ იყო ეროვნულ ხსნის კომიტეტში შემავალი ეროვნულ-დემოკრატიული და ეროვნული დამოუკიდებლობის პოლიტიკური პარტიები, რომელიც ასევე ბოიკოტს უცხადებდა საბჭოთა უზენაესი საბჭოს არჩევნებს.[28] დაპირისპირებების გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია 1990 წლის აპრილის დასაწყისში მერაბ კოსტავას საზოგადოების პირველი ყრილობა, სადაც სიტყვით გამოსულმა ზვიად გამსახურდიამ წამოაყენა იდეა, შექმნილიყო ახალი გაერთიანება. მასში უნდა შესულიყო ყველა უკომპრომისო, ორგანიზაცია. გამსახურდიას აზრით,

[28] გ. ჭანტურიას გამოსვლა იხ. თ. ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმში „9 აპრილიდან 9 აპრილამდე“.

ასეთი ორგანიზაციები იყვნენ: მერაბ კოსტავას საზოგადოება, საქართველოს ჰელსინკის კავშირი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, დამოუკიდებლობის პარტია და თეთრი გიორგის კავშირი. რადიკალური ფრთის აღნიშნული პარტიებისგან ჩამოყალიბდა პოლიტიკურ გაერთიანება - „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ (შველიძე, 2008, 87-91).

მას შემდეგ, რაც ეროვნული ფორუმის საგანგებო კონფერენციაზე საქართველოს ე. წ. უზენაეს საბჭოს არჩევნებს გამოეცხადა ბოიკოტი, შემდგომ რადიკალური ორგანიზაციებმა შეცვალა ტაქტიკა, უარყვეს დაუმორჩილებლობის იდეა და კომუნისტურ ხელისუფლებასთან დაპირისპირებას არჩევნების გზით შეეცადა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამუკიდებლობის აღდგენას და შენარჩუნებას მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის გზით ცდილობდა, რაც გარკვეულწილად ეროვნულ ფორუმისგან იდეურ გამიჯვნას ნიშნავდა. ამის მიზეზად ასახელებდნენ თავად იმპერიის სიძლიერეს, საოკუპაციო არმიის ყოფნას საქართველოს ტერიტორიაზე. 1990 წლის 12 მაისს მიღებული იქნა „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკური კონცეფცია, რომელიც მხარს უჭერდა დამოუკიდებლობაზე თანდათანობით გადასვლას. მისი ლიდერი - ზ. გამსახურდია შეუდგა არჩევნებისთვის მზადებას. კონცეფციაში აღნიშნული იყო, თუ რა სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქნებოდა არჩევითი ორგანო კანონიერი. როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ 1989-1990 წწ. მიიღო დადგენილებები, რითაც უკანონოდ გამოაცხადა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ მიღებული დოკუმენტები. ახალ წარმომადგენლობით ორგანოს კი სამართლებრივ საფუძვლად დაედო 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულება. ამით იგი დაეყრდნო ლიტვურ პრეცედენტს და გაიზიარა მისი გამოცდილება სამართლებრივი ბრძოლის თვლასაზრისით. “მრგვალმა მაგიდამ“ არ გამორიცხა უზენაეს საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა. იგი კომუნისტურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა არა საბჭოთა კონსტიტუციების, არამედ საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით. 1990 წლის მარტში მიიღებულ იქნა საარჩევნო კანონი. უზენაეს საბჭოს არჩევისთვის

პოლიტიკურ პარტიათა რეგისტრაცია მოხდა არა სახელმწიფო ორგანოში, არამედ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. თავის მხრივ, ცენტრალური ხელისუფლება ვერ შეეწინააღმდეგებოდა აღნიშნულ არჩევნებს, რადგან ეს შეესაბამებოდა საბჭოთა კონსტიტუციას - ოპოზიციური ძალა იყენებდა კომუნისტების მიერ მათთვის მინიჭებულ საარჩევნო უფლებას. „მრგავალ მაგიდას“ ჰქონდა განსაზღვრული კონკრეტული გეგმა დამოუკიდებლობის აღსადგენად, გარდამავალ პერიოდში ქვეყნის სამართავად სამოქმედო პროგრამა სახელმწიფოებრიობისთვის საფუძვლების შექმნის მიზნით (შველიძე 2008, გვ. 91-95).

რაც შეეხება ეროვნულ ფორუმში დარჩენილ გამსახურდიას ყოფილ მოკავშირეებს. მსგავსად „მრგვალი მაგიდისა“, გ. ჭანტურიამ და მისმა მხარდამჭერი რადიკალების მიზნებიც კომუნიზმის აღმოფხვრა და საბჭოთა სისტემის დანგრევა იყო. თუმცა მათ განსხვავებული ტაქტიკა და სტრატეგია ჰქონდათ (ჯონსი, 2012, გვ. 57). მათ შეინარჩუნეს ეროვნული ფორუმის სტრატეგია. მათ საქართველოს მოსახლეობის ერთადერთ კანონიერ ორგანოდ გამოაცხადეს საქართველოს ოპოზიციური მმართველობა, რომელსაც ეროვნული კონგრესი უნდა წოდებოდა. ეროვნული ფორუმის 27 მარტის დადგენილების თანახმად, *„მისი ფლატფორმა და ორიენტაცია ემყარება საქართველოს შეურიგებელი და რადიკალური, დემოკრატიული ოპოზიციის სტრატეგიას“.* ეს ნიშნავდა საბჭოთა სტრუქტურების კატეგორიულ უარყოფას და მასთან კონფრონტაციას. ეროვნულ კონგრესს უნდა უზრუნველყო ერის პოლიტიკური კონსოლიდაცია, ეროვნულ-პატრიოტული ძალების გაერთიანება და საქართველოს განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაწყებული ბრძოლის ბოლომდე მიყვანა. განსხვავებით „მრგვალი მაგიდისაგან“, მათ არ ჰქონდათ შემუშავებული ინსტიტუციური მექანიზმები გარდამავალი პერიოდისთვის. განსხვავებით გამსახურდიასაგან, ეროვნულ ფორუმში მყოფმა რადიკალებმა, რომელთათვისაც ადრე მიუღებელი იყო ელიტარულ ინტელიგენციასთან კავშირი, მათ შეთავაზეს თანამშრომლობა. ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა ეს წინანდადება მიიღო და მათთან ალიანსით გაერთიანდა (შველიძე, 2008, 94-103, 125, 134, 136; „9 აპრილიდან“).

სახალხო ფრონტი კი, რომელიც ძირითადად წარმოადგენდა ინტელიგენციას, დუპირისპირდა „რადიკალურ შეურიგებლებს“ (ჯონსი, 2012, გვ. 55).

ამგვარად, დაგეგმილი იყო ჩატარებულიყო პარალელურად ორი საპარლამენტო არჩევნები. ეროვნულმა ფორუმმა უზენაესი საბჭოს ალტერნატიული ეროვნული კონგრესის არჩევნები ჩაატარა 1990 წლის 30 სექტემბერს,[29] სადაც პირველ ადგილზე გავიდა “ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია _ ეროვნული კავშირი”. რაც შეეხება ეროვნული კონგრესის ლეგიტიმურობას. ორგანიზაციის - „დემოკრატიული არჩევნებისათვის საქართველოში“ - თანახმად, აღნიშნული არჩევნები არ იყო ლეგიტიმური, რადგან არ ჩატარებულა რეფერენდუმი, სადაც უნდა დამტკიცებულიყო ეროვნული კონგრესის საარჩევნი კანონი. ასევე, დაირღვა 98-ე მუხლი და ქართველს ხალხს არ მიეცა შესაძლებლობა გაეცა პასუხი კითხვაზე საქართველოს ეროვნული კონგრესის, როგორც ქართველი ერის ნების გამომხატველ ორგანოსთან დაკავშირებით. მიუხედავად არალეგიტიმურობისა, ქვეყანაში ფუნქციონირებდა ეროვნული კონგრესი (შველიძე, 2008, გვ. 126, 127, 129). მისი როლი ეროვნული მოძრაობის კოორდინირება, ახალი ხელისუფლების გაკონტროლება იყო (ჯონსი, 2012, გვ. 69).

რაც შეეხება უზენაესი საბჭოს არჩევნებს, მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ ამ არჩევნებს ელოდებოდა („9 აპრილიდან“). მრგვალი მაგიდის პოლიტიკური კონცეფცია უფრო რეალისტური იყო და მისაღები აღმოჩნდა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის. 1990 წლს ოქტომბრის საყოველთაო, მრავალპარტიული არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა ნაციონალისტური ოპოზიცია - ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალური ფრთა - „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო’’. ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის (CSCE) დასკვნით, უზენაესმა საბჭომ უქზრუნველყო „სამართლიანი არჩევნების“ ორგანიზება (ჯონსი, 2012, გვ. 70). კომუნისტური ხელისუფლება ოპოზიციაში აღმოჩნდა. საპარლამენტო არჩევნებში მანდატები, ასევე, მიიღო ზომიერი ბანაკის

[29] კონგრესი შემდეგი პარტიებით დაკომპლექტდა: ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია _ ეროვნული კავშირი, ეროვნული დემოკრატიული პარტიის და დემოკრატიული პარტიის საარჩევნო ბლოკი, დემოკრატიული საქართველო, კომპარტიის დემოკრატიული ფრაქცია, საქართველოს სახალხო პარტია, საქართველოს მოქალაქეთა ლიგა.

პარტიებმა - სახალხო ფრონტმა, „დემოკრატიულმა საქართველომ“, რუსთაველის საზოგადოებამ.[30] დეპუტატებმა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ზ. გამსახურდია (შველიძე, 2008, გვ. 135, 206).

7.2. ტოტალიტარიზმის დემონტაჟისკენ გადადგმული ნაბიჯები და საქართველოს სახელმწიფოებრივი საფუძვლების განმტკიცება

ქართული ეროვნული მოძრაობას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება ესახებოდა, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა და არსებულ ვითარებასთან მისი ძირითადი პრინციპების შესაბამისობა. მას შემდეგ, რაც საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა ეროვნული მოძრაობის წამყვანი ძალა - „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო, მან მიიღო დადგენილებები, რომლებიც გარკვეულწილად იურიდულ საფუძვლებს უქმნიდა საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 14 ნოემბერს მიიღო კანონი „გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ”. იგი ითვალისწინებდა საბჭოთა იმპერიისგან ეტაპობრივი გამოყოფისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით საფუძვლების მომზადებას.[31] უზენაესმა საბჭომ, რომელმაც საქმიანობა დაიწყო 1978 წლის საბჭოთა კონსტიტუციის საფუძველზე, რადიკალური ცვლილებები შეიტანა ქვეყნის უზენაეს კანონში და ამოღებულ იქნა ყველა პუნქტი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა რესპუბლიკის ინტერესებს. საქართველოს სსრ-ის ეწოდა საქართველოს რესპუბლიკა. [32]

ეროვნული მოძრაობის მიერ საბჭოთა ტოტალიტარული დემონტაჟისკენ გადაგმული ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო სწორედ 1990 წლის ოქტომბერს არჩევნების ჩატარება, რის შედეგადაც დამკვიდრდა მრავალპარტიული სისტემა და ოპოზიციაში აღმოჩნდა

[30]1990 წლის 28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები. თბილისი: საქართველოს პარლამენტი.

[31] საქართვლოს რესპუბლიკის ძირითადი კანონი. 1991, მუხლი 3.
[32] საქართვლოს რესპუბლიკის ძირითადი კანონი, 1991, მუხლი 2, 4.

კომუნისტური პარტია. უარყოფილ იქნა ოფიცილური იდეოლოგია - მეცნიერული კომუნიზმი. მნიშვნელოვანი იყო კომუნისტური პარტიის ინტერესების გამომხატველი კომკავშირების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების გაუქმება და ეროვნული ინსტიტუტებით მათი ჩანაცვლება. ჩამოყალიბდა საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაცია („საქ. რესპუბლიკა": 1990/12), ახალგაზრდული ორგანიზაციები, ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუტები - საკრებულოები,[33] შეიქმნა მინისტრთა კაბინეტი. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა გაწყვიტა ცენტრალურ სახელისუფლებლო ორგანოსთან კავშირი (ჯონსი, 2012. გვ. 52). მაშინ როდესაც 1977 სსრკ-ის კონსტიტუციით, შიერაღებული ძალები, რომელიც საკავშირო ხელისუფლების განმგებლობაში იყო, მისი მთავარი ამოცანა იყო „სოციალისტური სამშობლოს" დაცვა, 1991 წლის საქართველოს ძირითადი კანონის თანხმად, *„ეროვნული საჯარისო ფორმირებები მოვალენი არიან დაიცვან საქართველოს რესპუბლიკის ინტერესები... უზრუნველყონ ნებისმიერი აგრესიის მოგერიება".* [34]

ეროვნული ხელისუფლების მიზანს, ასევე, წარმოადგენდა გამიჯვნოდა საბჭოთა ეკონომიკურ სისტემას. 1991 წლის საქართველოს რესპუბლიკის ძირითად კანონში ამოღებულ იქნა მუხლი, რომლის თანახმადაც საქართველოს ეკონომიკა სსრკ-ის ნაწილი იყო, სადაც ეკონომიკური და სოციალური განვითარება ცენტრალიზებული დაგეგმვის საფუძველზე ხდებოდა. დაფიქსირდა, ასევე, „ინდივიდუალური საკუთრების" ცნება.[35]

მნიშვნელოვანი იყო 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმი, სადაც დადასტურდა ხალხის ნება 1918 ს წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან დაკავშირებით.

---

[33] Конституция Союза Советских Социалистических Республик. 1977 г, Статья 6, 7.
საქართველოს რესპუბლიკის ძირითადი კანონი, 1991, მუხლი 2, 6, 7.
[34] Конституция Союза Советских Социалистических Республик. 1977 г, Статья 31.
საქართველოს რესპუბლიკის ძირითადი კანონი, 1991, მუხლი 30.
[35] Конституция Союза Советских Социалистических Республик. 1977 г, Статья 16, 31.
საქართველოს რესპუბლიკის ძირითადი კანონი. 1991, მუხლი 10, 16.

აღსანიშნავია ცენტრის მხრიდან ზეწოლა და ეროვნული პროცესების შეფერხების მიზნით მომდინარე საფრთხეები. გამსახურდიას თანახმად, გორბაჩოვი აფრთხილებდა მას, რომ თუ არ მოაწერდა სამოკავშირეო ხელშეკრულებას, საქართველო მეტ პოლიტიკურ დაძაბულობას მიიღებდა.[36] ცხინვალის რეგიონში ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტში სეპარატისტებს მხარს უჭერდა თავად სსრკ და მისი როლი იყო უმთავრესი (IFFMCG, 2009, გვ. 16).

თუმცა დამოუკიდებლობისკენ მიმავალი პროცესები გრძელდებოდა. 1991 წლის 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ სწორედ რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე, მიიღო დამოუკიდებლობის აქტი. აღნიშნული კანონის მიხედვით, *„1921 წ. თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია“.* უკანონოდ გამოცხადდა 1921 წლის მუშურ-გლახური ხელშეკრულება. ამით გაუქმდა სსრკ-ის პრეტენზია საქართველოს მიმართ. საქართველოს რესპუბლიკა 1918-21 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრედ ცხადდებოდა. იმ ძირითად პრინციპებს და ღირებულებებს, რომლებიც 26 მაისის აქტში იყო ჩამოყალიბებული, აღიარებს ასევე უზენაესი საბჭო. საბჭოთა ღირებულებითი სისტემის დემონტაჟის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო საქართველოს 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტში აღნიშნული საერთაშორისო სამართლის პრიმატი[37] ეროვნული მოძრაობის მიღწევები აისახა შემდგომ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში, სადაც აღნიშნულია, რომ *„საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით“.*[38]

---

[36] United States Department of State. The Document of United States Department of State. “Gamsakhurdia Continues to Challenge Moscow.” (1991). “IDFI Archive (Ed.).

[37] *საქართველოს 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.* გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა.“ 1991, №70.

[38] საქართველოს კონსტიტუცია. 1995, მუხლი 1.

მნიშვნელოვანი იყო საპრეზიდენტო ინსტიტუტის შემოღება. 1991 წლის 26 მაისს დანიშნულ არჩევნებში მონაწილეობას იღებდა 6 კანდიდატი,[39] სადაც მოსახლეობის ნებით ქვეყნის სათავეში მოვიდა ახალი ხელისუფლება ზ. გამსახურდიას ხელმძღვანელობით.

ზ. გამსახურდიას პერიოდში მთავარი პრობლემა იყო საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტობრივი აღიარება, რაც მიღწეულ იქნა სსრკ-ის იურიდიული დაშლით და გაერო-ში 1992 წელს გაწევრიანებით.

თავი 8.

ქართული ნაციონალიზმის განვითარების დინამიკა 1970-1980წწ. მასზე გავლენის მომხდენი ფაქტორები

ჰროშის „ნაციონალიზმის ფაზების“, ჰატჩინსონის „კულტურული ნაციონალიზმის“ თეორიამ მოგვცა შესაძლებლობა საბჭოთა საქართველოში განვითარებული პროცესების გაანალაზებით განგვესაზღვრა ქართული ნაციონალიზმის დინამიკა, ეროვნული მოძრაობის განვითარების ეტაპები. მას შემდეგ, რაც დაიწყო საბჭოთა სისტემის ლიბერალიზაცია, მოხდა ქართული ეროვნული მოძრაობის აღმავლობა, რომელთა საფუძვლები იქმნებოდა 1970-იან წლებში. 1970-1980-იანი წლების საქართველოში განვიხილეთ და გამოვყავით ქართული ნაციონალიზმის შემდეგი ეტაპები:

1. პირველი ეტაპზე, რომელიც მოიცავს 1970-87წწ, შესწავლილ იქნა - ქართული დისიდენტური მოძრაობის და ინტელიგენციის კავშირი ნაციონალიზმთან. საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების თვალსაზრისით გამოიკვეთა რადიკალური და ლიბერალური ფრთა. აღნიშნულ პერიოდში ადგილი ჰქონდა კულტურულ ნაციონალიზმს. პროცესები მიმართული იყო არა მარტო ეროვნული ღირებულებების, კულტურული ფასეულებების განვითარებისკენ. პოსტსტალინისტურ პერიოდში

[39] ზ. გამსახურდია (მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო), ირაკლი შენგელაია (პოლიტიკური ბლოკის - „თავისუფლება“), ჯემალ მიქელაძე (საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტია), ვალერიან ადვაძე (საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი), ნოდარ ნათაძე (სახალხო ფრონტი), თამაზ კვაჭანტირაძე (თავისუფალ დემოკრატთა კავშირი).

ტერორის მეთოდების არარსებობამ, დეცენტრალიზაციის მცდელობებმა და ჰელსინკის პროცესებმა ხელი შეუწყო ეროვნულ ძალებს დაეწყოთ ზრუნვა საბჭოთა ხელისუფლებისგან მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილებასა და მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე.

2. მეორე ეტაპზე - 1987-1989 წლებში ადგილი ჰქონდა აქტივობებს მიმართულს ნაციონალური ცნობიერების გამოღვიძებისკენ. ამას ადასტურებს პრესის, საპროტესტო დემონტრაციების გამართვით ნაციონალისტური იდეების გავრცელება, ენის, კულტურის, რელიგიის, ასევე, პოლიტიკის იდეებისადმი ერის ღიად მხარდაჭერა. საზოგადოებრივ ცნობიერებაში დამკვიდრდა წარმოდგენა - „სხვა ჯგუფი“ არის საფრთხე „ჩვენ ჯგუფისთვის“. მოხდა საზოგადოების ტრანსფორმაცია. სწორედ საპროტესტო მიტინგებსა და დემონსტრაციების დროს ჰქონდა ადგილი კომუნიზმთან მიმართებაში ინტერესთა რელევანტურ კონფლიქტებს. მნიშვნელოვანი იყო 9 აპრილის მოვლენები, როდესაც გამოჩნდა ხალხის ურყევი პოზიცია და მათი გაერთიანება დამოუკიდებლობის ლოზუნგის ირგვლივ.

3. 1989 წლის 9 აპრილიდან სსრკ-ის იურიდიულ დაშლამდე პერიოდში ადგილი ჰქონდა ნაციონალიზმის მესამე ეტაპს და იგი პოლიტიკური ხასიათის იყო. სახელმწიფოებრივი ერთეულების საშუალებით ადგილობრივ ელიტებს მიეცათ შესაძლებლობა მოეხდინათ სახელმწიფოებრიობის ნაციონალიზება და დაპირისპირებოდა ცენტრალიზებულ სისტემას (Brubaker 1996, p. 23 47).

აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილი ჰქონდა ერონული მოძრაობის რადიკალური ძალების დაპირისპირებას ადგილობრივ ხელისუფლებასთან. თუმცა 9 აპრილის მოვლენების შემდგომ მისი ლეგიტიმურობა სუსტდებოდა (ჯონსი, 2012, 39) და გარკვეულწილად ეროვნული მოძრაობის სამსახურში აღმოჩნდა. აღსანიშნავია ისიც, რომ „პერესტროიკის“ პერიოდში ადგილი ჰქონდა უთანხმოებებს თავად ეროვნულ მოძრაობაში. განსხვავებული პოზიციები ჰქონდათ ისეთ საკითხებში, როგორიცაა კომუნისტური პარტიის როლი, არჩევნები, დამოუკიდებლობის ტემპი. თუმცა მათ საერთო პოზიცია

ჰქონდათ კომუნისტურ რეჟიმთან მიმართებაში. ამის გამოხატულებაა ეროვნული მოძრაობის მიერ პოლიტიკური მოთხოვნების წამოყენება, პოლიტიკური პარტიების, ალიანსების შექმნა და მთავარი საფრთხის - კომუნისტური ხელისუფლების დამარცხების მიზნით არჩევნების ჩატარება. საბოლოოდ ეროვნული მოძრაობის რადიკალური ძალების ხელისუფლებაში მოსვლამ გამოიწვია კომუნისტური ხელისუფლების დამარცხება. მეტიც, საბჭოთა რეჟიმმა ვერ შეაფერხა დამოუკიდებლობისკენ მიმავალი პროცესები. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ტოტალიტრიზმის დემონტაჟისკენ გადაგმული ნაბიჯები და სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობითვის იურიდიული საფუძვლების შექმნა.

რაც შეეხება 1970-1980-იან წლების საქართველოში კულტურული ნაციონალიზმიდან პოლტიკური ნაციონალიზმად ტრანსფორმაციის განმსაზღვრელი ფაქტორებს. ბრასის „ინსტრუმენტალიზმის“ თეორიით განვსაზღვრეთ არსებული პოლიტიკური სიტუაცია, სსრკ-ის როლი, ეროვნული მოძრაობის, მისი აქტივისტთა დამოკიდებულება საბჭოთა რეჟიმის მიმართ და მიღებული ზომები.

გარე ფაქტროების ანალიზისას მნიშვნელოვანია რ. ბრუბაკერის ნაშრომი „Nationalism Reframed: Nationhood and the National Question in the New Europe.“ ავტორის თანახმად, თავად სსრკ-ის პოლიტიკამ - მოკავშირე რესპუბლიკებში სახელმწიფოებრიობის ინსტიტუციონალიზაციამ დიდი როლი ითამაშა თავად იმპერიის ნგრევაში. სსრკ მათ ანიჭებდა პოლიტიკურ ავტონომიას. ჰქონდათ განსაზღვრული ტერიტორია, პოლიტიკური ინსტიტუტები, კანონმდებლობა, კონსტიტუციურად იმპერიისაგან გამოყოფის უფლება, თვითსახელწოდება. იგი ხელს უწყობდა კულტურულ პროცესებს. აღსანიშნავია, რომ ერები არ იყო პოლიტიკური ერთობა. ისინი მხოლოდ ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის ლეგიტიმურობას უზრუნველყოფდა. მათ არ ჰქონდათ რეალური ძალაუფლება. საბჭოთა პოლიტიკის მიზანი იყო ადგილობრივი ეთნოელიტების საშუალებით გაეკონტროლებინა კონკრეტული ეროვნული და ეთნიკური ჯგუფი და ჩაეხშო პოლიტიკური ნაციონალიზმის გამოვლენა. საქართველოში პოლიტიკური ელიტები საბჭოთა ხელისუფლების ინტერესების

დამცველად იქცნენ. იყო დაპირისპირება ეროვნებების ტერიტორიულ-პოლიტიკურ და ეთნოკულტურულ საბჭოთა მოდელს შორის. რეჟიმის ლიბერალიზაციის დროს კი არსებული კვაზი-სახელმწიფოებრივი ერთეულების საშუალებით ადგილობრივ ელიტებს მიეცათ შესაძლებლობა მოეხდინათ სახელმწიფოებრიობის ნაციონალიზება, ეთნოკულტურული ერთობის დაცვა. 1980-იანი წლების ბოლოს ადგილი ჰქონდა ცენტრსა და პერიფერიას შორის დაპირისპირებას სუვერენიტეტისთვის, რამაც დიდი როლი ითამაშეს იმპერიის დანგრევაში (Brubaker, 1996, 23- 47).

თუმცა გარე ფაქტორის ანალიზისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ კონტექსტი, არსებული ვითარება საბჭოთა პერიოდში. პროლეტარიატის დიქტატურის სახელს ამოფარებული ხელისუფლება ცდილობდა ტოტალიტარული რეჟიმის მშენებლობას. სახელმწიფო და უმაღლესი ხელისუფლების ორგანო კომუნისტური პარტია, როგორც ერთიანი, ქმნიდა ბიუროკრატიულ ცენტრალიზებულ სისტემას, რომელიც მართავდა იმპერიის ფარგლებში პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ თუ სხვა სფეროებს და აწესებდა ცენზურას. სტალინის მმართველობა ხასიათდება როგორც რეპრესიული რეჟიმი. ყველაზე მაღალი იყო სახელმწიფო ძალაუფლების და ცენტრალიზაციის დონე. ტოტალიტარული რეჟიმის განმტკიცების მიზნით განსხვავებული აზრის მქონეთა მიმართ განხორციელებულმა რეპრესიებმა თავისი დაღი დაასვა საზოგადოებას. საბჭოთა სახელმწიფო ცდილობდა ახალი ღირებულებების დამკვიდრებას, მიზნად ისახავდა ადგილობრივი ეთნიკურ ჯგუფებს შორის განსხვავებების წაშლას (Slezkine, 1994, 436). ამ მიზნით საბჭოთა ხელისუფლება მოკავშირე რესპუბლიკებში მისი ინტერესების გამომხატველ ელიტარულ ჯგუფს ქმნიდა. საქართველო თანდათანობით ექცეოდა ერთიან საბჭოთა სივრცეში.

აღსანიშნავია, რომ სსრკ-ის ოფიციალური ნაციონალიზმი, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა იდენტობის ფორმირებას და ადგილი ჰქონდა ინტეგრაციულ პროცესებს, პარალელურად ლოიალურობის და ლეგიტიმურობის განმტკიცების მიზნით ხელს არ უშლიდა მოკავშირე რესპუბლიკებში ინტელიგენციის ინტელექტუალურ საქმიანობას. სახელმწიფოებრიობის და ეთნიკურობის ინსტიტუციონალიზაცია, „კორენიზაციის“

პოლიტიკა, საგანმანათლებლო სისტემის განვითარება იყო ხელშემწყობი ფაქტორი კულტურული ნაციონალიზმის განვითარებისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ მოდერნიზაციის, ინდუსტრიალიზაციის პროცესებს აქვს დიდი მნიშვნელობა „მაღალი კულტურის“ შემნისთვის (Gellner 1983, p. 39).

პოსტსტალისინტურ პერიოდში შეიცვალა ბელადის პოლიტიკა. ტოტალიტარული სისტემის შერბილება სწორედ ამ პერიოდიდან იწყება. მნიშვნელოვანი იყო ჰელსინკის პროცესები, რამაც ხელი შეუწყო 1970-იან წლებში ქართული ეროვნული მოძრაობისთვის საფუძვლების შექმნას. ტერორის არარსებობამ, დეცენტრალიზაციის პროცესებმა გარკვეულწილად ხელი შეუწყო ელიტის ინტელექტუალურ თავისუფლებას. თუმცა პოსტსტალინისტურ ეპოქაში კვლავ ჰქონდა ადგილი ტოტალიტარულ კონტროლს, ძალისმიერ მეთოდებს. მიუხედავად ცენტრის ზეგავლენისა, ინტელიგენცია ცდილობდა კულტურის ავტონომიურობის უზრუნველყოფას, აგრძელებდა ინტელექტუალურ მუშაობას, ქართული კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების განვითარებას. მათ ნაწარმოებებში, შეფარული გზით აისახებოდა ნეგატიური დამოკიდებულება საბჭოთა რეჟიმისადმი. მიუხედავად პოსტსტალინისტურ პერიოდში „დათბობის“ პოლიტიკისა და დეცენტრალიზაციის მცდელობისა, ხრუშჩოვის და ბრეჟნევის სწრაფვამ არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნებისკენ, საბჭოთა რეჟიმის მიმართ უკმაყოფილება გამოიწვია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში (Suny, 1994, p. 308). ვინაიდან საბჭოთა იდენტობის შექმნა მიზნად იყო დასახული, ადგილი ჰქონდა რუსიფიკაციის მცდელობებს, ვინაიდან საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტზე იყო დაწესებული ცენზურა, იზღუდებოდა ადამიანის უფლებები (pp. 314-325), ქართველი დისიდენტები ავრცელებდა არალეგალურ ჟურნალ-გაზეთებს, სადაც აშუქებდნენ ქართული ენის, კულტურის, რელიგიის, ისტორიის პრობლემებზე და სხვ., ცდილობდნენ სსრკ-გან მოსალოდნელი თუ არსებული საფრთხეების თავიდან აცილებას, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას. რუსიფიკაციის თავიდან აცილების მიზნით მნიშვნელოვანი იყო 1978 წლის 14 პრილის მოვლენები, სადაც ხელმძღვანელ როლს ინტელიგენცია ასრულებდა.

გორბაჩოვის ხელისუფლების დროს გაიზარდა დეცენტერალიზაციის ხარისხი. თუმცა ამ პერიოდშიც გამოვლინდა ტოტალიტარული კონტროლის, რეჟიმის აგრესიული ხასიათი. საქართველოს სსრ-ში ადგილი ჰქონდა ნაციონალისტური იდეების ფართოდ გავრცელებას, გაძლიერდა ეროვნული განწყობები. „პერესტროიკის“ პროცესებმა ეროვნული მოძრაობის აქტივისტებს - დისიდენტებს, ინტელიგენციას მიეცათ საშუალება შეექმნათ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები. მათ დაიწყეს ნაციონალისტური იდეების პროპაგანდა საპროტესტო დემონტრაციების გამართვის, თუ პრესის საშუალებით, არჩევნების გზით კომუნისტური ხელისუფლების დამარცხება, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისთვის იურიდიული საფუძვლების შექმნა. ამგვარად, საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მრავალწლიანმა ბრძოლამ და პატრიოტულმა განწობამ 1980-იან წლებში ეროვნული მოძრაობის სახე მიიღო. აღსანიშნავია ისიც, რომ გორბაჩოვის მცდელობას შეექმნა ალტერნატიული საზოგადოებრივი ორგანიზაცია, წარუმატებელი აღმოჩნდა. საბჭოთა ხელისუფლების ბოლო წლებში თავად საქართველოს კომპარტია გარკვეულწილად ეროვნულ პროცესებში ჩაერთო. შეიძლება ითქვას, რომ ცენტრსა და ადგილობრივ ნომენკლატორულ ელიტას შორის არსებული ალიანსი გარკვეულწილად ირღვეოდა.

ამგვარად იკვეთება ქართული ეროვნული მოძრაობის, მის აქტივისტთა როლი, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს 1970-1980-იან წლებში ნაციონალიზმის განვითარებაში. საბჭოთა კავშირის ბოლო წლებში მოხდა ეროვნული მოძრაობის აქტივისტთა - როგორც რადიკალები, ასევე ლიბერალების გააქტიურება, ადგილი ჰქონდა, ასევე, ძველი საბჭოთა ელიტების სტრუქტურის რღვევას და ახალი ელიტების ჩამოყალებების პროცესებს.

„პერესტროიკის“ პერიოდში გამოიკვეთა ეროვნული მოძრაობის სახე და მტკიცდებოდა ეროვნული საზოგადოება. დამოუკიდებელი სახლემწიფოებრიობის არსებობა ამძაფრებდა ეროვნული მოძრაობის იმპერიისგან გამოყოფისკენ სწრაფვას. ელიტები სიმბოლოების, ღირებულებების საშუალებით ახდენდა ხალხის მობილიზებას ცენტრთან დაპირისპირების მიზნით. „პერესტროიკის“ პერიოდში საქართველოში

განვითარებული პროცესები, საპროტესტო აქციები ადასტურებს მის იდეოლოგიურ როლს ნაციონალიმზის განვითარებაში. ასევე, იმდროინდელი მედია იყო ნაციონალისტური, პატრიოტული. 1988 წლიდან ნაციონალიზმზე, ეროვნულ კულტურაზე, ისტორიაზე, აქცენტის დასმა, საერთო გარე საფრთხეზე ყურადღების გამახვილება მედიის ერთ-ერთი წამყვანი თემა გახდა (მაისაშვილი, 2010). გორბაჩოვის ხელისუფლება ცენტრალიზებული იმპერიის შენარჩუნებისა და ეროვნული მოძრაობის აღზევების შესაჩერებლად იღებდა რა ზომებს - საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოში სუვერენიტეტის შეზღუდვის მიზნით, ძალის გამოყენებით მშვიდობიანი დემონტრანტების დარბევა 1989 წლის 9 აპრილს, სეპარატიზმის მხარდაჭერა, ამ პერიოდიდან იჩენს თავს ელიტებს შორის პოლიტიკური დაპირისპირებები ცენტრსა და პერიფერიას. თუმცა ტოტალიტარულმა რეჟიმმა ვერ შეინარჩუნა პოლიტიკისგან გულგრილ ადამიანთა ერთობა. საფუძველი ეცლებოდა ხალხთა ძმობის და თანასწორობის საბჭოურ მოდელს (ჩხაიძე, 2016, 38). ნაციონალური იდენტობა ვერ იქნა ჩახშობილი საბჭოთა იდენტობის მიერ. ეროვნული მოძრაობის ძალისხმევის შედეგად მოხდა ნაციონალიზმის, როგორც კომუნისტური რეჟიმის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული იდეოლოგიის ფორმირება. საბჭოთა პერიოდში ეროვნული მოძრაობამ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას გარკვეულწილად იურიდიული საფუძველი შეუქმნა, შედეგად საბჭოთა რეჟიმმა ვერ შეაფერხა ქვეყნის დამოუკიდებლობისკენ მიმავალი პროცესები.

დაბოლოს, მხოლოდ საბჭოთა პოლიტიკის ფაქტორი არ იყო განმსაზღვრელი 1970-1980-იან წლებში ქართული ნაციონალიზმის ასახსნელად. მნიშვნელოვანი იყო ინსტიტუციონალიზაციის ფაქტორი, რამეთუ ეროვნულ ძალებს მიეცათ შესაძლებლობა მოეხდინათ ხალხის მობილიზება, ცენტრთან დაპირისპირება. საფრთხეები მომდინარე ტოტალიტარული რეჟიმისგან ქართული ნაციოანლზიზმის წარმოქმნის წინაპირობა იყო. სსრკ-ის პოლიტიკა განიცდიდა რა ტრანსფორმაციას იმპერიის შენარჩუნების მიზნებიდან გამომდინარე, თანდათანობით ძალას იკრებდა ეროვნული ძალები, რომლის მიზანი იყო სსრკ-გან მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილება და

რომელიც წარმოადგენდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისკენ მიმართულ მოძრაობას.

დასკვნა

ნაშრომში განვიხილეთ იმპერიულ სივრცეში ნაციონალიმზის განვითარების დინამიკა და მასზე გავლენის მომხდენი ფაქტორები. 1970-1980-იან წლების სააქართველოში ადგილი ჰქონდა ნაციონალიზმის კულტურულ და პოლიტიკურ გამოვლნებებებს, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე. ნაშრომში დავასაბუთეთ, რომ საბჭოთა ლიბერალიზაციის პირობებში ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ, რომელთა საფუძვლები შეიქმნა 1970-იან წლებში და ხელი შეუწყო საბჭოთა პერიოდში არსებულმა პროცესებმა, დიდი როლი ითამაშა ნაციონალიზმის განვითარებაში. აღნიშნული ჰიპოთეზა დავასაბუთეთ პ. ბრასის „ინსტრუმენტალიზმის“ თეორიით. ნაშრომში ვაჩვენეთ, რომ იმპერიის პოლიტიკის, ნაციონალური ძალების როლის და ელიტების დაპირისპირების გამო ნაციონალიზმის განვითარება 1970-1980-იანი წლების საქართველოში გარდაუვალი გახდა.

თავდაპირველად შევისწავლეთ და გამოვყავით ქართული ნაციონალიზმის ეტაპები 1970-1991წწ მ. ჰროშის „ეროვნული მოძრაობის ფაზების“ და ჯ. ჰატჩინსონის „კულტურული ნაციონალიზმის“ თეორიებზე დაყრდნობით. მოდერნიზმის ამ სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაციის თეორიების საფუძველზე ნაციონალიზმის პერიოდიზაცია მნიშვნელოვანი იყო, რათა შეგვესწავლა იმპერიულ სივრცეში განვითარებული პროცესები ნაციონალიზმის კონტექსტში, ეროვნული მოძრაობის განვითარების დინამიკა - ის, თუ რა ეტაპებს გადის იგი ნაციონალიზმის უმთავრესი მიზნის მისაღწევად. ბრასის „ინსტრუმენტალიზმის“ - საფუძველზე კი შევისწავლეთ 1970-1980-იან წლების საქართველოში განვითარებული ნაციონალიზმის განამაპირობებელი ფაქტორების. განვიხილეთ იმპერიის პოლიტიკისადმი ეროვნული მოძრაობის დამოკიდებულება და გადადგმული ნაბიჯები.

ნაშრმომში ვაჩვენეთ, რომ თავდაპირველად ადგილი ჰქონდა კულტურულ ნაციონალიზმს, რასაც შემდგომ მოჰყვა პოლიტიკური პროცესები. ქართული ნაციონალიზმის საწყის ეტაპზე - 1970-1987 წწ შესწავლილ იქნა რადიკალების (დისიდენტური მოძრაობის) და ლიბერალების (ინტელიგენციის) როლი და კავშირი

ნაციონალიზმთან. მის კულტურულ გამოვლინებებს ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში გარკვეულწოლად ხელს უწყობდა თავად იმპერია. ინტელიგენციამ და დისიდენტებმა, რომელთა ორგანიზაციული საფუძვლები შეიქმნა 1970-იან წლებში, მოგვიანებით, რეჟიმის რეჟიმის შესუსტების პირობებში, დიდი როლი ითამაშა მოსახლეობაში ნაციონალური ცნობიერების გამოღვიძებაში, პოლიტიკური ნაციონალიზმის ფორმირებაში.

ქართული ნაციონალიზმის განვითარების მეორე ეტაპი „პერესტროიკის," რეჟიმის ლიბერალიზაციის პერიოდიდან დაიწყო. საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის პირობებში ადგილი ჰქონდა საქართველოში ნაციონალისტური იდეების პროპაგანდას საპროტესტო გამოსვლების, პრესის საშუალებით, სადაც თავდაპირველად კულტურულ საკითხები იქნა წამოყენებული. აღნიშნული პერიოდიდან ჩანს ინტერესთა კონფლიქტები ცენტრსა და პერიფერიას შორის. ქართულ საზოგადოებაში მყარდებოდა ნაციონალური იდენტობა საბჭოთა ნარატივის საწინააღმდეგოდ. ქართული ნაციონალური ცნობიერების გამოღვიძება მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკური ნაციონალიზმის ჩამოყალიბებისათვის.

მას შემდეგ, რაც „პერესტროიკის" პერიოდში ჩამოყალიბდა სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციები, შეიქმნა ალიანსები ეროვნული მოძრაობა არჩევნების გზით შეეცადა კომუნისტური ხელისუფლების დამარცხებას. 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შემდეგ დაიწყო ქართული ნაციონალიზმის მესამე ეტაპი, რომელიც პოლიტიკური ხასიათის იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის ერთიანობის არარსებობამ დააბრკოლეს ეროვნული პროცესები. თუმცა მათ საერთო პოზიცია ჰქონდათ კომუნისტურ რეჟიმთან დამოკიდებულებაში და რადიკალური (მემარჯვენე ორგანიზაციები, ძირითადად დისიდენტები), ლიბერალური (ცენტრისტული ორგანიზაციები, რომელთა შემადგგენლობაში შედიოდა მათ შორის ინტელიგენცია) ცალ-ცალკე ცდილობდნენ კომუნისტური რეჟიმის ეროვნული ხელისუფლებით ჩანაცვლებას. საბოლოოდ ეროვნულმა მოძრაობამ შეძლო კომუნისტური ხელისუფლების დამარცხება არჩევნებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს

უკანასკნელი 9 აპრილის მოვლენების შემდეგ ნაკლებად ახდენდა გავლენას პოლიტიკურ პროცესებზე და გარკვეულწილად ხელს არ უშლიდა ეროვნულ პროცესებს. სსრკ-ის ბოლო წლებში დაიწყო ტოტალიტარული რეჟიმის დემონტაჟი ინსტიტუციონალურ დონეზე, მიღებულ იქნა მთელი რიგი დადგენილებები, რაც გარკვეულწილად იურიდიულ საფუძველს უქმნიდა საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. საკანონმდებლო დონეზე თანდათანობით ხდებოდა საბჭოთა სისტემისგან გამიჯვნა, ხაზი ესმეოდა მის დანაშაულებრივ ბუნებას, ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობის უწყვეტობას. უმთავრესი მონაპოვარი - 1991 წლის დამოუკიდებლობის აქტი საფუძვლად დაედო პოსტსაბჭოთა პერიოდში უკვე დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციას. ამგვარად, ეროვნული მოძრაობის ძალისხმევის შედეგად სსრკ-მა ვერ შეაფერხა დამოუკიდებლობისკენ მიმავალი პროცესები.

ამგვარად, მრავალეთნიკურ ტოტალიტარულ სახელმწიფოში რთული იყო კონტროლის შენარჩუნება ლინგვიტურად, ეთნიკურად განსხვავებულ ჯგუფებზე. როდესაც ცენტრი ეწინააღმდეგებოდა პერიფერიის ინტერესებს, ამ უკანასკნელში ნაციონალიზმი მძაფრდებოდა. ხოლო თავად, იმპერიის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფოებრიობის ინსტიტუციონალიზაცია, სსრკ-ის პოლიტიკის ტრანსფორმაცია, დეცენტრალიზაციის დონის და ლიბერალიზაციის პროცესები, ასევე, იყო ხელშემწყობი ფაქტორი ქართული ეროვნული მოძრაობის განვითარებისთვის. საფრთხის თავიდან აცილების და შემდგომ ტოტალიტარული იმპერიისგან გამოყოფის მიზნით ეროვნული ძალა ცდილობდა ერის მობილიზებას ნაციონალისტური იდეების პროპაგანდით. შედეგად, მოხდა დაპირისპირება ერთი მხრივ, ეთნიკურ ჯგუფს, მისი ინტერესების გამოხატველ ადგილობრივ ელიტასა და მეორე მხრივ, ცენტრალურ ხელისუფლებას, მისი პოლიტიკის გამატარებელ ჯგუფს შორის. იმპერიულ სივრცეში საწყის ეტაპზე ადგილი ჰქონდა კულტურული ნაციონალიზმის განვითარებას, რასაც შემდგომ მოჰყვა ხოლო პოლიტიკურ პროცესები, რაც გამოიხატა ინსტიტუციონალურ დონეზე ტოტალიტარული რეჟიმისაგან გამიჯვნასა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის იურიდიული საფუძვლების შექმნაში და რასაც დიდი

მნიშვნელობა ჰქონდა დამოუკიდებლობისკენ მიმავალი პროცესების განვითარებაში. ამგვარად, როდესაც ეროვნული ძალებს საფრთხე ექმნებათ ცენტრისგან და ადგილი აქვს ელიტებს შორის დაპირისპირებებს, დაპირისპირებებს დომინანტ ჯგუფსა და ადგილობრივ ელიტებს შორის, სწორედ მაშინ აქვს ადგილი ნაციონალიზმის განვითარებას.

ბიბლიოგრაფია

1. ბენედიქტ, ა. (2003). *წარმოსახვითი საზოგადოებანი.* თბილისი: ენა და კულტურა.
2. ბერძენიშვილი, ლ. (2012). *საბჭოთა წარსულის გააზრება: დისკუსიები.* თბილისი: ფონდ ღია საზოგადოება - საქართველო.
3. დავითაშვილი, ზ. (2003). *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია.* თბილისი: ღია საზოგადოება - საქართველო.
4. დავითაშვილი, ზ. 2005. *ნაციონალიზმის ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში. „ქართული დიპლომატია, წელიწდეული,* #12. გვ. 165-205. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
5. ზურაბიშვილი, დ. "*ძველი ინტელიგენციიდან ახალ ინტელექტუალებამდე".* რედ. ნოდია. ჟურნალი *„საზოგადოება და პოლიტიკა",* No. IV, 2002. გვ. 47-53. გ. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.
6. კვესელავა, ი. (2004). *საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა: 1970-1990.* (*საქართველოს უახლესი ისტორიის ქრონიკები I).* თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
7. კვესელავა, ი. (2007). *ზვიად გამსახურდია: დისიდენტი, პრეზიდენტი, მოწამე.* (*საქართველოს უახლესი ისტორიის ქრონიკები II).* თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
8. მაისაშვილი, ხ. (2010). სადისერტაციო ნაშრომი - *ეროვნული იდენტობის რეპრეზენტაცია 1990-1991 წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
9. ნოდია, გ. *ქართული ეროვნული იდეის კომპონენტები: ზოგადი მონახაზი.* ჟურნალი „Identity Studies." Vol 1. 2009. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
10. *საქართველოს ისტორია (მთელი ქვეყნის ისტორია ერთ წიგნში).* (2012). რედ. დავით მუსხელიშვილი. თბილისი: გუმბათი.
11. სმითი, ე. (2004). *ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია.* თბილისი: არტანუჯი.
12. სტალინი, ი. 1951. *მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი.* თბილისი:

13. ქარაია, თ. 2015. *სადისერტაციო ნაშრომი - მეხსირების პოლიტიკა თანამედროვე საქართველოში.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსოტეტი.
14. შველიძე, დ. (2008). *პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წ.წ).* თბილისი: უნივერსალი.
15. ჩხაიძე, ი. (2009). *ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და ქართული ნაციონალური პროექტი („თეგდალეულები“).* თბილისი: ახალი აზრი.
16. ჩხაიძე, ი. 2016. სადისერტაციო ნაშრომი - *ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ: ნაციონალური პროექტის დინამიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
17. ჯონსი, სტ. 2012. *საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის შემდეგ.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
18. ჯოჯუა, დ. 2003. *საქართველოს ეროვნული მოძრაობის პერიოდიზაციის საკითხისთვის (XX ს. II ნახევარი). „საისტორიო ძიებანი,“* #6. თბილისი: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
19. Alexeyeva, L. (1987). *Soviet Dissent: contemprorary movements for national, religious and human rights.* Middletown: Wesleyan University Press.
20. Arendt, H. 1976. *The Origins of Totalitarianism.* USA: Harcourt Brace & Company.
21. Beisinger. M. R. (2004). *Nationalist mobilization and the collapse of the Soviet State*. Cambridge: Cambridge University Press.
22. Brass P. R. 1991. *Ethnicity and Nationalism*. New Delhi: Sage Publications.
23. Brubaker, R. 1996. *Nationalism Reframed: Nationhood and National Question Reframed in the New Europe*“. Cambridge: Cambridge University Press.
24. Cornell. S. E. 2001. *Small Nations and Great Powers - A Study of Ethnopolitical Conflict in the Caucasus*. London: Routledge Curzon.
25. Cornell, S. E. E. *Autonomy and Conflict: Ethnoterritoriality and Separatism in the South Caucasus – Cases in Georgia.* Journal “ *World Politics,”* Vol. 54. No. 2. 2002. pp. 245-76.
26. Hroch, M. 1985. *Social Preconditions of National Revival in Europe*. Cambridge: Cambridge University Press.

27. Hroch, M. *From National Movement to the Fully-formed Nation: The Nation building Process in Europe*. In G. Balakrishnan (Ed.). (1996). *Mapping the Nation*. New York, London: Verso.
28. Hroch, M. *The Nature of the Nation*, in J. Hall (Ed). (1998). *The State of the Nation - Ernest Gellner and the Theory of Nationalism".* Cambridge: Cambridge University Press.
29. Hutchinson, J. 2013. *Cultural Nationalism - Oxford Handbook of the History of Nationalism*. Oxford: Oxford University Press.
30. Jones, S. *Georgia – Nationalism from under the Rubble*. In L. Barrington (Ed). (2006). *After Independence: Making and Protecting the Nation in Postcolonial and Postcommunist States.* USA: The University of Michigan Press.
31. Nodia, G., & Hanf, Th. 2000. *Georgia lurching to democracy - from agnostic tolerance to pious Jacobinism : Societal Change and Peoples" Reactions*. Baden-Baden: Nomos.
32. Ozkirimli, U. 2010. *Theories of Nationalism A critical introduction.* (2nd ed). New York: Palgrave Macmillan.
33. Oberschall, A. *Conflict Theory*. In K.T. Leicht and J.C. Jenkins (Eds). (2010). *Handbook of Politics: State and Society in Global Perspective, Handbooks of Sociology and Social Research*, New York: Springer Science+Business Media, LLC .
34. Reisner, O. *Travelling between Two Worlds - the Tergdaleulebi, their Identity Conflict and National Life.* Journal *"Identity Studies."* Vol 1. 2009. pp: 36-50. Tbilisi: Ilia State University.
35. Sabanadze, N. (2010). *Globalization and Nationalism: The Cases of Georgia and Basque Country.* Budapest: CEU Press.
36. Sakwa, R. 1998. *Soviet Politics in Perspective*. London, New York: Taylor & Francis.
37. Slezkine, Y. *The USSR as a Communal Apartment, or How a Socialist State Promoted Ethnic Particularism. JSTOR*. Vol. 53, No. 2. 1994. pp. 414-452.
38. Suny, R. G. (1994). *The Making of Georgian nation*. Bloomington: Indiana University Press.
39. Suny, R. G. (2001). *State-building and nation-making / The Russian Revolution.* In Martin A. Miler (Ed). Blackwell Publisher.

პერიოდული პრესა.

1. გაზ. „ახ. კომუნისტი,“ 12 აპრილი, 1989. რედ. გ. გვერდწითელი. კრებ. *„9 აპრილი.“* (1990). გვ. 44. თბილისი: მერანი.
2. გაზ. „ახ. საქართველო,“ 1990/XII.
3. გაზ. „კომუნისტი,“ 12 აპრლი, 1989, #85. რედ. გ. გვერდწითელი. კრებ. „9 აპრილი.“ (1990). გვ. 39. თბილისი: მერანი.
4. გაზ. „კომუნისტი,“ 28 დეკემბერი, 1989, #85. რედ. გ. გვერდწითელი. კრებ. „9 აპრილი.“ (1990). გვ. 612-636. თბილისი: მერანი.
5. გაზ. „კომუნისტი,“ 28 დეკემბერი, 1989, #85. რედ. გ. გვერდწითელი. კრებ. „9 აპრილი.“ (1990). გვ. 614. თბილისი: მერანი.
6. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა,“ 10 აპრილი, 1991, №70 (90).
7. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა,“ 9 დეკემბერი, 1990, #3.

ოფიციალური დოკუმენტები

1. ჟურნალი *„საარქივო მოამბე“,* რედ. ნინო ყიფშიძე. #2, 2009. თბილისი: შსს არქივი.
2. ჟურნალი *„საარქივო მოამბე“,* რედ. ნინო ყიფშიძე. #8, 2010. თბილისი: შსს არქივი.
3. ჟურნალი *„საარქივო მოამბე“,* რედ. ნინო ყიფშიძე. #9, 2010. თბილისი: შსს არქივი.
4. ჟურნალი *„საარქივო მოამბე“,* რედ. ნინო ყიფშიძე. #10, 2010. თბილისი: შსს არქივი.
5. ჟურნალი *„საარქივო მოამბე“,* რედ. ნინო ყიფშიძე. #12, 2012. თბილისი: შსს არქივი.
6. ჟურნალი *„საარქივო მოამბე“.* რედ. ნინო ყიფშიძე. #15, 2014. თბილისი: შსს არქივი.
7. ჟურნალი *„საარქივო მოამბე“.* რედ. ნინო ყიფშიძე. #16, 2016. თბილისი: შსს არქივი.
8. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია.
9. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), მიღებული 1978 წლის 15 აპრილს, 1991 წლის მარტის ცვლილებებით. თბილისი: „სამშობლო“, თბილისი, 1991.
10. საქართველოს 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკა.“*1991, №70.

11. საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში," (IFFMCG). ტ. I. 2009, თბილისი: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი.
12. საქართველოოს 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები. თბილისი: საქართველოს პარლამენტი.
13. საქართველოს 1990 წლის 28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები. თბილისი: საქართველოს პარლამენტი.
14. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია. თბილისი, 1995.
15. . Conference on security and co-operation in Europe. Helsinki Final Act (1975). Helsinki, 1975.
16. United States Department of State. *The Document of United States Department of State. "Gamsakhurdia Continues to Challenge Moscow."* (1991). "IDFI Archive (Ed.). https://idfi.ge/ge/gamsakhurdia_continues_to_challenge_moscow (accessed: 15 June, 2017).
17. Конституция Союза Советских Социалистических Республик. 1936 г. From the pages of Mosow State University: http://www.hist.msu.ru/ER/Etext/cnst1924.htm#2 (accessed 2 March, 2017).
18. Конституция Союза Советских Социалистических Республик. 1936 г. From the pages of Mosow State University: http://www.hist.msu.ru/ER/Etext/cnst1936.htm#6 (accessed 2 March, 2017).
19. Конституция Союза Советских Социалистических Республик 1977 г. From the pages of Mosow State University: http://www.hist.msu.ru/ER/Etext/cnst1977.htm#14 (accessed 2 March, 2017).

დოკუმენტური ფილმები

1. თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმი - *„სამოცდაათიანელები"*. http://www.myvideo.ge/CI=1&ci_c=video&video_id=1608208 (accessed: 01. 12. 2016).
2. თომა ჩაგელშვილის დოკუმენტური ფილმი - „9 აპრილიდან 9 აპრილამდე". https://www.myvideo.ge/v/1956057 (accessed: 15. 12. 2016).

3. ლევან ახობაძის დოკუმენტური ფილმი - „მერაბ კოსტავა.“
http://www.2tv.ge/ge/videos/view/3892/41.html (accessed: 01. 25. 2017).